ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

27 სექტემბერი, 2013 წ. | №63 (3673) | გამოცემის 77–ე წელი | ფასი 1 ლარი

ძვირფასო თანამემამულენო!

მიმდინარე „საპრეზიდენტო გათამაშებაში“ ჩვენი როლი ერთობ მოკრძალებულია – ქვეყნის მომავალი პირველი პირი, გიორგი მარგველაშვილი, ახლანდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა წინდაწინ „აირჩია“ და ახლა, ვინც ქვეყნის გადამრჩენ ამ პიროვნებას პატივს ვცემთ, კვიცივით წინ ნუ გადავუხტებით!

მე პირადად ხმას ჭორვილელი მილიარდერის კანდიდატს ვაძლევ!

ამ შემთხვევაში ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს დასახელებული პიროვნება ძალიან მომწონს თუ არა – მე ნდობას ივანიშვილს ვუცხადებ და დანარჩენზე ის თვითონ აგებს პასუხს!

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხაზს ვუსვამ: ახლა პრეზიდენტობის ნომერ მეორე კანდიდატის არჩევას თითქმის იმავე პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, როგორც სხვა დროს თავად პრეზიდენტისას!

მე თქვენ გეტყვით და, ამის გაკეთება გაგვიჭირდება! – აქ იმდენი კანდიდატია დასახელებული, იმათ ჩამოთვლას ის გვერჩივნოს, ისევ ის პიროვნებები ჩამოვთვალოთ, ვინც პრეზიდენტის პოსტზე არ იყრის კენჭს!

ასეთები კი გაცილებით ცოტანი ვართ!

და, მიუხედავად პრეზიდენტობის კანდიდატთა სიმრავლისა, მე „ნომერ მეორე“ კანდიდატის გვარის დასახელება ნამდვილად არ გამიჭირდება!

ოღონდ ჯერ დიდი მუხრანის ერთი ლექსის ერთი სტროფი უნდა გაგახსენოთ!

მე ის ბიჭი არ გახლავართ,
ვინმეს ყალბად პატივს ვცემდე, –
რაც არ უნდა მიდვან-მოდვან,
აკაკია შოთას შემდეგ!..

ჰოდა, ძვირფასო თანამემამულენო, როგორც, მუხრან მაჭავარიანის აზრით, რუსთაველის შემდეგ ქართულ პოეზიაში აკაკი წერეთელია, ასევეა მიმდინარე „საპრეზიდენტო გათამაშებაში“ გიორგი მარგველაშვილის შემდეგ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და, არავითარ შემთხვევაში – დავით ბაქრაძე!

ეს ქალბატონი მხოლოდ ჯარში არაა ნამყოფი, თორემ, სამოქალაქო კარიერის თვალსაზრისით, ყველა სხვა სფერო (აღმავალი ხაზით!) სრულყოფილად აქვს გავლილი – თვით პრეზიდენტის სავარძელშიც კი ზედიზედ ორჯერ მორჭმით იჯდა!..

თამაზ წივწივაძე

გვეხუმრებით, ბატონო ბიძინა?!

ძვირფასო მკითხველო!

შემჩნეული გექნებათ, ათასში ერთხელ არაეთიკური საქციელი ჩემთვისაც არ არის უცხო ხილი!

მეტადრე, როცა უკიდურესად აღშფოთებული ვარ და თავის შეკავება მიჭირს!

ძალიან გთხოვთ, ახლაც ნუ ამაფარებთ პირზე ხელს!

– წყეულიმც იყავ, სააკაშვილო, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე – ქართველი მწერლების საკუთარი შენობიდან გამოსახლებისა და გარაჟში შეყრისთვის!..

– წყეულიმც იყავ, სააკაშვილო, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე – ქართველი ჟურნალისტების საკუთარი შენობიდან გამოსახლებისა და გარაჟში შეყრისთვის!..

– წყეულიმც იყავ, სააკაშვილო, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე – „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის საკუთარი შენობიდან გამოსახლებისა და გარაჟში შეყრისთვის!..

P.S.

ან თქვენ თვითონ სად მიბრძანდებით, ბატონო ივანიშვილო?!

მართალია, სააკაშვილის უღლიდან კი გამოგვიხსენით, მაგრამ, სიღარიბის უღელში რომ დავრჩით შებმული, ახლა ჩვენი მიტოვება არ გეუხერხულებათ?!

ამას ეძახით თქვენ საქართველოს გადარჩენას?!

ანდა ეს მწერლები, ჟურნალისტები და ლიტერატორები ისევ გარაჟებში რომ ვართ გამოკეტილები, რომელი ავტომექანიკოსები ჩვენა ვართ?!

ერთი სიტყვით, ბატონო ბიძინა, საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, ხელოვნების დარგის მუშაკებისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა:

პოლიტიკაში თქვენს მობრძანებას ამ გარაჟებიდან მივესალმეთ!

პოლიტიკიდან თქვენს წაბრძანებასაც ამავე გარაჟებიდან გამოვესალმებით!

არადა, მართლა ვერ ვხვდებით, რა გახდა ამ გიჟი სააკაშვილის მიერ ზოგი ლარად გაყიდული და ზოგიც პირდაპირ გაჩუქებული ჩვენი კუთვნილი შენობების უკან დაბრუნება?!

და კიდევ, პრემიერო! თინა ხიდაშელის, მისი ქმრისა და ამ მამაძაღლი საგანელიძის იმედად გვიტოვებთ თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის საქართველოს?!

გვეხუმრებით, ბატონო ბიძინა?!



მწერალთა კავშირის სასახლე ვარდების რევოლუციამდე

მწერალთა კავშირის სასახლე ვარდების რევოლუციის შემდეგ

გამომცემლობა „სამშობლო“ ვარდების რევოლუციამდე

გამომცემლობა „სამშობლო“ ვარდების რევოლუციის შემდეგ

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ვარდების რევოლუციამდე

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ვარდების რევოლუციის შემდეგ

ფიქრები საარჩევნოდ

(ხმა ჰერიფერიიდან)

გურამ გვენცაძე

საქართველო არჩევნებისთვის ემზადება.

27 ოქტომბერს ვირჩევთ პრეზიდენტს – ქვეყნის წინამჯდომს, წინამდგომს, წინამძღოლს... იმედს.

ეს მარტო არჩევნები არ არის. ეს გამოცდაა, თითოეული ჩვენგანის გამოცდა – ამომრჩევლისაც და ამორჩეულისაც.

უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ საზოგადოება, ერი, ქვეყანა.

უნდა გამოვიდეთ შიშისა და უიმედობის ტრანსიდან, რომელშიც ხელოვნურად ჩაგვყარეს, რათა ჩვენზე ებატონათ, ჩვენი ნებისა და ინტერესების წინააღმდეგ.

მარათონი დაიწყო.

პრეზიდენტობის ორმოცდახუთი კანდიდატი გავიდა დისტანციაზე... ორმოცდახუთი.

ბევრია, რაღა თქმა უნდა, ბევრია, მაგრამ ორმოცდახუთი არ არის საშიში. საშიშია ერთი, თუ, ღმერთმა დაგვიფაროს და, არასწორად ავირჩევთ.

მაშ, სად არის გამოსავალი და პერსპექტივა? – დაფიქრებასა და სწორ არჩევანში.

დიდი ნიცშეანელობა ან ფროიდისტობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ხშირ შემთხვევაში ძალაუფლებისკენ სწრაფვა ანგარების გამოვლინებაა. ამიტომ ფრთხილად! ძალაუფლება ჩავაბაროთ ისეთ კანდიდატს, რომელიც გაუძლებს მონომახის ქუდის სიმძიმეს – მარათონი დაიწყო.

ალბათ, გამოვხატავ საქართველოს ყველა იმ მოქალაქის განწყობას, ვინც:

1) გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და გულნატკენია ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური სიდუხჭირის, შემოსავლების კლების და უმუშევრობის კატასტროფული მასშტაბების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/3-ის (4,5 მილიონიდან 1,5 მილიონის), ძირითადად, 20-დან 60 წლამდე ქალებისა და მამაკაცების საზღვარგარეთ გადინება, კიდევ უფრო მძიმე, შორსმიმავალი შედეგებით ახლო პერსპექტივაში (შობადობის მკვეთრი შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, მაღალმთიანი რაიონებისა და სოფლების დაცლა-გაპარტახება და ა.შ.);

2) გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და გულნატკენია ბოლო 10 წლის განმავლობაში უკანონო დაჭერების, დევნის, თვალთვალის, ბიზნესის დატერორების, საკუთრების ხელყოფისა და ჩამორთმევის, პოლიტიკური ნიშნით ადამიანებისადმი ანგარიშსწორების, განაჩენის გამოტანის გარეშე ქუჩებში ეჭვმიტანილთა ჩაცხრილვის ან საერთოდ უგზო-უკვლოდ გაქრობის, გამოძიების წარმოებისა და სასჯელის მოხდის პროცესში წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სხვა მიუღებელი მეთოდების გამოყენების, სასამართლოში სამართლის სისტემატურად გამრუდების და მართლმსაჯულების ორგანოდან სასამართლოს ტიპურ ინკვიზიციად გადაქცევის გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყანაში თითქმის 400000 პირის, მათგან უმეტესობის უსაფუძვლოდ და უკანონოდ, მსჯავრდებულთა (თავისუფლებააღკვეთილთა და პრობაციონერთა) ჩათვლით.

ცივილიზებული მსოფლიოსთვის ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ, რას იზამ, ფაქტია (ფაქტი კი ჯიუტია), რომ მავანთა მიერ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულმა, პრაქტიკულად უკვე ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის ხელისუფლებამ „მოახერხა“ და საქართველოს საპყრობილეებში გამოამწყვდია 200-მდე პოლიტიკური ოპონენტი, ხოლო დაახლოებით ერთი ამდენი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა;

მოსახლეობის საერთო რიცხვზე გათვლით ამ ოდენობის პოლიტპატიმარი ჰიტლერის, სტალინის და პინოჩეტის შემდეგ მსოფლიოს არც ერთ დიქტატორს არ ჰყოლია, თვით სადამ ჰუსეინსა და მუამარ კადაფსაც კი;

3) გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და გულნატკენია ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნების, მსხვილი წარმოება-დაწესებულებების ჯერ თანდათან გაჩერების, შემდეგ დემონტაჟის, ბოლოს საძირკვლებამდე დანგრევის და ჯართად გაყიდვის, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკების, მხოლოდ მცირე ნაწილის გამდიდრების და საშუალო ფენის არარსებობის გამო.

საქართველო მწარმოებელი ქვეყნიდან გადაიქცა მომხმარებელ, მხოლოდ წვრილ ბიზნესზე (აღებ-მიცემობაზე) ორიენტირებულ ქვეყნად, რომელიც ავსებულია ჩინეთიდან და თურქეთიდან შემოტანილი იაფფასიანი და ხშირად ჯანმრთელობისთვის საზიანო, არცთუ იშვიათად საშიში პროდუქციით.

რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტზეა საუბარი, როცა დღემდე არ დაგვიდგენია სახელმწიფო საზღვრები თითქმის არც ერთ მეზობელთან (გარდა თურქეთისა), ან საერთოდ თუ ღირს ოფიციალურ საზღვრებზე მსჯელობა მაშინ, როცა ფაქტობრივი სახელმწიფო საზღვარი განაწყენებულმა რუსთა იმპერიამ ზედ მცხეთასთან გაგვიტარა, ვერ ვაწარმოებთ ასანთსაც კი და ამ დროს ვიკვებებოდით ილუზიით, თითქოსდა თანამედროვე ტანკებსა და ქვემეხებს უშვებდა ქართული სამხედრო მრეწველობა, რომელიც სინამდვილეში, სამწუხაროდ, არ არსებობს;

4) გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და გულნატკენია 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო ავანტიურის გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა სამაჩაბლოს 200-მდე ქართული სოფლისა და მთელი კოდორის ხეობის ჩათვლით.

ცრუ პრეზიდენტის კუთვნილი ტელევიზიებიდან ნიაღვარივით წამოსული გებელსისეული პროპაგანდით გონებადაბინდული მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დღემდე ნათლად არ გაუსიგრძეგანეგია, თუ რა მასშტაბის უბედურება ეწვია ჩვენს მრავალტანჯულ და მრავლისმნახველ სამშობლოს.

არც ერთი პატრიოტი და თავმოყვარე მთავარსარდალი ასეთ კრახს თავს არ აპატიებდა და, ტყვიას თუ არ დაიხლიდა, დაუყოვნებლივ გადადგებოდა მაინც და პოლიტიკურ ასპარეზს სამუდამოდ გაეცლებოდა.

5) გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და გულნატკენია ბოლო 10 წლის განმავლობაში სახელგანთქმული ქართული კულტურის, დედა-ეკლესიის, მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების, მუსიკის, თეატრის, მასწავლებლების, ექიმების, სპორტსმენების, ჟურნალისტების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულებით, მათი სასიცოცხლო ინტერესებისადმი ნიჰილისტური მიდგომით.

ვისღა ახსოვს ქალები, როგორც ქართული ფენომენი, ახლა მდიდარი, გაქსუებულ-ჩახჩუებული თურქების, ბერძნების, იტალიელების თუ ამერიკელების მსახურებად (უფრო მწარე სიტყვას უნდა ვამბობდე) რომ გადაქცეულან, რათა ყოველთვიურად რამდენიმე ასეული ევრო გამოაგზავნონ აქ დატოვებული ოჯახების სარჩენად.

სტუდენტობას და ახალგაზრდობას, როგორც საზოგადოების ყველაზე გულწრფელ და ხალას ნაწილს, მაშინ ეძახიან, როცა დიდი შეკრებებისთვის ანტურაჟი სჭირდებათ;

6) გაბრაზებული, შეურაცხყოფილი და გულნატკენია განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისეთმა დიდმა ადამიანმა და გულანთებულმა მამულიშვილმა, როგორიც არის ბიძინა ივანიშვილი, მართალია, თავის გადადებით უწინამძღვრა უკმაყოფილო ქართველებსა თუ ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნების მოქალაქეებს და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხერხემალში გადატეხა სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმი, მაგრამ უკვე 1 წელი სრულდება და საარჩევნოდ დაპირებული გეგმები უკიდურესად ნელი ტემპით ან საერთოდ არ ხორციელდება.

ადამიანებს ზოგადად ახასიათებთ სულსწრაფობა, მაგრამ არის პირველი რიგის ამოცანები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს და არის საკითხები, რომლებიც შედარებით მოიცდის.

სად გაგონილა, რომ პოლიცია-პროკურატურა-სასამართლო, მთელი სამართლებრივი სისტემა იმართებოდეს იმ საკადრო კორპუსით, რომელმაც სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობის“ და „ყველანი ციხეში“ ფაშისტური პრინციპებით სისხლსა და ცრემლში აბანავა მთელი საქართველო. მაღლა ღმერთს და ძირს მოქმედ ხელისუფლებას შეჰღაღადებენ გირგვლიანის და მისი ვაჟკაცი დედის ირინა ენუქიძის, აკადემიკოს გურამ შარაძის, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, პოლკოვნიკ თეთრაძის, პრემიერ ჟვანიას და მასთან ერთად დაღუპული აზერბაიჯანელი ყმაწვილის უსუპოვის, სამაჩაბლოში გმირულად ჩაწყვეტილი სამშობლოს ჯარისკაცების, საპატიმროებში წამებით გარდაცვლილი ტუსაღების სულები და სამართალს ითხოვენ.

ძალიან ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ადეიშვილ-მერაბიშვილ-ბოკერია-კუბლაშვილის გამოზრდილებისა და პროტეჟეების თუნდაც მცირედით გაკეთილშობილება შეიძლება და ისინი ქვეყნისა თუ ხალხისთვის სასარგებლო საქმეს მომავალში მაინც გააკეთებენ.

უთუოდ სწორია: „როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდების, არც მარჩხიბი (მორიელი) იწყებს მართლად ვლას“.

რომელი უკანონოდ მსჯავრდებულის რეაბილიტაცია მოხდა ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე და ვის აუნაზღაურდა ვაი-სახელმწიფო მოხელეებისა თუ კერძო კომპანიებისგან მიყენებული მატერიალური, მორალური და ფიზიკური ზიანი, ვის დაუბრუნდა უკანონოდ წართმეული ქონება და ბიზნესი –სამწუხაროდ, არავის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბ-ნ ბიძინა ივანიშვილზე უკანონოდ ექსპროპრირებულ 80 მილიონს, რომელიც მისივე მაღალი ავტორიტეტისა და ხალხის თვალში იმიჯის შენარჩუნებისთვის, ალბათ, ჯობდა, ან საერთოდ დარჩენოდა სახელმწიფოს და მოხმარებოდა ღარიბ-ღატაკი მოსახლეობის, მაგალითად, იპოთეკარების გამწვავებული პრობლემის მოწესრიგებას, ან მილიარდერს, რომელსაც ღვთის წყალობით, ფული არ უჭირს, კუთვნილი თანხა მას შემდეგ მიეღო, როცა ყველა დაზარალებულები დაკმაყოფილდებოდნენ.

ყოველ ხელისუფალს მუდამ უნდა ახსოვდეს ძველ ლათინთა შეგონება: „თუნდაც ქვეყანა დაიღუპოს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს“.

ყველაზე კარგი ის იქნებოდა, ქვეყანაც შევინარჩუნოთ და სამართალიც დროულად აღსრულდეს.

ჭეშმარიტი ხელისუფალი უნდა ცხოვრობდეს ისე, როგორც მისი ხალხი ცხოვრობს, თუმცა რეალობა სულ სხვას გვიჩვენებს. კარგა ხანია ხელისუფლება საქართველოში დაშორდა საკუთარი ხალხის ჭირსა და ლხინს და მოსწყდა მის ძირებს. დედამიწის ზურგზე ვერც ერთი დემოკრატიულად მოაზროვნე ვერასოდეს უარყოფს, რომ ხელისუფლების წყარო არის მხოლოდ ხალხი.

ერთი, რომელი მინისტრის, დეპუტატის, დეპარტამენტის თავმჯდომარის, მერის, გამგებლის თუ სხვა ბობოლა ჩინოვნიკის ოჯახის წევრი არის გადახვეწილი ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ. ანუ მათ არა აქვთ ამის საჭიროება, როცა მოსახლეობის უმეტესობა, რომელმაც ხელი ჩაიქნია საკუთარ ქვეყანაში ნორმალურად არსებობის პერსპექტივაზე, ყოველწლიურად ტოვებს მრავალსაუკუნოვან საცხოვრისს და ბედის საძიებლად მიეშურება უცხოეთში, სადაც, არავინ იცის, რა ელით.

ყველა ჩამოთვლილ და მსგავს დილემათა გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს ჩამოყილიბებული აქვს მკაფიო, დასაბუთებული და პრაგმატული ხედვა, რომელიც განსხვავებულია დანარჩენ საპრეზიდენტო კანდიდატთა ხედვისგან.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ პრეზიდენტობის სხვა მსურველთა პროგრამები უვარგისია ან თავად ეს პიროვნებები (ყოველ შემთხვევაში, მათგან რამდენიმე მაინც) არ გამოდგებიან ქვეყნის ხელმძღვანელად.

დღევანდელ კანდიდატთაგან ბევრის გამოყენება უყოყმანოდ შეიძლება ამა თუ იმ სახელისუფლო უბანზე და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი მომავალი პატრიოტი და გონიერი პრეზიდენტი ამას უეჭველად გააკეთებს.

ყველა პროფესიონალი კადრი, ვისაც ხელი არა აქვს გასვრილი საკუთარი ხალხის სისხლში, არ ჩაუდენია დანაშაული და შესწევს უნარი, აქვს ცოდნა და გამოცდილება, წარმატებით იმოღვაწეოს ხელისუფლების ამა თუ იმ რგოლში, აუცილებლად უნდა იქნეს დატოვებული ან გამოყენებული შესაბამის სამსახურებში.

სხვათა შორის, წინა პერიოდის სახელმწიფოებრივი პრაქტიკისაგან განსხვავებით ჩრდილში არიან მოქცეული ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში წლების განმავლობაში მომუშავე კეთილსინდისიერი და კვალიფიციური, ამა თუ იმ დარგის კარგად მცოდნე, ერთგული საჯარო მოხელეები, რომელთა წამოწევა და დანიშვნა თავისუფლად შეიძლება მაღალი იერარქიის თანამდებობებზე.

რადგან ხელისუფლება მთელი ქვეყნისაა და მის ყველა სოფელს, რაიონს, ქალაქსა და რეგიონს თანაბრად უნდა ემსახურებოდეს, წარმოუდგენელია ყველა მინისტრი, სხვა სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები მხოლოდ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ვერა-ვაკესა და საბურთალოზე იყვნენ დაბადებულ-გაზრდილნი. ადგილობრივი სპეციფიკა და პრობლემები რაც უფრო მეტ ხელმძღვანელ თანამდებობის პირს ექნება გაცნობიერებული, მით უკეთესად წავა ხალხისა და ქვეყნის საქმე.

ეშმაკსაც წაუღია სააკოვი და მისი ბანდა, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყველა აქტივისტის ჩათვლით, რომელთაც სამარცხვინოდ დაამთავრეს 10-წლიანი დანაშაულებრივი მმართველობა. ისინი, როგორც ქვეყნის ჯანსაღი სხეულის სიმსივნური ნაწილები, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიკვეთონ, რათა ორგანიზმი გადარჩეს. მაგრამ, იქნებ ვინმე დაფიქრდეს, ხომ არ არის ნაჩქარევი და არაგონივრული გადაწყვეტილებები პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში დაბრუნების და ქუთაისის ამქცევი გზის (თერჯოლა-სამტრედიის ავტობანის) მშენებლობის შესახებ. ისედაც გამესამედებული და საღამოს 6-7 საათის შემდეგ ლამის ჩამკვდარი 3500-წლოვანი ისტორიული ქალაქიდან (არადა, ყველა ევროპულ ქალაქში ამ დროის შემდეგ იწყება გამოცოცხლება) ხელთ არ შეგვრჩეს ახლო მომავალში ქუთაისელთაგან პირწმინდად დაცლილი ბაღისკიდე, ჭომა-გორა-საფიჩხია და სამაგიეროდ ჭიანჭველებივით მომრავლებულ ჩინელთა მსხვილი დასახლებები ავტოქარხანაში (სოფ. მაღლაკის

▶▶ დასასრული მე–4 გვ.

▶▶ მე-3 გვერდიდან

დასაწყისში). დიდი დავითის ქალაქში მსგავსი სავალალო პერსპექტივა სავსებით რეალური ჩანს და ეს რომ დაინახო, ამისათვის არც ნოსტრადამუსობაა საჭირო და არც ვანგა..

ქართული სახელმწიფო იმდენად დაკნინებულია, რომ მისი საზღვრები ლამის ზუგდიდს, გორსა და თბილისს მიუახლოვდა. თუ ასე გაგრძელდა, ვერც სადღეგრძელოები გვიშველის და ვერც სიმღერა და ცეკვა-თამაში, რაზედაც ქართველთა გამორჩეულობას ერთ-ერთ ბოლო საგაზეთო ინტერვიუში ავბედითად დასცინა ქართველთა სიძემ და ამავდროულად დაუძინებელმა მტერმა, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა, ან გარდაცვლილმა სერგეი ბაგაფშმა.

თბილისი სულ უფრო ემსგავსება ჯუჯა სახელმწიფოს და კარგავს ერთიანი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრის ფუნქციას.

ქართველი ხალხი არც ბრმ ან ყრუა და არც ამნეზია სჭირს. სამშობლოს წინაშე მიხუინების მიერ ჩადენილ თითოეულ ავკაცობას ერის ისტორიული მეხსიერება სამუდამოდ შემოინახავს. უდიდესი საქმე გააკეთა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“, რომელმაც შემოიღო სპეციალური რუბრიკები: „ჯალათი მოსამართლეები“ და „ჯალათი პროკურორები“, სადაც სააკაშვილის სატრაპ პროკურორ-მოსამართლეთა ფოტოსურათებთან ერთად ქვეყნდება მათი „საგმირო საქმეების“ მოკლე ანოტაციები. საზოგადოებას წინადადების სახით ვთავაზობ, პრესაში დაიბეჭდოს ნაციონალური პარტიის წევრთა ოფიციალური სია მათი პარტიული და სახელმწიფო თანამდებობების მითითებით, რათა შთამომავლობამ ერთხელ და სამუდამოდ იცოდეს ყველას ვინაობა, ვინც დანაშაულებრივ რეჟიმს განასახიერებდა. დრო ყველა ნაკვალევს აფერმკრთალებს და ზოგიერთ კვალს საერთოდ შლის. ვინ იცის, თუ დროზე საჯარო არ გახდა, იქნებ ნაციონალების წევრთა სიაც გაანადგურონ და შემდეგში თქვან, რომ ამ პარტიაში სააკაშვილისა და მაჭავარიანის მეტი არავინ ყოფილა. ასეთ პარადოქსებსაც ნუ გამოვრიცხავთ.

როცა საზოგადოებრივ მეხსიერებაზე ვლაპარაკობთ, მოქმედ ხელისუფლებას სწორედაც რომ ხშირად უნდა შევახსენოთ საარჩევნო დანაპირები სამართლიანობის აღდგენის თაობაზე.

რომ არავინ ჩათვლიმოს და პრესა-ტელევიზიამ შეასრულოს თავისი აღიარებული ფუნქცია „მყეფარე ნაგაზისა“, პერიოდულად უნდა განმეორდეს კლიპები და ინტერვიუები, რომლებშიც პოლიტიკოსები პირობას დებენ თუ რას გააკეთებენ არჩევნებზე გამარჯვების შემთხვევაში. ამგვარი კონტროლის განხორციელებისას ვერავინ გაბედავს, უგულებელყოს ხალხის ნება და დროულად არ აღასრულოს ამომრჩევლებისთვის მიცემული სიტყვა.

დაგვეთანხმებით, სახელმწიფოს მეთაურობა არ არის იოლი საქმე. ენერგიას, ნიჭს, პატიოსნებას, გონიერებას, გამბედაობას თუ ჰარმონიულად არ ერწყმის გაწონასწორების უნარი და პოლიტიკური გამოცდილება, ისე არაფერი გამოვა.

ყოველივე ეს უხვად აქვს მომადლებული ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს, რომელიც პოლიტიკური მოღვაწეობის 30-წლიან ვადას გადასცდა (ან ამ ვადას მალე დაძლევს – ქალებს იოლად რას გაუგებ – ეს ხუმრობით).

უშეცდომო ამქვეყნად არავინ არის, მაღალი ღმერთის გარდა. ალბათ, ქ-ნ ნინოსაც აქვს ხანგრძლივ პოლიტიკურ კარიერაში თავისი წილი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებისა, მათ შორის ზოგიერთი ერთობ დასანანიც კია, მაგრამ მთავარია, რომ მათ ნათლად ხედავს, კრიტიკულად აფასებს და დღითი-დღე აუმჯობესებს მუშაობას ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სხვა კანდიდატთა შორის იგი ნამდვილად გამორჩეულია.

როგორც პრესა წერს, ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი (გვარს შეგნებულად არ დავასახელებ, მაგრამ „ქართული ოცნებიდანაა“), კარგად ქსოვს და პლასტელინივით რბილია. საგაზეთო ინტერვიუდან და სხვა წყაროებიდან ისიც უტყუარად ვიცი, რომ ქ-ნი ნინო ამგვარი ჰობისგან, რომელსაც სულმნათი რუსთველი „ქსლის მბეჭველობას“ უწოდებს („კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“...), შორს დგას, თუმცა ურიგო ტყვიით მსროლელი არ გახლავთ (ნამდვილი იარაღით სროლა მაქვს მხედველობაში და არა პოლიტიკური დუელი, რომელშიც არაერთხელ უსახელებია თავი შინ თუ გარეთ).

დანარჩენი ხალხს მივანდოთ: ამ ბედკრულ და საბედისწერო გზაჯვარედინზე მყოფ ქვეყანას ვინ სჭირდება და ვინ უკეთ გაუძღვება, მაგარი და მსროლელი (ცხადია, მსროლელი ფართო გაგებით) თუ პლასტელინივით რბილი და მქსოველი, მსაჯულმა საჯოს.

ქართულ სახელმწიფოს, სულს, რჯულსა და მართლწესრიგს (სამართლიანობის აღდგენას) ძალიან უჭირს. თუ ამის აღქმა საქართველოს და მის მეგობარ სახელმწიფოთა დედაქალაქებიდან გაძნელებულია, იქნებ ტრაგედია არ არის, მაგრამ ნამდვილად მძიმე შემთხვევასთან გვქონია საქმე.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს რომ გადაეწყვიტა პრეზიდენტობა, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ამომრჩეველთა უმეტესობა მას მისცემდა ხმას. რადგან ბატონი ბიძინა ამას არ აპირებს და, როგორც თავად ბრძანა, 2013 წლის დეკემბრიდან საერთოდ მიდის პოლიტიკიდან, ექსპერიმენტების დრო აღარ რჩება – მომდევნო საუკეთესო საპრეზიდენტო კანდიდატი ქ-ნი ნინო ბურჯანაძეა. ■

ჩარეცხილი განათლება და მეცნიერება სულს ღაფავს

საყოველთაოდ ცნობილია ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიც ჩვენი განათლების სისტემა, მეცნიერება და კულტურა აღმოჩნდა. გაუქმდა საშუალო სკოლა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. ბატონ შაშკინის განცხადება: „ჩვენ ვაფინანსებთ არა უნივერსიტეტს, არამედ სტუდენტს“, დღესაც მოქმედებს და განათლების აღორძინებაზე საუბარი უკვე ზედმეტია.

დღეს სახელმწიფო ისევ აგრძელებს უმაღლესი სასწავლებლების „ვაუჩერებით“ დაფინანსებას და ამით იმ გზას ადგას, რაც განათლების განადგურების მიზეზი გახდა.

უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანი სწავლების შემოღება მთავარი მიზეზია განათლების დონის დაცემისა. როდესაც უნივერსიტეტი სტუდენტების „კმაყოფაზეა“, ის მას ისე „უფრთხილდება“, რომ უსწავლელობასაც აპატიებს და გაუნათლებლობასაც. ერთადერთი, რასაც უნივერსიტეტი სტუდენტს ვერ პატიობს, ეს სწავლის ფულის გადაუხდელობაა. ამ პირობებში შეუძლებელია ახალგაზრდების პროფესიული განათლების დონეზე ლაპარაკი.

განათლების გადარჩენისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუნდაც ორიოდე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის არსებობა და რამდენიმე სახელმწიფო საშუალო სკოლის აღდგენა.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არსებული კანონით, პრაქტიკულად გაუქმებულია ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი და არ არსებობს საშუალო სკოლა. საშუალო სკოლა შეცვალა „საჯარო სკოლამ“ უბადრუკი სასწავლო პროგრამებით და დაუშვებლად დაბალი დონის სახელმძღვანელოებით, რომლებიც მხოლოდ დაწყებითი განათლების დონეს შეესაბამება, მაქსიმუმ 8-კლასიანი განათლებით. სამწუხაროდ, 8-წლიანი სუსტი სასწავლო პროგრამა 12 წლამდეა გაჭიმული. ამ პროგრამის „დაძლევის“ შემდეგ ახალგაზრდას უფლება არა აქვს უცხოეთის ნორმალური დონის უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა, თუ მან იქ თუნდაც იმ უნივერსიტეტთან არსებული დამატებით საშუალო სკოლის რომელიმე კოლეჯი არ დაამთავრა.

თავად ამერიკული ორგანიზაცია RTI-ის განცხადებით, მათ საქართველოში და კამბოჯაში ჩაატარეს განათლების „წარმატებული რეფორმა“ და ვხედავთ, რომ ჩვენი განათლების სისტემაც სწრაფად დავიდა აფრიკის განვითარებადი ქვეყნების განათლების დონეზე.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს, ყველა „საჯარო სკოლა“ კვლავ „საშუალო სკოლა“ გახდეს (ეს არც არის საჭირო), მაგრამ აუცილებელია, რომ დიდ ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში აღდგეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო საშუალო სკოლა შესაბამისი სასწავლო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით. რაიონულ ცენტრებში საშუალო სკოლას შესაძლოა ინტერნატის ფორმა მიეცეს. სწორედ ამ სკოლებში უნდა მოიყაროს თავი ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, სადაც სწავლება იქნება მკაცრი წესებით, მაღალი დონის ყოველწლიური გამოცდებით და მოსწავლეების განთესვით აკადემიური წარმატებების მიხედვით. ამის პარალელურად უნდა შეიქმნას სხვადასხვა მიმართულების „სახელობო“ სასწავლებლები, სადაც 8-წლიანი „საჯარო სკოლის“ კურსდამთავრებულნი სწავლას გააგრძელებენ 3-4-წლიანი სასწავლო პროგრამებით და გარკვეულ პროფესიას მიიღებენ.

ჩვენ უნდა შევძლოთ სახელმწიფო საშუალო სკოლებში ნიჭიერი ბავშვების მოზიდვა, რათა მივცეთ მათ უცხოეთის მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. საუბედუროდ, ჩვენს უნივერსიტეტებში მეცნიერს ველარ აღვზრდით.

მართლაც, დღეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელიც აღარ არსებობს, რადგან ყველა უნივერსიტეტი სტუდენტების გადასახადებით ფინანსდება (მათ შორის სახელმწიფო ვაუჩერების გზით, რომელიც მთლიანი დაფინანსების დაახლოებით 4%-ს შეადგენს). ეს დაფინანსებაც იმდენად მწირია (30-60 მილიონი ლარის ფარგლებში), რომ მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია (საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიუჯეტი მილიარდ აშშ დოლარს აღემატება).

დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა, რომ ყველა არსებულ უნივერსიტეტს შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდეს, მაგრამ უნდა გამოიყოს 3-4 უნივერსიტეტი, რომელიც მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავა. სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსება არ უნდა იყოს დამოკიდებული სტუდენტთა რაოდენობაზე. სტუდენტი არ იხდის გადასახადს, იღებს სტიპენდიას, მაგრამ აკადემიური წარუმატებლობის შემთხვევაში ტოვებს სახელმწიფო სასწავლებელს და ფასიან სასწავლებელში გადადის.

სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს მხოლოდ ის უნივერსიტეტები და სპეციალობები, რომლებიც ქვეყნისთვის საჭირო უმაღლესი დონის სპეციალისტების მომზადებას უზრუნველყოფს ფუნდამენტური მეცნიერებების, საინჟინრო-ტექნოლოგიური, სამედიცინო და ხელოვნების დარგებში. ამდენად, უნდა აღდგეს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ხელოვნების სახელმწიფო აკადემია (კონსერვატორია, სამხატვრო, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტები). დასაშვებია ამ დარგის ფასიანი უნივერსიტეტების არსებობაც, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტებში უნდა განხორციელდეს უმაღლესი დონის სასწავლო პროგრამები მკაცრი სასესიო და სახელმწიფო გამოცდებით, რათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომები მხოლოდ ღირსეულმა, ნიჭიერმა კურსდამთავრებულმა მიიღოს. ამ უნივერსიტეტებშიც უნდა დაიშვას ფასიანი სექტორი ნაკლებად ნიჭიერი სტუდენტებისთვის გამარტივებული სასწავლო პროგრამებით.

ჩვენთან არსებობდა ნიჭიერ მუსიკოსთა ათწლედები და სწორედ მათ უნდა ვუმადლოდეთ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების არსებობას. სწორედ ამ ნიჭიერმა ბავშვებმა გაუთქვეს სახელი ჩვენს კონსერვატორიას. დღეს ეს მუსიკოსები მთელ მსოფლიოშია განფენილი და მათი წარმატებებითაც დიდად ვამაყობთ. თუმცა, ამჟამინდელ საქართველოში მათი დაბრუნება აზრს კარგავს. ასევე უაზროა ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერების აქ დაბრუნება, რადგან მათ აქ ნორმალური სამუშაო და ფინანსური პირობები არ დახვდებათ.

შეუძლებელია მეცნიერების (განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერების) განვითარება სრული სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე. სამეცნიერო გრანტების გაცემის სისტემამ ვერ გაამართლა, რადგან საზღვარგარეთ გადის ისეთი ღირებული ინფორმაციაც, რისი გასვლაც დღევანდელი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში დაუშვებელია. თანაც, ასეთი პროექტები ძალზე იშვიათად ფინანსდება, თუმცა საზღვარგარეთის ფირმები მათ თავიანთ სასარგებლოდ წარმატებით იყენებენ. უნდა შევიცნოთ, რომ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი დღითი-დღე მცირდება, რადგან ნიჭიერი ახალგაზრდებით სამეცნიერო დაწესებულებების შევსება აღარ ხდება, ხოლო ნიჭიერი ახალგაზრდების სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ აქ არსებულ სამუშაო პირობებზეა დამოკიდებული..

ცხადია, მაღალი დონის რამდენიმე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის არსებობა ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების საზღვარგარეთ გადინების შემცირებას. ქვეყნისთვის საჭირო სპეციალობები სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს პირდაპირი გზით და არა სტუდენტური ვაუჩერებით.

აუცილებელია ახალგაზრდების ობიექტური რანჟირება ატესტატებისა და დიპლომების ხარისხის მიხედვით. ამისთვის საჭიროა, რომ ახალგაზრდის მოსწრება მთელი სასწავლო წლების განმავლობაში ობიექტურად აისახოს ატესტატისა და დიპლომის დანართში. არ შეიძლება დიპლომების უნიფიცირება. ყველა უმაღლეს სასწავლებელს თავისი რეიტინგი უნდა ჰქონდეს სახელმწიფო აკრედიტაციის შედეგებიდან გამომდინარე.

თვით სახელმწიფო ატესტაცია უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებს და არსებულ სასწავლო და სამეცნიერო ბაზას, არამედ კურსდამთავრებულთა წარმატებებსაც მათი შემდგომი საქმიანობიდან გამომდინარე.

დღეს ჩვენი განათლების სისტემა განიცდის მაღალი დონის მასწავლებლებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობას. მართალია, მაღალი დონის მასწავლებელთა ნაკლებობას ევროპისა და ამერიკის მრავალი ქვეყანა განიცდის, მაგრამ ისინი ამ ნაკლს ნაწილობრივ მაღალი დონის სახელმძღვანელოებით ავსებენ. ჩვენთან კი არა მარტო უმაღლესი სკოლა, არამედ საჯარო სკოლაც კი არ არის უზრუნველყოფილი თუნდაც საშუალო დონის სახელმძღვანელოებით. ამიტომ სტუდენტობა ძირითადად კონსპექტის ამარა რჩება.

სამწუხაროდ, დღეს სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი ფორმირდება არა აბიტურიენტის ცოდნის დონით, არამედ სასწავლებელში მისაღები სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. სასწავლებელში მისაღები კონტინგენტის რაოდენობა აბიტურიენტის ცოდნის დონეზე უნდა გადიოდეს. დღეს უნივერსიტეტები აბიტურიენტებს დაეძებენ, რადგან საკუთარ ფინანსურ გადარჩენაზე ფიქრობენ. ამასთანავე, საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობის დონე იმდენად დაბალია, რომ საქართველოში უნივერსიტეტების არსებობა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამრიგად, დღეს სკოლის უპირველესი ამოცანა სასწავლო პროცესის დახვეწა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაა. სწორედ ამიტომ უნდა დაარსდეს მაღალი დონის სახელმწიფო უმაღლესი და საშუალო სკოლები.

ძალზე დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი მაღალი დონის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შესაქმნელად. ამ მძიმე ამოცანის შესრულება უნდა შეძლოს ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ, რათა ავაღორძინოთ ჩვენი ერის ერთ დროს მაღალი ინტელექტუალური დონე და განვავითაროთ ქართული ნიჭი.

მერაბ ჯიბლაძე

როგორი არ უნდა იყოს ადამიანი
(ციკლიდან – ომი ბნელეთთან)

კოალიცია „ქართული ოცნების“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის და პოლიტექნიკური უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების საყურადღებოდ!

ჯემალ დავლიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ახლად დანიშნულმა რექტორმა – ვლადიმერ პაპავამ, თავის მრჩევლად რეზო მიშველაძე დანიშნა!

იქნებ ვინმეს გაუკვირდა, მაგრამ... პირადად მე გული მიგრძნობდა! ამიტომაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№60, 2013 წ.) პაპავას სიტყვასიტყვით დავუწერე:

„თხოვნით მივმართავ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ახლადარჩეულ რექტორს, ჩინებულ მეცნიერს, ბატონ ლადო პაპავას, რომ მათხოვრად მისულ მიშველაძის სამსახურში მიღებამდე წაიკითხოს „ლიტერატურულ საქართველოში“ ამ საუკუნის დასაწყისში დაბეჭდილი წერილები!

მოძებნა-მოპოვებაში მე თვითონვე დიდი სიამოვნებით დავეხმარები! დანარჩენი კი წლეულს, ახლად აღდგენილ „ლიტერატურულ საქართველოშია“ და იბეჭდება სათაურით: „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“.

ისე, ვინც ნაციონალური მოძრაობის წევრები აღზარდა, ჩვენს დედაუნივერსიტეტში შესაშვები არ გახლავთ.

ჩემი მხრივ, ვპირდები უნივერსიტეტის რექტორს და სტუდენტებს, – მიშველაძის შესახებ დაწერილი მამხილებელი წიგნის გარკვეული რაოდენობა უფასოდ დარიგდება!

მართლაც, არასგზით არ შეიძლება სულიერებისა და სინდისისგან ბოლომდე გამოცარიელებული არსების უნივერსიტეტთან მიკარება!

მკითხველმა ნახა, რას ბჟუტურობს მიშველაძე თავის „მეცნიერულ ნაშრომებში“ და, წარმოიდგინეთ, რა აქვს მონაჩმახი ლექციებზე. ცნობილია, რომ მისთვის არ არსებობს არავითარი სიწმინდე, წმინდანი! იგი საკუთარ ნაყალბევში შეურაცხყოფს ყველაფერს, რაც კი ქვეყანაზე ფასეულია!

გახსოვთ, მიშველაძემ ბოლშევიკებად როგორ ურცხვად შერაცხა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟაფშაველა, გალაკტიონი და რევოლუციის წითელი დროშა ააფრიალებინა!“

ბატონებო! ამას ვწერდი 2013 წლის 6 სექტემბერს, ხოლო სულ რაღაც ერთ კვირაში, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მომდევნო ნომერში (#61, 2013 წ.), ჩვენი დაბეჩავებული და გარყვნილი საზოგადოების დიდი ნაწილის შემხედვარემ, დაეჭვებით, აი, რა განვაცხადე:

„მიშველაძე მთელი თავისი შიგთავსით ფაშისტურზე უარესი ნაცმოძრაობის დაპატარავებული სახეა! როგორც ოკეანის წვეთი ჰგავს შემადგენლობით დიდ ოკეანეს, ზუსტად ასეა!

როგორც ჩანს, საზოგადოება მუდამ ფეხმძიმედაა მიშველაძეების დასაყრელად, აღსაზრდელად და გამოსაკვებად! უფრო მეტიც – მზარდი და დიდი მოთხოვნილებაა ასეთი ჭინკების გამოსაყვანად! ამიტომ არც გამიკვირდება, რომ მიშველაძე მაინც მიიწვიონ უნივერსიტეტში, სადაც იგი სულ მალე კვლავაც აღზრდის ქვეყნის დამღუპველ თაობას. მერე კი... ნაციონალური მოძრაობაც კი სანატრელი იქნება!“

არ ვიცი, ვლადიმერ პაპავას წაკითხული აქვს თუ არა გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და, საერთოდ, იგი კითხულობს თუ არა, მაგრამ... ვატყობ, ჩემგან ოდნავ ნაქები ეს პერსონა კარგს არაფერს გამომტყუებს! თვითონ თუ ფეხებზე ჰკიდია საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის აზრი, იქნებ მეგობრებმა, შინაურებმა, ოჯახის წევრებმა დაარწმუნონ, რომ თვალი გადაავლოს დღევანდელ დღეს, ირიბად მაინც ჩაჰკრას მზერა თითქმის ერთადერთ გაზეთს, სადაც მიშველაძეთა შესახებ სიმართლე იბეჭდება!

სულ სხვა საქმეა, თუ პაპავამ ყველაფერი იცის და მიშველაძეს უსაზღვროდ ეტრფის!

იმედია, ბატონი ვლადიმერი არც ისეთი ტუტრუცანაა, არ გრძნობდეს, მიშველაძის დანიშვნით რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს! უფრო მეტიც – ხორცის გასატარებელ ხელსაწყოში – „კატლეტის მანქანაში“ ყოფს არა თითებს, არამედ თავსაც!

ჯერჯერობით მეტს არაფერს ვიტყვი, ერთის გარდა: არ მაქვს სურვილი, ჩემს ვრცელ წიგნში, რომლის სათაურია „როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“, მიშველაძესთან ერთად პაპავას გვარიც გამოჩნდეს და ამაში, უნივერსიტეტის ახალთ-ახალმა რექტორმა ხელი ნებაყოფლობით შემიწყოს!

ბატონო ლადო... მანამ ასე პატივისცემით მოგმართავთ, გთხოვთ, გადახედეთ თქვენს გადაწყვეტილებას, თავი აარიდეთ მიშველაძეს და გადაარჩინეთ უნივერსიტეტი ამ ქვებუდანისაგან!

„დისერტაციებს ვაგებთ იმაზე, თუ ვინ იგულისხმა ილია ჭავჭავაძემ „კაცია ადამიანში“. რა საჭიროა ამისი დადგენა?“

ხომ არ ეშინია მიშველაძეს? ხომ არ ჰგონია, იგი ლუარსაბ თათქარიძეს შეიძლება ვინმემ შეადაროს? მწარედ ცდება, რადგან ლუარსაბი – შედარებით მიშველაძესთან, გახლავთ უსპეტაკესი ადამიანი და უფრო კაცი!

ახლა მცირეოდენ შევისვენოთ და მიშველაძის უკუღმართობებს ჩავხედოთ. ვნახოთ, რაოდენი ამბიციაა ამ კაცში. თავი ვინ ჰგონია, ვის მოწაფეობას იბრალებს, როგორ განსჯის, ვის გვერდით აყენებს საკუთარ პერსონას... ვნახოთ, რა „გულმავიწყია“ და ყველა ჭურჭელს მორგებული რანაირი „პრობკაა“.

კვლავ მისი წიგნი! სახელწოდება – „სიტყვა და საქმე“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი – 1987):

„ჩემი თაობის კაცი ბავშვობისას რომ იდუმალი გარინდებით ჩაუვლიდა კოლხური კოშკის გალავანს და მერე კონსტანტინე გამსახურდიას მოწაფეობა და უმცროსი მეგობრობა არგუნა ბედმა, ახლაც მისი სულის კამერტონზე ზომავს და სწონის თავის ნაბიჯს“ (ეჭვი არაა – საკუთარ თავზე გვესაუბრება ამხანაგი და კომუნისტი მიშველაძე!).

შემდგომ კი, სულ აქვე, კონსტანტინე გამსახურდიას მატყუარასაც უწოდებს:

„თავისი ევროპული განსწავლულობის სალაროდან ისეთ ტყუილსა თუ მართალს ამოიღებდა, რომ გამოუცდელ მოსაუბრეს პირი დაგეღო“ (გვ. 5).

რა თქმა უნდა, მიშველაძე თავისი საზომით ზომავს! მისთვის ხომ სულ ერთია ტყუილიც და მართალიც!

მიშველაძე გულწრფელობასაც ეპოტინება:

„ეს პატარა წერილი გულწრფელობაზე საუბრით მინდა დავიწყო. ყოველი დროის მწერლის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება გულწრფელობა გახლავთ (გიკვირს მკითხველო? ჯერ სადა ხართ?ჯ.დ.). თოვლის ყორესავით დროებითია დიდება იმ შემოქმედისა, რომელიც თავისი ეპოქის ჭეშმარიტი სურათის შექმნის პრეტენზიით აღიჭურვება და სინამსვილეში კი უნამუსოდ ტყუის... პირდაპირ დავსვათ კითხვა: სწორ წარმოდგენას მისცემენ თუ არა ჩვენი წიგნები მომავლის მკითხველს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოში“ (გვ. 39).

„ჩემს ნაფიც კოლეგებს რომ გადავხედავ ხანდახან, სინანულით გული მეკუმშება, სად დაიკარგა თანადგომის, ერთპიროობის, დასახული მიზნისთვის მონოლითურად ბრძოლის მაღალი იდეა, ხალხს პირობად რომ დავუდეთ, როცა კალამი ავიღეთ ხელში?“ (გვ.40).

აქ მსურს მკითხველს ვუთხრა, რომ კომენტარი თვითონ გააკეთოს, მე კი ჩემი წინამდებარე წიგნით ამ მედროვეს და ცრუპენტელა ვაიმწერალს კუბოს ვუმზადებ, თანაც, მასალად მუხა ავარჩიე, შემდგომ „ცინკში“ გავხვევ, რომ იქიდან არასოდეს ამოხოხდეს მისი ჟანგიანი და ბოროტი აზროვნება. უნდა დავლურსმო კიდეც... მიშველაძეს კი ჰგონია – მის წიგნებს, ამ მართლაც სიცრუეებით ამოტენილ-ამოვსებულ ქაღალდთა გროვას, მომავალი ქართველი რაიმეში გამოიყენებს, მაგრამ... ცდება! თანაც მწარედ ცდება! ჩემი წიგნი მას ყველგან და ყოველთვის მიეწევა და „საკუთარ უნამუსობას ზედ წააკლავს!“

თუმცა მიშველაძე თავისას უბერავს და უბერავს:

„სიმართლის სამსახური (ნეტავ, ვის ეუბნება? რა თქმა უნდა, თავის თავს, ოღონდ ინსტინქტი ალაპარაკებს. საკუთარ თავზე მეტყველებს და ვერ გაუგია!ჯ.დ.) და მაღალი პროფესიონალიზმი უნდა იყოს ჩვენი დევიზი. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ლიტერატურა გულისა და სისხლის ბოლომდე გაუცემლობას არ გაპატიებს. გერქვას მწერალი, ერის სამსახურის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობაა და ნურავინ ეცდება იგი სხვა ათასი საქმის პარალელურად სასხვათაშორისოდ აკეთოს“ (გვ.47).

ვეჟო, ხომ ხედავთ, მიშველაძე თვითონვე ამბობს – „არ გაპატიებენ, ნურვინ ეცდება მწერლობა სხვა ათასი საქმის პარალელურად აკეთოს“-ო. სწორედაც მისი – მიშველაძის ამ სურვილს ვასრულებ და ამის შემდეგ ნურვინ მისაყვედურებს – რას ერჩი ამ საცოდავსო!

P.S.

მიშველაძე თავისი უდღეური ნაჩმახი ამბებით (თვითონ რომ ნოველებს არქმევს!), ჯერაც გაუგონარ „ფრონტს“ ხსნის და თქვენ წარმოიდგინეთ – მსოფლიოს ორ უდიდეს ზესახელმწიფოს: ჩინეთს და რუსეთს ებრძვის!

მიშველაძის მიერ გამოცხადებულ ომს თავისუფლად შეიძლება უწოდო „სექსპორნოფრონტი“, ოღონდ პირდაპირ, ჯიქურ, ხმალამოღებით კი არ მიდის შეტევაზე, არამედ ქვეტექსტებით, მინიშნებებით ცდილობს თავი გაიტანოს!

აბა, ვნახოთ მიშველაძის ნავაჟკაცარი – წავიკითხოთ ნაწყვეტები ორი სხვადასხვა მიშველთჩმახვებიდან, ანუ ნოველებიდან, რომლებშიც იგი ძირითადად ჩინეთისა და რუსეთის წარმომადგენლებში სასქესო

▶▶ გაგრძელება მე–6 გვ.

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ 52–62

◀◀ მე-5 გვერდიდან

ორგანოების და სექსუალური ნაირგვაროობის „კვლევა-ძიებითაა“ დაკავებული:

„დელისის მეტროსთან ორი ჩინელი გამოჩნდა... ერთი სიმაღლისანი იყვნენ... ორივენი მამაკაცები იყვნენ... (ამ ნოველის ავტორი მკითხველს არაფერს ამადლის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორმა ტვირთის ქვეშ გადრეკილი, ერთნაირად წაკუზული სტუმრების სქესის დადგენა გულდასმით დათვალიერების შემდეგ მაინც შეძლო).“

მიშველაძე გულგახსნილობით აცხადებს, რომ ორი წაკუზული ჩინელის სქესის დასადგენად დიდი შრომა გასწია, ანუ „გულდასმით გარეგანი დათვალიერება“ ჩაატარა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცას ეწია სიხარულით, რომ მამაკაცები აღმოჩნდნენ. გთხოვთ, თანაც დაბეჯითებით, მიშველაძის მოყვარულ-დამცველებმა წარმოიდგინოთ – როგორ მიეპარა მონაჩმახის, ანუ ნოველის ავტორი მიშველაძე ორ წაკუზულ მამაკაცს, როგორ მიიტანა თავისი უტუჩო პირი-სახე ჩინელების უკანალებთან და რანაირად შეძლო შარვალში შეემჩნია მამაკაცის კვერცხები და ზედ დაკიდული ინსტრუმენტი? მიშველაძეს თვალებში ნამდვილად არა აქვს რენტგენი. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერაფერს დაინახავდა! მაშ, რა უნდა ვიგულისხმოთ „გულდასმით გარეგან დათვალიერებაში“, თუ არა ხელის მოვლება და მოსინჯვა? მიშველაძეს მთლად პირუტყვის ინსტინქტი რომ გააჩნდეს, ვიტყოდი, რომ ცხვირით, ასუნვა-დასუნვით გამოარკვია ჩინელები მამაკაცები იყვნენ თუ არა, მაგრამ „ცოცხალმა კლასიკოსმა“ მართლაც კლასიკურად – თითების მეოხებით, როგორც ქათამს კურტუმში მოწოლილი კვერცხი, ისე გაუსინჯა ყვერები და კმაყოფილებით დაწერა ე. წ. ნოველანაჩმახში: ბოლოს და ბოლოს მაინც შევძელი ამ ორი ჩინელის სქესის დადგენაო!

ბიჭოს! ახლა კი მართლაც დაინტერესდება მკითხველი, ამის შემდეგ რა იღონა მიშველაძე-ავტორმა? მაინც რისთვის დასჭირდა „გულდასმითი დათვალიერება“, როცა ის ორი ჩინელი სუბიექტი ქალურად სულაც არ ყოფილა ჩაცმული! თუმცა გასაგებია: მიშველაძე იმას გვეუბნება, რომ ჩინელების სქესის დადგენა ძნელია, ქალიც და კაციც ერთმანეთს გვანან და მე, ცოცხალმა კლასიკოსმა, დიდი ვაი-ვაგლახით შევძელი ამისი დადგენაო!

მიშველაძის მოტრფიალენი იტყვიან – რა ამაზრზენი ამბავია, ამას მიშველაძე როგორ იკადრებდა, დავლიანიძე უგონებსო, მაგრამ სად წაუხვალთ „ასავალ-დასავალს“ (32, 2007 წ. გვ. 11), სადაც ჩინელი მამაკაცების ფოტოში ჩაუკვეხებიათ უგზო-უკვლოდ ტუჩებდაკარგული მიშველაძის სურათი?

შემდგომ მიშველაძე ჩვეულ ბოდვა-ყბედობას აგრძელებს და მოგვითხრობს:

„მერე (ჩინელები! ჯ. დ.) სიცილ-სიცილით გაიქც-გამოიქცნენ, საპარიკმახეროს უკან ჭადრის ხესთან მიდგნენ და დიდხანს კოლექტიურად ფსამდნენ, თანაც თავიანთ პაწაწკინტელა ჩინურ მამაკაცურ ღირსებებზე ხელები ჰქონდათ წაფარებული.“

აქედან ნათლად ჩანს, რომ მიშველაძე უკიდურესი გარყვნილებით შეპყრობილი არსებაა! თან არც მალავს, რომ თვით „ამ ნოველის ავტორია“ ნაწარმოების გმირი, რომელიც „წაკუზულ სტუმრებს“ საკვერცხეებს უსინჯავს სქესის დასადგენად და შემდეგ „ჭადრის ხესთან მიმდგარ, კოლექტიურად“ მშარდავ მამაკაცებს მალულად უთვალთვალებს, რათა ნახოს – რა სიგრძის „მამაკაცური ღირსებები“ ჰკიდიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინელი მამაკაცები ცდილობდნენ, ჭადარს მოფარებოდნენ, ასოებზე „ხელები წაეფარებინათ“ და ისე მოეშარდათ, მიშველაძე-ავტორი იმდენად გატანჯულა, ავადმყოფურ ცნობისმოყვარეობას იმგვარად აღუტაცია, სექსუალურ აღგზნებას ისე გაუთანგავს, მაინც მოუხერხებია და დაუდგენია, – „პაწაწკინტელები“ ჰქონიათო!

მიშველაძე თავის თავს ბოლომდე აშიშვლებს! ნამდვილად სამწუხაროა მისი სექსუალური ორიენტაცია და სიშმაგე! აღვირახსნილობას იქამდე მიუყვანია, თავს ამჟღავნებს და პირდაპირ მიგვანიშნებს – ძალიან კი ეცადნენ ჩინელები, მაგრამ ჩემგან ვერაფერი დამალეს, აღარც ჭადარმა უშველათ და აღარც ხელის მტევნებმა, მაინც დავუნახე „პაწაწკინტელა მამაკაცური ღირსებები“-ო! აქ მიშველაძისთვის მთავარი ის კი არ ყოფილა, რომ სირცხვილია, მშარდავი მამაკაცების ასოების სიდიდე-სიგრძე არკვიო, არამედ ახარებს, რომ ჩინელებს პატარა სირები ჰქონიათ!

ვიცი, რომ მკითხველი აუცილებლად გაიფიქრებს – მიშველაძე თუ არ შეეხებოდა ჩინელებს, ვერასგზით ვერც დაინახავდა, ვერც დაადგენდა, რამხელა მამაკაცურ სიამაყეებს ფლობდნენო, მაგრამ დავტოვოთ ეს არასრულფასოვნებით დაკომპლექსებული მოლაპარაკე ცხოველი და სხვაგან გადავინაცვლოთ!

ვნახოთ, რა აზრისაა და როგორ „ებრძვის“ რუსეთის იმპერიას!

ჩინეთი ხომ ვნახეთ, როგორ „მოაოხრა“, ახლა რუსეთის იმპერიის „განადგურებასაც“ გადავავლოთ თვალი!

ამ „ლაშქრობას“ ასე აღწერს მიშველაძე ე.წ. „მწერის გაზეთში“:

„მივიჩოჩე კედლისკენ. შემომიცურდა ეს თეთრი ქალი ლოგინში და თავის სავსე ძუძუმკლავში ჩამასამოთხა. ხელი თავქვეშ ამომიდო და ტუჩებით ტუჩებზე დამაცხრა.

ქარზე უსწრაფესად გამხადა ტრუსიკი და იატაკზე მოისროლა.

ვნება რომ მოაწვებათ, მაგენმა პირის წამოვლება იციან ასოზე. შიგდაშიგ ასოს კბილებს გაუშვებენ და, კაკოი ტი სლადკი, კაკოი ტი სლადკიო, გეჩურჩულებიან!

რისი დაღლა, რა ძილი, ევიწყვიტე მეც.

ნატაშას რანაირი სუნი ჰქონდა იცი? არა მარტო ქალის და არც მარტო სპერმის, რაღაცნაირი იასამნის და სუფთა სხეულის, ბოდიში მომითხოვია, სექსის სუნი რავა არ გეცოდინება რა არის; სწორედ სექსის სუნი ჰქონდა ტუჩებზე და ყელზე.

ხომ არ გგონია, პირველი გათავების მერე წუთით მომასვენა. ქათქათა, თეთრი პირსახოცით მოხედა ჩემს საოხრესაც, თავის თავსაც. მერე ასო მუჭში მოაქცია და ხელის გაშვებას არ აპირებს. არადა, ხომ უნდა მოითქვა სული, ცოტა ხომ მაინც უნდა წაისვენო!“ (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 13, 2012 წ., გადმობეჭდილია „მწერლის გაზეთიდან“ რუბრიკა „კვირგვინოსნებში“)!

ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, სარცხვინველ-ბოქვენში ულვაშგაპარსული მიშველაძის პირის წკლაპუნი და სრუტუნია!

ამას, რა თქმა უნდა, ყურადღებას არც მიაქცევდა კაცი, საქმე ვიღაც რიგით ჰომოსექსუალს რომ ეხებოდეს, მაგრამ მიშველაძე ხომ „ცოცხალი კლასიკოსია“, რუსთაველის პრემიის ლაურეატია, პროფესორია, ლექტორია და, როგორც ახლახანს მაცნობეს – თურმე „ქართული ოცნება“ დახმარებასაც აძლევს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ გამოჩენილ, დამსახურებულ მოღვაწეს! 1500 ლარი ყოველთვიურად ირიცხება მის ანგარიშზეო!

აი, ასე და ამგვარად, ბატონებო: ნატაშას პაწაწინა „მუჭში“ მოქცეული მიშველაძის „საოხრე“-ა ამ იშვიათი ეგზემპლარის კაცთმოძულეობის, გააფთრების და გაშმაგების მიზეზი! ამ მხრივ მთელი ცხოვრება იტანჯება, იცის, რომ ბუნებამ იგი სამუდამოდ დასაჯა და ერთადერთ შვებას ჩინელების „პაწაწკინტელა მამაკაცურ ღირსებებში“ ეძებს!

ისე მონდომებით არკვევს, ვის დიდი აქვს და ვის პატარა – მთელი ცხოვრება ამაზე აუგია! სძულს ყველა და ყოველივე!

რა მოხდენილად უთქვამს თავის დროზე ცხონებულ ოტია პაჭკორიას:

„მე არ ვიცი ძალა, რომელიც ამ კაცს თავის ბნელ გზაზე შეაჩერებს. მასში უაღრესად ბევრია რაღაც იმგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმპოტენტის გაბოროტებისა ნორმალური მამაკაცების წინააღმდეგ... მას ხელთ სულ სხვა რაღაც უნდა ეპყრას... ვაი ქართულ სიტყვასა და აზრს, იგი ყოველ მცირე მონაკვეთზე შობს თითო ჯოჯოსა და მაჯლაჯუნას, რომელიც ადამიანების სულს სახადივით თრგუნავს“.

აი, ასეთია სავალალო დასკვნა იმ მიშველაძის, ანუ „ცოცხალი კლასიკოსის“ შესახებ, ქუჩა-ქუჩა რომ დაძრწის, სექსუალური მანიითაა დაავადებული და ხეებსა თუ მოფარებულ ადგილებში მშარდავ მამაკაცებზე ნადირობს!

ვაი, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც მიშველაძე ნორმალური ადამიანი და ცოცხალი კლასიკოსი ჰგონია!

ვაი, სირცხვილო!

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თამაზ წივწივაძეს

ბატონო თამაზ!

უპირველესად, მინდა მოგილოცოთ საქართველოს მწერალთა აკადემიის პრეზიდენტობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენა. იქნებ ნაგვიანევიც კი იყოს ეს, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ წინაპართა ბრძნული გამონათქვამი: „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“-ო.

მომიტევეთ, რადგან მილოცვასთან ერთად, ვკადნიერდები და გიგზავნით მასალას, რომელიც ეხება 1999-2001 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის მთავარი სამმართველოს შექმნას, მის განვრიანებას საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიაში.

ალბათ, ზედმეტი იქნება ვრცელი საუბარი ამ სამმართველოს როლსა და მნიშვნელობაზე, მით უფრო, მაშინდელ და, საუბედუროდ, ამჟამინდელ საქართველოში, სადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მძიმე პროცესები მიმდინარეობს.

დიახ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობასთან მუშაობის მთავარი სამმართველო ერთი ისეთი რგოლი გახლდათ რთული სახელმწიფო მანქანისა, რომლის მუშაობაზეც მაშინ ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ამ სამსახურის სპეციფიკა, მისი საქმიანობის თავისებურება, მიმართულებები და სირთულენი ყოველი მუშაკისაგან მოითხოვდა კონფლიქტურ გარემოებებში არსებულ პრობლემათა სიღრმისეულ წვდომას, განსაკუთრებულ ცოდნას, მოვლენათა შესაძლო განვითარების პროგნოზირებასა და ღრმა ანალიზის უნარს, ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობებისადმი მართებულ მიდგომას, ცოცხალი მუშაობის დიდ გამოცდილებას, ამასთან, მოთმინების დიდ ძალისხმევასაც.

წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ეჭვქვეშ დადგა ამ სფეროში, ჩვენგან წლების წინ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, შეხედულებები, იდეები, რომელიც წმინდა სახალხო დიპლომატიას ეფუძნებოდა.

ამჟამად, როცა უფრო გართულდა და გამძაფრდა ურთიერთობანი ეთნოსთა შორის, ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ითხოვდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ურთულესი პრობლემა, სხვა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობათა დარეგულირებისა და დალაგების საკითხები.

რა მოგვიტანა წლობით გაწელილმა სამშვიდობო მოლაპარაკებებმა? — არაფერი!

პოლიტიკოსთა უთანხმოებამ ეთნოსურ ურთიერთობათა საკითხი ჩიხში შეიყვანა. ვერა და ვერ გავისაზრისეთ, როცა წინ გზა არ არის, მაშინ უკან, ისევ იმ ადგილას დავბრუნდეთ, საიდანაც დაიწყო ყველაფერი და თავიდან გავაკეთოთ ახალი გზის არჩევანი. უარვყოთ ის, რაც მოცემულია ცნებაში — „თიმოკრატია“. საბოლოოდ გავისაზრისოთ ის დამანგრეველი შედეგები, რაც უცილობლად მოჰყვება პატივმოყვარეთა და მეომართა დიპლომატიას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის მთავარმა სამმართველომ პირველივე ნაბიჯებიდან სახალხო დიპლომატიის გზა ირჩია, გზა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა, გზა ჩატეხილი ხიდის აღდგენისა. მთელი ძალისხმევა მივმართეთ აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისკენ, ამ ომის მონაწილეებისკენ, ღალიძგის იქით და აქეთ დარჩენილ საზოგადო მოღვაწეებისკენ, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისკენ, ქართველებსა და აფხაზებს შორის დროებით შეწყვეტილ ნათესაურ კავშირთა და ურთიერთობათა აღდგენა-განახლებისკენ; ორიენტირად გავიხადეთ მეგობრული, წმინდა ადამიანური, ჭეშმარიტი რაინდული ფასეულობები.

ჩაფიქრებული გვქონდა რიგი პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარება უშუალოდ აფხაზებთან, რის საფუძველსაც იძლეოდა ის ცოცხალი ურთიერთობები, რომელიც გვქონდა აფხაზეთში დარჩენილ მეგობრებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან, იქ მოქმედ ანალოგიურ ორგანიზაციებთან.

ერთ-ერთ პრაქტიკულ ღონისძიებად დავისახეთ აფხაზი ხალხის ღირსეული შვილის, ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის მეხოტბის, დიმიტრი გულიას ძეგლის გარშემო (თბილისში, ორთაჭალაში) მეგობრობის სკვერის გაშენება და იქ „აფხაზთა და ქართველთა სახლის“ მოწყობა. ეს იქნებოდა პატარა, მაგრამ დიდი ცენტრი – აქ გადმოხვეწილ თუ იქ დარჩენილ ძმათა შეხვედრების, შერიგების, თანაზიარობის წმიდა ადგილი. ამის რეალური შესაძლებლობანი მართლაც გვქონდა. შეგვეძლო მოგვეწვია იქაურები და იქითაც ვსტუმრებოდით ომით დაცალმაგებულ ძმებს.

პირადად მე, ჩემი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები ჩავიდოდით მშობლიურ ვარჩეში და პირველად ვესტუმრებოდით არა ჩემი გმირულად დაღუპული ოცდაათი წლის ვაჟის საფლავს, არამედ იმ აფხაზურ ოჯახს, რომელიც, აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ერთგულად უვლის ჩემი შვილის საფლავს. იქ ჩასული მუხლზე დავუდგებოდი და ხელზე ვეამბორებოდი იმ აფხაზ ქალბატონს, რომელიც სიყვარულით, რუდუნებით, მშობლიური გრძნობით უვლიდა, ასუფთავებდა, აკითხავდა უაზრო, მავანთა და მავანთა თავსმოხვეულ ომში დაღუპული ჩემი ვაჟის ობოლ სამარეს.

დიახ! ასე მოვიქცეოდი მე და ასე მოიქცეოდა მრავალი სხვაც, ვისაც ძვირფასი, სანუკვარი დარჩენია იქ, მშობლიურ კუთხეში, დარჩენია მკვდარი თუ ცოცხალი...

მაგრამ!..

ეს არ გაკეთდა! არ გაკეთდა ერთი „უბრალო“ მიზეზით — საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომის გამო.

პრემიერ-მინისტრიდან (მაშინ პრემიერი ბატონი ნოღაიდელი გახლდათ!) ისანი-სამგორის გამგებლამდე, ჩვენი მოთხოვნა, რისგანაც ბევრი რამ სასიკეთო იყო მოსალოდნელი, დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ჯერ იყო და, ხელისუფალთა სრული განუკითხაობის გამო, სამმართველო, რომელზეც, მართლაც, დიდ იმედებს ვამყარებდით, გაუქმდა. რაც შეეხება „აფხაზთა და ქართველთა შერიგების სახლს“, რომლის გამართვასაც გულიას სკვერში ვაპირებდით, ჩაილურის წყალი დალია. სკვერი მერიამ და ისანი-სამგორის გამგეობამ მხოლოდ მოსავლელად გადმოგვცა (!). ცნობილი მწერლის შერყვნილი ძეგლი ჩვენი სახსრებით აღვადგინეთ, მაგრამ...

ბატონო თამაზ!

არ გვინდა თავი შეგაწყინოთ, ამიტომ უმთავრეს სათქმელზე გადავალთ.

კარგად მოგეხსენებათ მწერლის დიდი ილიასეული კონცეფცია. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის თავკაცს, უშიშ მებრძოლს საქართველოსათვის, უანგარო მოღვაწეს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ჩვენს ძვირფას მწერლებთან ერთად მხარში დაგვიდგეთ სამმართველოს და ერთობლივი ძალისხმევით ვაკეთოთ ის, რაც ასე საშურია და რაზეც ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს მომავალი.

დიდი სურვილი გვაქვს თქვენი გაზეთით ამ წერილის გასაჯაროებისა, რა თქმა უნდა, თუკი ეს შესაძლებელი იქნება.

უღრმესი პატივისცემით —

სერგო წურწუმია

აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის კავშირის — „დიოსკურია 2005“-ის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსი, ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენის კავალერი, თადარიგის გენერალი.

გენიოსის დაბადება

(შტრიხები გალაკტიონის სულიერი ბიოგრაფიიდან)

თემურ ცერცვაძე



მარტოსულობა სულაც არ ნიშნავს გენიოსობას, მაგრამ ყველა გენიოსი, ადრე თუ გვიან, მაინც განმარტოებით იწყებს...

გენიოსი იზრდება და სულ უფრო მაღლა მიიწევს, მისი მეგობრები და ახლობლები კი ისევ იქ რჩებიან, სადაც მანამდეც იმყოფებოდნენ...

მწვერვალზე მდგომმა დაბლა მდგომებს რომ რაიმე გააგებინოს, ყვირილით უნდა ილაპარაკოს.

ბოლოს აღარც ყვირილი შველის საქმეს, რადგან დაბლა მდგომები მაინც ვერაფერს გებულობენ და გაოცებული შესცქერიან გენიოსს, რომელიც გულისგასახეთქ სიმაღლეზე შემოსკუპებულა და უცნაურ ხმებს გამოსცემს აღგზნებული და თმაგაწეწილი...

– რა აყვირებს?! – კითხულობენ ერთნი.

– გიჟია! – ამბობენ მეორენი და ყველაფერი გარკვეულია. იგულისხმება – გიჟს ბევრი არაფერი მოეთხოვებაო და ყურადღებას აღარ აქცევენ. გენიოსის გარშემო სიმარტოვე სულ უფრო იზრდება და ყოვლისმომცველი ხდება.

ისღა დარჩენია, ღმერთს ელაპარაკოს, მაგარამ ღმერთს მთელი სამყაროს ბედი აბარია და მისთვის ყოველთვის ვერ მოიცლის:

„... ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი,
მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი,
მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი!“

რა დროს ქრისტე და ჯვარია – კაცი მარტო დარჩენილა და მერე სად – ჭიანჭველების ბუდესავით მოფუთფუთე ადამიანების გარემოცვაში.

აგერ – მშობლები, ნათესავები, მეგობრები და თაყვანისმცემლები... შეყვარებულიც კი, მაგრამ ის მაინც მარტოა.

თითქოს აკვარიუმში იყოს გამომწყვდეული, რომლის კედლებიდან ვერასოდეს გავა გარეთ და ვერც ვერავინ შემოვა მასთან – აკვარიუმში...

სული ეხუთება გენიოსს!

ყვირილი არ შველის საქმეს?! – სიმღერას იწყებს. არც სიმღერა?! – იწყებს ხატვას და აკვარიუმის უფერული კედლები ულამაზესი და თვალისმომჭრელი ფერებით ივსება.

აღარც ხატვისთვის დარჩა ადგილი?! – საბედნიეროდ არსებობს სიტყვა.

ბოლოს კი, როცა სიტყვებიც კარგავენ ძალას, მოდის დუმილი. დუმილი – ყოვლისმომცველი და მოახლოებული სიკვდილის მაუწყებელი.

●

ნამდვილ სიყვარულთან შეხვედრაც სიკვდილთან შეხვედრას ჰგავს – ყველაფერი ჩერდება... მაგრამ სადაა სატრფო, რომელსაც პოეტი ამდენს უმღერის?! გენიოსთა სატრფოები ასე ტყუპისცალივით რატომ ჰგვანან ერთმანეთს და ყოველთვის სხვაზე რატომ თხოვდებიან?!

პოეტისთვის ეგრეთწოდებული სატრფო – სიმბოლოს, ხატს, ან შემოქმედებით მასალას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ქალს – ცოცხალს და ვნებიანს, აღსავსეს მიწიერი სიკეთით თუ უკეთურობით.

აღსავსეს რაღაც ისეთით, რომლის გულისთვისაც თავს ჰკარგავენ და სულსაც ჰყიდიან.

„... შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთ კვდომა.
სანდომიან ცის ელვა და ფერი,
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა.
...
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის, ვინ იცის – მერი,
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,
ქარს მიჰყვებოდა, როგორც
ნამქერი.“



რა არის ეს, თუ არა ილუზიონისტობა?! – ლამაზი და ბრჭყვიალა სიტყვების ფეიერვერკი.

პოეტი დიდი ბავშვია და პატარა ჯადოქარი, თორემ რა დასაჯერებელია, რომ ქალს, რომელიც ნამდვილად უყვარდა – თავი ვერ შეაყვარა?!

„... რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო
ვტკბები,
მე შენში მხიბლავს იცნება ჩემი,
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი, როგორც ედემი!“

მთელი სიმართლეც სწორედ ეს არის – მას არ სურს, არ უნდა, სიყვარულში გამარჯვებული დარჩეს.

მაშინ ხომ ილუზიონისტობას და ჯადოქრობას ბოლო მოეღება...

მისთვის ოცნების სიშორე გაცილებით ძვირფასია, ვიდრე ცხოვრების ამღვრეული მორევი.

მას სიწმინდე და სისუფთავე სწყურია, რადგან ცხოვრებისეულ სიბინძურეში ბოგინი სულს უწამლავს და ტკივილს აყენებს.

ყოველივე ამის მერე რაღა საკითხავია – ვინ არის მერი, ბეატრიჩე ან თუ გნებავთ – დულსინეა ტობოსელი?!

თავად გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ვინ არის ეს ქალი,
ვინ არის ეს ქალი,
ასეთი ცისფერი?!“

ეს ქალი ოცნებაა, ეს ქალი სიზმარია, ეს ქალი ცხოვრებისეულ წკვარამში გაელვებული მეტეორია. გენიოსმა რამდენიც არ უნდა იძახოს – „შეჩერდი, წამო, რა ლამაზი ხარო!“ – წამები არასოდეს ჩერდებიან და გენიოსიც იძულებული ხდება – შედევრები შექმნას.

შედევრები სხვა არაფერია, თუ არა წამები – მარადისობაში გაყინული.

გენიოსი მარადიულს ელტვის და უკვდავების გარეშე მისთვის ყველაფერი ამაოა – „ამაოება ამაოებათა!“

რად უნდა სიმდიდრე, თუკი ის სიკვდილისგან ვერ დაიხსნის?!

რა მოუხერხოს მშვენიერ სატრფოს, თუკი მისი სილამაზე წუთიერია და წარმავალი?!

რა თავში იხლის სახელ-დიდებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გასართობია და მეტი არაფერი?!

რა ქნას, სად წავიდეს, როგორ გაექცეს ფუჭი დღეების უაზრო ქროლვას?!

„ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს,
გადირეკს ნოემბრის ბაღები;
მხურვალე ვნებები გამივლის,
სასახლის ჩაქრება ჭაღები...
სიმკაცრით შეხედავს საშვენი,
თვალები – შეკრული კამარის,
ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი,
არ არის, არ არის, არ არის!“

რომელ საშველზეა ლაპარაკი?! – ბუნებაში ხომ ყველაფერი უზენაესი კანონების მიხედვითაა მოწესრიგებული და არანაირ „საშველს“ არ საჭიროებს?!

ნუ ეტყვით ამას გენიოსს... მან ეს ისედაც მშვენივრად იცის. იმდენად მშვენივრად, რომ ყელში აქვს ამოსული ბანალობამდე მისული ჭეშმარიტებები.

– მთელი ქვეყანა ეს მე ვარ! – აი, რა უნდა გენიოსს.

„წელიწადები წავლიან ძველნი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი!“

საკუთარი თავის გამძაფრებული შეგრძნება და გაზვიადების დაუოკებელი მოთხოვნილება თანდათან პათოლოგიურ მასშტაბებს ღებულობს და მთავრდება განდიდების მანიით, სიგიჟით და ხშირად თვითმკვლელობითაც.

გენიოსი შეურიგებელია და დაუმორჩილებელი.

ის უჯანყდება ღვთის მიერ დადგენილ კანონებს და სასტიკად ისჯება.

ისჯება სიმარტოვით, შიმშილით, გამასხარავებით, ათასი ჯანდაბით და ოხრობით.

ისჯება მანამ, სანამ საბოლოოდ არ დაჰყრის ფარ-ხმალს და შერიგების უნარს არ შეიძენს.

... და თუ შერიგება საბოლოოდ მაინც მოხდა, ირგვლივ შესარიგებელი აღარავინ რჩება, გარდა სიკვდილისა.

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ
მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო
მხარეში,
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე
ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების
გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის
თარეშში,
სამუდამო მხარეში მხოლოდ
სიმწუხარეა,
წევხარ ცივ სამარეში, წევხარ
ცივ სამარეში
და არც სულს უხარია...“

არავის ისე არ ეშინია სიკვდილის, როგორც გენიოსს.

არავინ ისე არ უყვარს გენიოსს – როგორც სიკვდილი.

ის არის მისი ყველაზე დიდი მტერიც და მოყვარეც.

ის აგვირგვინებს მის სიცოცხლესაც და მისი უკვდავების დასაწყისსაც.

ამიტომაც ვერ იტანს გენიოსი გვირგვინებს.

ნებისმიერი გვირგვინის უკან სიკვდილის აჩრდილია ატუზული.

ნებისმიერ გვირგვინს სისხლის გულისამრევი სუნი ასდის. გულისამრევი – მშიშრებისთვის, თორემ წერასატანილები თვალის დაუხამხამებლად ეწირებიან გვირგვინებისთვის ბრძოლას.

რა ქნას გენიოსმა, თავი მოიტყუოს?! – არ შეუძლია. ვერც სხვა მოატყუებს – ვერავინ... ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიფხიზლის ტვირთი უნდა ათრიოს მანამ, სანამ გაგიჟდება ან გარდაიცვლება.

ასე აქვს მისჯილი და განაჩენი არ შეიცვლება.

●

შენ ხარ მესია! – ეუბნებიან გენიოსს და შეუბრალებლად მოითხოვენ მისგან – იტანჯე, ეწამე და მოკვდი კიდეცო ჩვენთვის.

იბადება ბუნებრივი კითხვა – რატომ უნდა ეწამოს და მოკვდეს ათასობით სულელის გადარჩენისთვის მაინცა და მაინც ერთი და საუკეთესო?!

იქნებ იმიტომ, რომ მერე მის სახელს ათეული ათასები და მილიონები შეეწიროს?!

მთელი ეს ლანძღვა-გინება სიცოცხლეში და გაღმერთება სიკვდილის შემდეგ – რაღაც სატანური იდეოლოგიაა, რომლის ანკესზეც ახალ-ახალი გენიოსები უნდა წამოეგონ.

კაცობრიობას არ შეუძლია გენიოსების გარეშე არსებობა, ხოლო მსხვერპლშეწირვა რწმენის ქვაკუთხედადაა აღიარებული.

ამ ბარბაროსული რიტუალის გარეშე ადამიანს ძალიან უჭირს დაძლიოს მიწიერი არსებობის ჩარჩოები და ღმერთამდე ამაღლდეს.

მაინცა და მაინც ტკივილის ენერგიამ უნდა გასტყორცნოს მისი სული ღმერთისკენ და თავად გახდეს ნახევრად ღმერთი...

არადა, სიყვარულის ფრთებიც ხომ არსებობს?!

„დედაო ღვთისა, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!“

ამგვარია გენიოსის ცხოვრება.

„... მზეო, თიბათვისა, ყოფნა უმზეო,
მზე მიიცვალა ღია თვალებით,
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით!“

ამგვარია გენიოსის სიკვდილი.

„...ჩვენ, პოეტები – მზიდან ვეშვებით
და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით
მზის სადღეგრძელოს!“

ესეც – გენიოსის დაბადება! ■

ჩუნასად, ჩასულო, ჩუნასად!



გოგი ხარაბაძე

დავიწყებას აქვს თავისი მკაცრი და ულმობელი კანონი, მაგრამ სიყვარულს ვერაფერს აკლებს, სიყვარულზე არ ვრცელდება მისი წეს-კანონები, იმიტომ, რომ არსებობს ხსოვნა, არდავიწყების წესი.

დრო მიდის, გადის, იცვლება, ჩვენც მივდივართ, გავდივართ, ვიცვლებით, მაგრამ მოგონებებს რა შეცვლის, რა დაგვავიწყებს.

რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი? – მოგონებათა ჯამი. სხვათა შორის, სადღაც წამიკითხავს, ძველ ქართულ ენაში „დრო“ და „სოფელი“ იდენტური ცნებები იყოო. ესე იგი, ჩვენი წინაპრები დროს რომ ახსენებდნენ, სოფელსაც გულისხმობდნენ, წუთისოფელს.

„წუთისოფელი რა არი, აგორებული ქვა არი...“

რაინერ მარია რილკე სწერდა მიმი რომანელის: „... საჭიროა ვისწავლოთ ნელი სიკვდილი. საჭიროა სიკვდილი ვისწავლოთ. მთელი ცხოვრება ეს არის და ეს. სხვა არაფერი“.

ჩვენგან წასული ძვირფასი სახეები გვასწავლიან ამ სიბრძნეს – ცხოვრების, სიცოცხლის, გაძლების სიბრძნეს.

ადამიანები, ვის შესახებაც ვწერ, ამქვეყნად აღარ არიან, მაგრამ არის სიყვარული, რომელსაც გული ინახავს სამუდამოდ.

მაშინ СССР-ში

თითქმის ნახევარი საუკუნე ტოტალიტარული ქვეყნის „სრულუფლებიან“ წევრად ვიცხოვრე. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ნდობითა და სიყვარულით ვიყავით ერთმანეთის მიმართ გამსჭვალულ-გაჟღენთილნი მე და კომუნისტური „რეჟიმი“, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მაინც ლაღად ვგრძნობდი თავს.

ხშირად მოვხვედრილვარ „კაგებეს“, არა, იზოლიატორში არა, კაბინეტებში, რომელთა მონახულებაც, მერწმუნეთ, სულაც არ იყო იოლი საქმე.

მოგეხსენებათ, იმ „ნათელ“ დროს ორი უმნიშვნელოვანესი დღესასწაული არსებობდა – 7 ნოემბერი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაბადების დღე და 1 მაისი – მსოფლიოს ხალხთა სოლიდარობის დღე.

აბა, სამხედრო აღლუმი და მშრომელთა დემონსტრაციები; აბა, საზეიმო საღამოები ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ დარბაზებში... თავიდან საოპერო ან რუსთაველის თეატრებში, მერე უკვე – სახელმწიფო ფილარმონიაში.

უნდა გაგიმხილოთ ჩემი გაჭირვება – 70-80 წლებში მსხვერპლი გახლდით იმ საზეიმო კონცერტების, რომელთა გასამართადაც მობილიზებული იყო რესპუბლიკის საუკეთესო ძალები და სადაც მონაწილეობის მიღება დიდად პრესტიჟულად ითვლებოდა.

დაგიბარებდნენ, გეტყოდნენ, უნდა გამოხვიდეო და, დედიშენის შვილი იყავი, უარი გეთქვა. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კონცერტს ცკ-ის ბიურო, მთავრობა და საზოგადოდ მთელი საბჭოთა ნომენკლატურა ესწრებოდა... უცხო? უცხო არა, ბატონო, შენც არ მომიკვდე!

უამრავ სხვა ნაკლთან ერთად, ერთი უზარმაზარი ნაკლიც ახლდა იმ საზეიმო კონცერტებს. არავითარი, არც სულიერი და არც მატერიალური ანაზღაურება ან წახალისება არ არსებობდა.

მე თავს პროფესიონალად ვთვლიდი და აბა, ერთი და იმავე რეპერტუარით ხომ არ გამოვიდოდი ერთი და იმავე მაყურებლის წინაშე. ამიტომ წელიწადში ორჯერ, ლექსის ან პროზის სახით, ახალი მასალა უნდა მომემზადებინა. ჩემნაირი კაცისათვის, რომელიც მთელი ძალითა და ენერგიით უდგებოდა საქმეს, ეს დიდ პრობლემას წარმოადგენდა. როგორც პრემიერის დროს რამდენიმე კილომეტრში გაიგონებდით ჩემი გულის ბრაგაბრუგს, ისე – იმ საზეიმო საღამოებზეც.

ბოლოს, ვეღარ გავუძელი და მივედი ფილარმონიის დირექტორთან, დორიან კიტიასთან, არაჩვეულებრივ კაცთან, რომელთანაც ძველი მეგობრობა მაკავშირებდა. ის ადრე რუსთაველის თეატრის, ე.ი. ჩემი დირექტორიც გახლდათ.

– ერთხელაც რომ დამიძახო, იცოდე, თავს ჩამოვიხრჩობ და წერილს დავტოვებ, რომ ამის მიზეზი შენა ხარ-მეთქი.

გაიღიმა...

– უცნაური კაცი ხარ! მსახიობები თავს იკლავენ ამ კონცერტში მოხვედრაზე, შენ კი იქით გარბიხარო?...

ერთი მითხრა და შემეშვა! მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დაარღვია დუმილი. არ მახსოვს ზუსტად წელი, კირილენკო – ერთი კეთილშობილი კაცი, პოლიტბიუროს წევრი - უნდა ჩამოსულიყო და რაღაც გარდამავალი დროშა გადმოეცა საქართველოსთვის, მაშინ დამიძახა.

მივედი, რამდენიმე რეპეტიცია გაგვატარეს მთელ უზარმაზარ შემადგენლობას და ბოლო წამს... არაო... არ ჩამოდისო... ახლა დაიშალეთ... როცა საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ გამოგიძახებთო!

დავიშალეთ!

ერთი კვირის შემდეგ ატყდა რეკვა, არიქა! კირილენკო ჩამოდის, მოდითო!

მივედით. რეპეტიცია გაგვატარეს და ბოლო წამს... ისევ არაო... არ ჩამოდის... ახლა დაიშალეთ... როცა საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ გამოგიძახებთო!

ისევ დავიშალეთ!

ერთი კვირის შემდეგ ისევ იგივე, ზარები, არიქა, კირილენკო ჩამოდის, მოდითო!

მივედით!

მე რა, ერთი კინკილა კაცი ვარ, მივალ-მოვალ, მაგრამ აგერ არის ასკაციანი სიმფონიური ორკესტრი თავისი ვიოლინოებითა და კონტრაბასებით, თბილკაშნეჩაფენილი, თერმოსებმომარჯვებული ოპერის მომღერლებით, სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლი თავისი ჩოხებით, ქულაჯებით, ხმლებითა და დოლ-გარმონით...

მოვა ეს ხალხი კირილენკოსთვის გამზადებული, რომ თავისი საუკუნოვანი კულტურის ძეგლებს აზიაროს დიდი რუსი სტუმარი და არა და არ ჩანს ეს შობელძაღლი.

მესამედ თუ მეოთხედ რომ ვართ შესულები, ვეღარ მოვითმინე და ფოიეში ხმამაღლა:

რა შეგვცა ამ კირილენკომ-მეთქი! ერთი ჟეტონი და დროშა უნდა ჩამოუტანოს ამხელა საქართველოს, უკან გაირჭოს ტარიანად ის დროშა, არ დაგვზაფრა ამდენი ხალხი, თუ მოდის, ბარემ მოვიდეს-მეთქი.



მიმოვიხედე, ირგვლივ აღარავინ იყო. სრულ მარტოობაში ჩავამთავრე მონოლოგი. ის იყო, იქაურობას უნდა გავცლოდი, რომ დავინახე მეხანძრეების ოთახიდან ვიღაცას ხელი გამოეყო და აქეთ, აქეთ მოდიო, მანიშნებდა. მივყევი დინებას, კარს მივუახლოვდი, ისიც გაიხსნა და რას ვხედავ, თავად ილიკო, ილია ილიჩი, დიდი ილიკო სუხიშვილი არ დგას!

– პაჟარნიკებმა დაგვტოვეთ! იყო მისი პირველი ბრძანება.

გავიდნენ.

– მიდი, რა! – ეს მეორე, თხოვნას უფრო ჰგავდა.

– რა, ილია ილიჩ?

– მიდი, რა, შვილო, კაცურადა გთხოვ!

– სად მივიდე, ილია ილიჩ? განცვიფრება ვერ დავმალე მე.

– მიდი, რა, შვილო, კიდე ერთხელა თქვი რა, აი, წეღან რო ამბობდი ჟეტონებზე და დროშის ტარზე და აი, იმ კაცზე, გვარი კი არ მახსომს კარგათა...

– კირილენკოზე ბრძანებთ?

– ჰო, ჰო, ჰო, მიდი, მიდი, მიდი, შენ კი გენაცვალე, შენა, აი, აგრე! მერე, მერე გააგრძელე ეგრე ჯიგრიანათა!...

– რა შეგვცა, თუ ჩამოდის, ჩამობრძანდეს-მეთქი – ცოტა შევარბილე მე...

– არა, ეგეთი რამე არ გითქვამს, ტოჩი-ტოჩ მახსომს ყველაფერი...

გონება დავძაბე.

– არა, ეგრე ვთქვი, თუ ჩამოდის, ჩამოეთრას-მეთქი.

გავამძაფრე სიტუაცია.

– არც ეგრე გითქვამს, მაგრამ კარგია, მიდი, შვილო...

– ერთი ჟეტონი უნდა ჩამოუტანოს ამხელა საქართველოს და რაღაც დროშა და, თუ უნდა, თავის ტარიანა უკან გაირჭოს-მეთქი.

– უხ, შენ გენაცვალე, ეს რა ბიჭი ყოფილხარ, არ ვიცოდი... კულისებიდან გისმენდი ხოლმე, ლექსები და რამე-რუმეები, მაგრამ ეგეთი მაგარი თუ იყავი, არ ვიცოდი, ყოჩაღ, აი, ყოჩაღ! ცეკვა არ იცი? გინდა, ჩემ ანსამბლში მიგიღებ... არა, თუმცა სადაცა ხარ, იქ იყავი, იქაც კარგადა ხარ... ოღონდ, ეგრე გააგრძელე!

მერე, სადაც არ უნდა შემხვედროდა, ჩემი მონოლოგის რომელიმე ფრაზას აუცილებლად გამამეორებინებდა. რასაც თვითონ და მთელი საბჭოთა კავშირი ფიქრობდა და ხმამაღლა ვერ ამბობდა, იმის მოსმენა ჩემგან სიამოვნებდა.

ერთხელაც მანქანით მოდიოდა. გაჩერა...

ჩაჯექი – დამიძახა. ჩავჯექი. გადადი – უბრძანა მძღოლს. გადავიდა. მიდი...

მეც, მივდექი და დავიწყე... შუა მონოლოგის დროს გამაჩერა

– ბრეჟნევსაც შეგიძლია შააგინო?

– უხ, ბრეჟნევს მ...

– კარგი, საკმარისია... გეყოფა... ზედმეტებში ნუ გადავალთ, ჯერ კირილენკო ვიკმაროთ...

ჯემალ აჯიაშვილს...

2005 წელი, მისი სონეტების წაკითხვის შემდეგ.

ძმაო, ჯემალ!

როგორი გაზაფხულით დაუჯილდოვებიხარ გამჩენს, როგორი ჯადოსნური სონეტები უჩურჩულებია შენთვის, თანაც თავის ქალაქში, იერუსალიმში... ნეტავ, იქ ვყოფილიყავი... რა ვქნა, მე მაინც ის ძველი ჭია მღრღნის და არ მასვენებს... ადრე, სულ ადრე გითხარი, უნდა გახსოვდეს. არ მჯერა, რომ თარგმნი, ეგ შენი ლექსებია-მეთქი. მომკალი და ისევ მაინტერესებს, რომელ ენაზე გეჩურჩულება უფალი? დავიჯერო, ქართულად? თუ ისევ ცდილობ ჩვენს გაცურებას?



არადა, ახლა გაიყიდე, ამ სონეტების შემდეგ რაღას იტყვი? როგორ მოარღვევ დროსა და სივრცეს, ადამიდან რუსთაველის გავლით, მარტოსულობამდე, ყველა გენიოსს რომ აწვალებს? რა სავსე ხარ ბიბლიური სიბრძნით, ქართული ენის მშვენიერებით, ამაღლებული და იმავდროულად, ბალღივით ჩვილი....

შენი პოეზია ჩვენი ერების ერთგულებისა და სიყვარულის სვეტია, სვეტი ცხოველი... საჯილდაო ქვაა, რომელზეც უნდა ვსწორდებოდეთ ყველანი...

ბედნიერია საქართველო, ქართული ენა და პოეზია შენისთანა მეციხოვნე რომ მოუვლინა განგებამ, ამ დაბრედილ დროს, უდიდესი გადაფასებების ეპოქაში, როცა სიტყვა სიტყვას აღარ გავს და კაცი – კაცს.

დაველოდები შემდეგ გაზაფხულს, იმ დროს, როცა კიდევ ერთხელ გაგიღიმებს გამჩენი შენ და ჩვენც – ქართველებს...

ეს წერილი, 7 წლის წინ, ზამთარში მომიწერია შენთვის, გაზაფხულის მომლოდინეს...

ახლაც, ზამთარია...

ვერ მოესწარი ამ გაზაფხულს...

ირაკლი აბაშიძეს ჰქონდა ნატვრა „ო, არა გაზაფხულზე. ზამთარში, ზამთარში...“ მიმაძინეო სამუდამოდ... აიხდინა...

შენც ზამთარში წახვედი, გაგტანჯა უკურნებელმა... მერე მიგიბარა მშობლიურმა, წმინდა მიწამ ისრაელისამ...

აქ დაგიტირეთ...

აქ გიგლოვეთ...

აქ გვახსოვხარ და სანამ ვართ გვემახსოვრები...

ჩვენს მერეც დიდხანს დარჩები.

დავითის ფსალმუნთა შენეული თარგმანი, რომელიც დისკებზე მაქვს ჩაწერილი, მანამ იჟღერებენ, სანამ იარსებებს შენი სათაყვანებელი ქართული ენა...

5 იანვარს მიაბარე სული უფალს, თქვენი ებრაული წესით მეორე დღეს, ჩვენს დღესასწაულზე, დაიკრძალე, ნეტავ თუ ნიშნავს ეს რამეს???

ს. ბენიძის ტექსტის ინტერპრეტაცია

თეთრი ვარდი ანუ ვანგას და ალოთოვის სისხლიანი ოჯრა



დიმიტრი ბახუტაშვილი

მკითხველო, ახლავე გავარკვიოთ ურთიერთობა! მე არ ვაპირებ, გელოლიავო, პირიქით, ვეცდები, ვიყო გულწრფელი. თუ გინდა, გაღიზიანდი, შენს გულწრფელობასაც ავიტან.

პარადოქსია, მაგრამ ამჟამად ავტორის ცნობადობა ლამის უკუპროპორციულია წიგნის მოდურ მაღაზიებში მისი არსებობა-გაყიდვადობის. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ჯგუფს ლიტერატურული ელიტის სახელი და კონტექსტი მაინც აქვს მორგებული და ერთგვარ „პრადვინუტ“ მკითხველს მალ-მალე ატკბობს ახალი წიგნებით თუ პერფორმანსებით. ამგვარ „მაღალ„ წრეებში საოცარი ურთიერთსათნოება სუფევს და მე მათ „თეთრ ვარდებს“ ვეძახი; „წითელ ვარდებზე“ სხვა დროს მოგახსენებთ.

ერთ-ერთი უბრწყინვალესი „თეთრი ვარდი“ არის სალომე ბენიძე, მრავალი პრემიის ლაურეატი, დამაკმაყოფილებელი სოციალური სტატუსით და კონტექსტით. სანამ მისი საკმაოდ პოპულარული ლექსის შეძლებისდაგვარ ანალიზს შევუდგებოდე, ჯერ ზოგადად ორ სიტყვას გეტყვით: ავტორი საკმაოდ არის ენობრივად განვითარებული, იმდენად მაინც, რომ ტრადიციულ და ზერელე „პოეტიზმებს„ (ქარებს, წვიმებს, ჭიუხებს) თავს არიდებს და თავისუფალი ლექსის წერაც თავისუფლად შეუძლია. თუმცა ვნახოთ, რამდენად თავისუფლად...

გასაღები I

ლექსის სახელია – **„ბერლინი. იანვარი“.**

ე. ი. რა ხდება ბერლინში:

„ამ ყრუ კედელთან დახვრეტილი
ანგელოზების
ნაცრისფერ გვამებს გადმოაბიჯე
და ისე მოდი,
რადგან გ ზები გვამების გავლით
ოდითგანვე უფრო მოკლეა,
ვიდრე სხვა გ ზები, შემოვლითი
და შორეული.“

ასე მიმართავს ლირიკული ობიექტი ლირიკულ სუბიექტს. მონაკვეთის ტრაგიზმი გასაგებია, შინაარსი – ისე, რა... თუ ტექსტის სათაურის ტერიტორიულ თავისებურებებს გავითვალისწინებთ, ისტორიული მეხსიერებიდან გვამების გამოვლით ვინმეს „მოდი“, დროში მსვლელობა, შესაძლო მეტაფორად უნდა განიხილებოდეს. მაგალითად, ყოველივე ამის ქვეტექსტი შეიძლება იყოს: „ადოლფ ჰიტლერი ჩვენამდე გვამების გზით მოვიდა„. თორემ, თანამედროვე მსოფლიოში, დახვრეტილი გვამები და ზედ მოსიარულე ადამიანები, მხოლოდ ჰოლივუდურ ფილმში შეიძლება შეგხვდეთ. იქნებ არის კიდეც ინსპირაციის წყარო რომელიმე საკულტო ფენტეზი, რას გაიგებ?! მაგას მერე გავარკვევთ, ახლა სხვა: „ვიდრე სხვა გზები, შემოვლითი და შორეული.„ - ეს მონაკვეთი კლასიკური ნიმუშია იმისა, როგორ შვრება ამაოდ უხვსიტყვაობას გადაგებული ავტორი, ერთსა და იმავეს ასჯერ რომ გვიმეორებს მეტი დამაჯერებლობისთვის. შემოვლითი და შორეული რომ არის გზა – „სხვა“ იქნება, თავისთავად; სამაგიეროდ, ეს ყველაფერი ევფონიურად არის უსაშველოდ მომგებიანი, თუმცა, მოგებაცაა და მოგებაც.

გასაღები I?

„თანაც, თოვლში ხომ არასოდეს
არ ჩანან ჯვრები,
არც სახელები, არც გვარები
და არც თიხის ძველი ქოთნები,
ჩამომხმარი ყვავილებით ამოვსებული.
გადმოაბიჯე აქ ჩამარხულ
სიცოცხლეებს,
რომ ჩემთან მოსვლა წამითაც
არ დაგაგვიანდეს.“

აბა ნაცრისფერი გვამებიაო? რაღაც ვერ გავიგე... ე. ი. რა გამოდის: მოდის თოვლში, ვიღაც მოკლე გზის ამომრჩევი უსინდისო, ან ბერლინის საგზაო დეპარტამენტის უნიათობას შეწირული რაინდი, არც ჯვრები ჩანს, არც სახელები, არც ქოთნები, სიცოცხლეებიც ჩამარხულია. ელოდება ჩვენი ლირიკული გმირი, – ადოლფზე ან ფენტეზის გმირზე უკიდეგანოდ შეყვარებული – და ხედავს, რომ ნაცრისფერია გვამები, ან არ ხედავს, – მანამდე თვალი შეავლო უბრალოდ და იცის... თუმცა, რა, დამკრძალავმა ბიურომ მოასწრო ლექსის წერის პროცესში ასე უეცრად მათი დამარხვა? ეგ მე არ ვიცი. ისიც არ ვიცი, ეს დამარხული ქოთნები ახალი როგორ იქნება. რა საჭიროა უხვსიტყვაობა? ან როგორ ხედავს და აღწერს ავტორი იმას, რაც მისივე სიტყვებით „არ ჩანს“ საერთოდ, როცა ტექსტის პათოსი სცდება სუბიექტურ გამოცდილებას, მეტი დამაჯერებლობაა საჭირო, მაგალითად, ეს: „თანაც, თოვლში ხომ არასოდეს არ ჩანან ჯვრები“ – შემიძლია დავიფიცო, რომ თოვლში ვყოფილვარ სასაფლაოზე და ჯვრები ძალიან კარგად „ჩანან“. ბოლოსკენ, როგორც ირკვევა, შეხვედრის დრო ზუსტია და დათქმული. კითხვებიც გაჩნდა: იქნებ ის სუბიექტი არც ისე უსინდისოა? უბრალოდ, ობიექტი აიძულებს, არ დაიგვიანოს და, რა ქნას, მოდის ისიც გვამების გა(და)ვლით... გავშალოთ ინტრიგა:

გასაღები II

„არ შემახსენო,
რომ ერთ დღეს ყველა მიმატოვებს,
რადგან ვიცხოვრე დაყოფილმა ათას
ნაწილად
და საკუთარ არსებობას ვერ იქნა და
ვერ შევეგუე.
არ შემახსენო,
რომ გჭირდება,
შენს სულს ჭირდება,
მოხსენიება ჩემს ჯერაც უთქმელ
ღამის ლოცვებში –
ისედაც ვიცი,
ვერ გადავრჩებით უერთმანეთოდ.“

ორ ვერსიას ცალ-ცალკე ხომ არ განვიხილავ, გამეწელება თხრობა... ჰოდა, მოდი, ფენტეზის გმირს პირობითად დავარქმევ ადოლფს, ლირიკულ ობიექტს – სალომეს, ასევე პირობითად (სხვაგვარად მოხსენიებით დავიღალე). მოკლედ, მოსულა ბატონი ადოლფი და მოუწყვიათ უკვე სასიყვარულო სკანდალი, ვინაიდან, ადოლფს არ სჯერა, რომ სალომეს სჯერა, რომ უიმისოდ გადარჩება. მაგრამ სალომემ არ იცის, რომ მე არ მჯერა, რომ მას სჯერა, რომ „უთქმელ ლოცვებში მოხსენიება“ არც მეტაფორაა, არც ქართულია და არც სომხური. ტექსტის სინტაქსი კი სწორედ მაგას მიუთითებს. აქ უნდა ეწეროს დაახლოებით ასეთი რამე: „შენს სულს **სჭირდება** მოხსენიება ჩემს ღამის ლოცვებში, მაგრამ ჯერჯერობით ვერ (არ) ვლოცულობო, არადა... ათას სალომეთაგან ერთსაც რომ ელოცა, გვარიან ხლაფორთს და სიუჟეტიდან ამოვარდნას გადავრჩებოდით.

გასაღები III

„და როცა წასვლას დააპირებ,
ამ ყრუ კედელთან დამარხული, დავიწყებული ტკივილების
სასაფლაოებს შემოუარე
და ისე წადი,
მინდა, რომ დიდხანს გიყურებდე ჩემგან მიმავალს.~

მგონი, სიუჟეტს პერსონაჟი მოვარგე; სალომე ან ვანგაა (რაკიღა, მომავალ დროზე წერს), ან ყველაფერი ხდება ისე, როგორც მას „უნდა“, მოძალადე ვანგაა; ანუ ის გეგმავს მოსვლასაც, წასვლასაც, მარშრუტსაც და ა.შ. რა უნდა შენივე დაგეგმილის წინასწარ განჭვრეტას. ის უკიდურესად ჩაგრავს საწყალ ადოლფს, რომელმაც, თავის მხრივ, ეს ესაა წასვლის გმირული გადაწყვეტილება კი მიიღო სალომეს „წინასწარხედვის“ შესაბამისად, მაგრამ იძულებულია, შორი გზით მოუაროს და შინ მშვიდობით ისე მივიდეს, რაკიღა სალომე მის უკანა ჰაბიტუსს მაგრად „ამუღამებს“ და მისი, როგორც თავად წერს – „დიდხანს“ ჭვრეტა ესთეტიკურ (და არა მხოლოდ) სიამოვნებას ჰგვრის. იქნებ სულაც ამიტომ უშვებს? - ტკბობა რომ განიცადოს. არის ამ ყველაფერში შეფარული ეროტიკული ლოგიკა. მგონი, დროა, სახელი გადავარქვა ობიექტს და ვანგად მოვიხსენიო.

გასაღები III ?

„მერე გახდება ყველაფერი უფრო
ადვილი
და როცა სიკვდილს გადაწყვეტ,
არ დაგავიწყდეს – ფერადი კაშნი,
ჩრდილოეთ ზამთრის ღამეებში რომ
მოგიქსოვე ხელის კანკალით,
გამოდგება ერთ დღეს თოკადაც –
ისე მოვქსოვე, რომ გაუძლოს
სიმძიმეს შენსას,
შენი თეთრი სხეულის და
გულის სიმძიმეს, სადაც მე ვცხოვრობ.
და ამ თოკზე რომ გიპოვიან
ჩამოკიდებულს,
გალურჯებულს და მოქანავეს,
ძველი საათის მორყეული ქანქარასავით,
მე გავიღიმებ და ვიტყვი,
რომ გაქცევაში დაგეხმარე,
ისე მიყვარდი.“

აქ ვეცდები მიზანსცენა ერთიანად და მოკლედ გადმოვცე:

საწყალი ადოლფი მიდის და გემზე იწყებს მუშაობას (შესაძლოა ბოცმანად), ვერ უძლებს სალომეს გარეშე ცხოვრებას და თავს იხრჩობს. გემიდან ურეკავენ სალომეს:

– ალო, ადოლფს იცნობთ?

– დიახ, ჩემი მეგობარია (სატრფო, მეუღლე ...)

– იცით? ძალიან ვწუხვარ... ადოლფი გარდაიცვალა, ვიზიარებ, ქალბატონო, ორშაბათს გადაასვენებენ ოჯახში.

– როდის?

– წუხელ.

– რით?

– თავი ჩამოიხრჩო.

– ლურჯი „კაშნით“ ხომ არა?

– ... დიახ...

– უიჰ (იღიმის).

თიშავს ტელეფონს და უხარია რომ გაქცევაში დაეხმარა; რისგან გაქცევაში, არ ვიცი, ალბათ, თავისი დიქტატურისგან, მთელი ტექსტის მანძილზე უმოწყალოდ ჩაგრავდა და...

გასაღები

ფინალმა კვანძი გახსნა. ამდენი მიახლოებული ვერსიის შემდეგ, მე დავასკვენი, რომ ლექსის ობიექტი არის – არც მეტი, არც ნაკლები – მჩხიბავი, რომელმაც კაშნეს შეულოცა და ადოლფს თვითმკვლელობა აიძულა, ჩვენთვის გაურკვეველი და პოეტური მიზნით, რასაკვირველია. ასევე, ნუ გამოვრიცხავთ, რომ მისი ბნელი ძალაუფლება გასცდა ტექსტის ფარგლებს და მკითხველიც მოაჯადოვა.

P. S. ჯადოს რეცეპტი: ავიღოთ დრაკონის კბილი, ფასკუნჯის კვერცხი, ქალწულის სისხლი, დამღლელი პათეტიკა, უმოტივაციო მხატვრული სახეები, ავტორის კარგი სანაცნობო და ლექსს მივაწეროთ შეუსაბამო თარიღი – „24-25 აპრილი..“ ■

ცხოვრება შიშის გარეშე



ვილჰელმ შმიდი

„რა გსურს შენ?“ – ეკითხებიან მელინდას მანჰეტენის ქუჩებში შეხვედრისას. პასუხად კი იღებენ: „მე მინდა, მსურდეს სიცოცხლე“, რაც იწვევს მომენტალურ გაურკვევლობას: „ხომ ყველას სურს სიცოცხლე“?! მის სახეს ტკივილიანი ღიმილი გადაურბენს: მელინდას სხვაგვარად ესმის ეს, სიცოცხლე იქცა მისთვის კითხვად. ახლა მას სიცოცხლე ხანმოკლედ და უმნიშვნელოდ ეჩვენება და იცნობს მხოლოდ ორ შესაძლებლობას ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად: მიიჩნიოს იგი კომიკურად ან ტრაგიკულად. თუკი მივიღებთ პირველ შემთხვევას, მაშინ მოგვიწევს, ყველაფრის მიუხედავად, განვიცადოთ ნეტარება გულიანი სიცილით, ახალ-ახალი სასიყვარულო თავგადასავლებით და არ მივცეთ საკუთარ თავს გაურკვევლობაში აღმოჩენის საშუალება... ხოლო თუკი ტრაგიკულად გავცემთ პასუხს ამ შეკითხვას, მაშინ სხვა არაფერი დაგვრჩენია განუწყვეტელი ტირილისა და სასოწარკვეთილების გარდა. აქედან კი შორს აღარაა, გაგვიჩნდეს სურვილი, წერტილი დავუსვათ ცხოვრებას. რეჟისორ ვუდი ალენის გადაწყვეტილებით, ორივე აღნიშნულ გზას ცდის მელინდა 2004 წლის ფილმში „მელინდა და მელინდა“.

ყოველ ახალ ფილმში ალენი ახდენს ცხოვრებისეული თამაშის ინსცენირებას და წარმოგვიდგენს სიყვარულს, როგორც კომიკურ, ხოლო შემდეგ, როგორც ტრაგიკულ რეაქციას ცხოვრების ხანმოკლეობასა და უმნიშვნელობაზე. მხოლოდ ერთი რჩება აქ ყურადღების მიღმა: ცხოვრების ასეთ ხედვას შეიძლება ჰქონდეს გამოკვეთილი მნიშვნელობა, მაგრამ არა საბოლოოდ დადგენილი ჭეშმარიტების ლიცენზია. განსხვავებულ ხედვას შეეძლო დაესაბუთებინა ხანგრძლივობა და აზრით სისავსე ცხოვრებისა, მაგრამ მასაც საბოლოო ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის გარეშე. აღნიშნულ საკითხში გადამწყვეტია არა საბოლოო ჭეშმარიტების ხარისხი, რომელსაც არავინ იცნობს: ცხოვრების განმავლობაში ადამიანები ხშირად ცდებიან და გარკვეულ ეტაპზე ამ შეცდომას ჭეშმარიტად მიიჩნევენ. უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საბოლოო ჭეშმარიტებაა, არის ცხოვრებისეული ჭეშმარიტება, რომლითაც ხელმძღვანელობს ადამიანი ცხოვრების განმავლობაში. ამ უკანასკნელს ბევრი აქვს საერთო ადამიანის წარმოდგენასთან, რომელიც ცხოვრების მნიშვნელობას უკავშირდება.

მოდერნიზმამდელ ხანაში ადამიანის განწყობა-დამოკიდებულება გარესამყაროსადმი არ აისახებოდა ადამიანურ „მე“-სთან ურთიერთობის რაგვარობაზე. იგი თავისი გავლენის სფეროს მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტსა და მის ირგვლივ არსებულთა შორის მიმართებაზე ავრცელებდა; მნიშვნელობა არ აქვს, რას მოვიაზრებთ ამ არსებულებში – მის საცხოვრებელ გარემოს ანუ საზოგადოებას, მის განმაპირობებელ ბუნებას თუ მისი რწმენის ობიექტს, ღმერთს, რომლის ნებითაც იყო განპირობებული ადამიანის არსებობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამისდა შესაბამისად, ადამიანის ქმედებებიც ღვთისმოშიშობით წარიმართებოდა; ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სრული ტკივილი, ამავდროულად, ბაროკოს სიცოცხლისეული სიხარულით აღვსილი, რომელიც ტკივილიანი გამოცდილების ბნელ ნიადაგზე ამოიზრდებოდა. რელიგიური და საერო ავტორიტეტები ადამიანებს აკისრებდნენ ისეთი ცხოვრებისეული მოვალეობების აღსრულებას, რომლებსაც იგი საკუთარ გრძნობებს უკავშირებდა...

ამასთანავე, ადამიანს შეეძლო დაბეჯითებით სცოდნოდა დაბადებისა და მოსპობის იმ მარადიული წრის შესახებ, რომელსაც განურჩევლად ემორჩილება როგორც ბუნება, ისე კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორია. მას შემდეგ კი, რაც მოდერნიზმის ფარგლებში ადამიანი გათავისუფლდა მსგავსი წინასწარი მოცემულობებისაგან, ყოველი ცალკეული ინდივიდი ახალი ამოცანის წინაშე დადგა: მას თავად უნდა მოეძებნა საკუთარი მიმართება გარესამყაროსთან და განეხორციელებინა იგი.

ფრიდრიხ ნიცშე, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ აუცილებელია წინასწარ მოცემული განსაზღვრულობებისაგან ცხოვრებისეული აზრის დახსნა, მალევე შეაშფოთა მოსალოდნელმა შედეგმა: ასეთ შემთხვევაში ცხოვრება საოცრად ხანმოკლე და მნიშვნელობებისაგან დაცლილი აღმოჩნდება. სწორედ ამგვარმა ხედვამ მიიყვანა იგი ემფატიკური მტკიცების მეთოდამდე: 1882 წელს ლუ ფონ სალომეს ტექსტის მიხედვით ფილოსოფოსმა დაწერა „ჰიმნი სიცოცხლეს“, სადაც ვკითხულობთ: „ნუთუ აღარ გაქვს სიხარული საჩემოდ მეტი? შენ კვლავაც შენი სატანჯველი მოგძალებია“... თავად იგი ამ პოზიტიურ პათოსს აფასებდა როგორც par excellence – ს (საუკეთესოს; Ecce Homo, „Also sprach Zarathustra˜, 1) და, ამავდროულად, თავისი მარადიული დაბრუნების იდეას უაზრო ცხოვრებისათვის ახალი აზრის მიმნიჭებლად მიიჩნევდა: მარადიულად რომ ბრუნდებოდეს უკან ის, რაც ახლა ხდება, განა ეს არ იქნებოდა საფუძველი იმისათვის, რომ ისე გვეცხოვრა მოცემულ მომენტში, როგორც ამას ჩვენი სურვილი გვიკარნახებდა, ვინაიდან ეს მომენტი მარადიულად განმეორდებოდა?

გარდა სიცოცხლისადმი პოზიტიური მიმართებისა, არსებობს უარმყოფელი დამოკიდებულებაც და ეს უკანასკნელიც მოდერნიზმის საწყისი ეტაპიდან იღებს დასაბამს: არტურ შოპენჰაუერი თავის თეორიაში ავითარებს აზრს, რომლის თანახმადაც აუცილებელია სიცოცხლის სურვილის უარყოფა, რაც წერტილს დაუსვამს უაზრო ტანჯვას, ცხოვრების ნაკვალევად მის თვალებში არეკლილს. ამ გზის განხორციელება სრულებითაც არ ნიშნავს თვითმკვლელობის აქტს, როგორც ესმოდათ იგი დიდი ხნის განმავლობაში. აქ საქმე გვაქვს გამრავლების უარყოფასთან, ქმედებასთან, რომელმაც, როგორც ავტორის ორი უკანონო ქალიშვილის არსებობა მოწმობს, თავად შოპენჰაუერის ძალებსაც გადააჭარბა. ეს იქცა ერთგვარ შუქურად მოდერნისათვის: ცხოვრების კვლავინდელი მოცემულობა ამიერიდან აღარ გამომდინარეობს მისდამი სიყვარულიდან, რაც ჰბადებს სურვილს მისი (სიცოცხლის) განმეორებისა, არამედ იგი მიიჩნევა შეცდომად; ამ შეხედულებით თანამედროვე კულტურის გარკვეული ნაწილი მაინც აღარ წარმოადგენს სიცოცხლის კულტურას. რაც შეეხება სიცოცხლის პრაქტიკულ უარყოფას, მისი რეალიზება მოახდინა ჰაინრიხ კლაინსტმა, როდესაც 34 წლის ასაკში, 1811 წელს, პატარა ვანზეესთან თავის შეყვარებულთან, ჰენრიეტე ფოგელთან ერთად მოიკლა თავი. კლაინსტმა (ვერ ჰპოვა რა ვერავითარი შემწეობა დედამიწაზე) გამოსათხოვარ წერილში საკუთარი თავი უდიდესი სიხარულითა და ენითაღუწერელი მხიარულებით აღვსილად წარმოაჩინა და განაცხადა, რომ ამიერიდან მთელ სამყაროს დაუმეგობრდა.

თანამედროვეობა არ გვთავაზობს არავითარ ნორმას, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ; აქ საჭიროა მხოლოდ, შეგვეძლოს ცხოვრება ან წინააღვუდგეთ მას. ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე კი, ღიად რჩება ცხოვრებისადმი როგორც ჰოობითი (მტკიცებითი) მიმართულობისა თუ სიმპათიის, ისე უარმყოფელი, ანტიპათიური შინაარსის შემცველი შკალა.

დღესდღეობით შესაძლებელია ცხოვრებასთან დამეგობრებაც, რაც უთუოდ გულისხმობს წინასწარ მომზადებულ განწყობას მისი თავისებურებების მისაღებად. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს ცხოვრების კრიტიკულ ხედვას და ამით ინარჩუნებს ერთგვარ შუალედურ მდგომარეობას მასთან სიახლოვესა და დისტანციურობას შორის. ცხოვრებასთან დასაზავებლად საკმარისია, უბრალოდ, გიყვარდეს იგი და მომზადებული ხვდებოდე მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს; ესაა ყველაზე მარტივი გზა ყოველდღიურობის დასაძლევად. მეორე მხარეს დგას სრულიად საპირისპირო – მტრული – მიმართება სიცოცხლისადმი მისდამი საბრძოლო განწყობის შენარჩუნების გზით. ეს არის ურთიერთობის ნეგატიურად წარმართული, საკმაოდ მტკივნეული გზა. სიცოცხლისადმი უარყოფითი მიმართება წარმოადგენს შეუწყნარებელ აქტს, რომელიც ურთიერთობათა ზღვარდებული სახეა და სუბიექტს საკუთარ თავში ჩაკეტვისაკენ მიუძღვის. შედეგად მას ორგვარი რეზულტატი შეიძლება მოჰყვეს. ერთის მაგალითს გვთავაზობს შოპენჰაუერის სისტემა, რომელიც ყოველგვარი სიმამაცისაგან შორს დგას, ხოლო მეორე მათგანის მაგალითს ვხვდებით კლაისტისა და მისი შეყვარებულის ტრაგიკულ ისტორიაში, სადაც მოქმედების გამბედაობასთან წილნაყარობა დადასტურებული ფაქტია.

საინტერესოა, რომ თანამედროვეობაში ადამიანთა ზრდადი ნაწილი, უმეტესწილად გაუცნობიერებლად, ირჩევს ცხოვრებასთან ურთიერთობის **ფუნქციონალურ გზას**, რაც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, საჭიროებებზე გადის. ამ გზის მიმდევარნი ცხოვრებისგან მოითხოვენ დაუბრკოლებელ არსებობას (ამგვარ მიმართებაში ცხოვრების პროცესი ემსგავსება საგანს) და უწესებენ მას შესაბამის პირობებს, როგორიცაა შემდეგი ფრაზები: სიცოცხლემ უნდა „მოიტანოს რაღაც“, უწინარეს ყოვლისა კი, ეს რაღაც უნდა იყოს სიამოვნება, წარმატება და მარადიული ახალგაზრდობა. და თუკი, საწინააღმდეგოდ ამისა, სიცოცხლეს არაფერი მოაქვს შედეგად, იგი კარგავს ყოველგვარ ღირებულებას. უპირველესად უნდა მოისპოს ტკივილი, ავადმყოფობა, სიბერე, სიკვდილი, ვინაიდან ისინი წინააღუდგებიან თანამედროვე ადამიანის ავტონომიურობის მოთხოვნას. თანამედროვე ადამიანი სრულებითაც არ უშვებს იმას, რომ საჭიროა, თავის მხრივ რამე შეჰმატოს სიცოცხლეს; თუნდაც სულ მცირედი სიმამაცე, განსაცდელთა დათმენა, წინააღმდეგობების გამო მარადიული ჩივილის შეწყვეტა და ამის სანაცვლოდ უჩვეულო შესაძლებლობათა განხორციელება, რამაც უნდა განაპირობოს ცხოვრების მომავალი განვითარება. ცხოვრებაც შურს იძიებს ადამიანებზე და, ათავისუფლებს რა ნიჰილისტურ ენერგიას, ართმევს მათ ნამდვილი ცხოვრების შესაძლებლობას, რაც, თავისთავად, წინასწარი სიკვდილის ტოლფასია. ზოგიერთი ცდილობს, დაამყაროს ვირტუალური ურთიერთობა სიცოცხლესთან ისე, რომ სრულებითაც არ კვეთდეს რეალობას; ამ საფეხურზე სიცოცხლე მხოლოდ პოტენციაში ინახება და აზრებისა და ოცნებების დონეზე ნარჩუნდება. ელექტრონულად წარმოქმნილი ვირტუალური სივრცე, რომელიც ერთდროულად გვთავაზობს მთელ სამყაროსთან online კავშირს, გარესინამდვილესთან ავტომატურად offline-ის რეჟიმში გვტოვებს. აქედან გამომდინარე, ბევრი ადამიანი იღებს გამოცდილებას, ხვდება რა, რომ მისი სულიერ – ფიზიკური უნარები ვირტუალური სივრცის ჩარჩოებში სრულად ვერასდროს გამოვლინდება.

ურთიერთობის ფორმა, რომელსაც ადამიანი ირჩევს სიცოცხლისადმი მიმართებისას, მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ხასიათის კონკრეტულ მხარეებთან, იმ გამოცდილებასთან, რომელსაც იგი სოციალური თუ კულტურული გარემოსგან იღებს; გარდა ამისა, აქ ერთ-ერთი წარმმართველია ის მნიშვნელობები, რომელებითაც თავად ხელმძღვანელობს ცხოვრებაში; ასე მაგალითად, რას ვგულისხმობ მე ,,სიცოცხლის'' ცნებაში, რა გადამიტანია მოცემულ მომენტამდე, რა მსურს, განვიცადო მომავალში, რა არის ჩემი თვალთახედვით მნიშვნელოვანი, რა მიმაჩნია განსაკუთრებული ღირებულების მქონედ, რას ნიშნავს მშვენიერი ჩემთვის? ძალიან ბევრია დამოკიდებული სიცოცხლის ჩემეულ გაგებაზე, ვინაიდან ყველა დანარჩენს (გამოცდილებას, ღირებულებებს, მნიშვნელობებს...) სწორედ ამ უკანასკნელში მოეყრება თავი და კონკრეტულ წერტილში კონდენსირდება (ინდუქცია). აქედან ამოიზრდება და შემობრუნდება პროცესი, რომლის მეშვეობითაც შემიძლია გამოვიყვანო კონკრეტულ გამოცდილებათა მნიშვნელობის ამსახველი ცნებები (დედუქცია): ამართლებს კი ცხოვრება მოლოდინს? არის კი მისი შედეგი დამაკმაყოფილებელი?

და თუკი ცხოვრება არაა დამაკმაყოფილებელი, მე ვცდილობ, დავაბრალო ეს თავად ცხოვრებას და არა ჩემ მიერ მისთვის მინიჭებულ მნიშვნელობებსა და ცნებებს და თუ ცხოვრება არაა ისეთი, როგორიც მსურს, იყოს, *მით უარესი მისთვის!* წარმოვიდგინე მე იგი, როგორც ორგია? მაშ, მაქვს უფლება, ერთფეროვნება, რომელიც ჩემ ირგვლივ მუდამ მეორდება, სრულებითაც არ მივიჩნიო ცხოვრებად.

უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, შეგვექმნა ერთი კონკრეტული ცნება, რომელიც გააერთიანებდა ცხოვრების რადიკალურად დაპირისპირებულ გამოცდილებებსაც კი და ერთმანეთთან შეარიგებდა როგორც ორგიას, ისე დავალების აღსრულების საჭიროებას, როგორც აქმყოფობას სხვისთვის, ისე აქმყოფობას თავისთავად, როგორც სიხარულს, ისე ტანჯვას... ერთი სიტყვით, გამოხატავდა ყველაფერს ერთსა და იმავე დროს. ამგვარად შეიძლებოდა წარმოებულიყო მშვენიერი ცხოვრების ცნება, რომელიც ჩვენს აზროვნებას მისცემდა ბიძგს, ცხოვრება პოზიტიური ღირებულების მქონედ აღექვა...

ადამიანებმა სიცოცხლე მხოლოდ ისეთ შემთხვევაში შეიძლება შეიყვარონ, თუკი ეს უკანასკნელი მათ დადებითი კუთხითაც წარმოუჩნდება. ბევრად ნაკლები სასიამოვნო ასპექტი და ტანჯვით აღსავსე გამოცდილებანი ხშირად მომავალში დადებითი შედეგების მომტანად იქცევიან ხოლმე, ვინაიდან დროდადრო აღმოჩნდება, რომ მათ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ცოდნა მოუტანიათ და გონებრივი მომწიფების პროცესისთვისაც შეუწყიათ ხელი: ჭეშმარიტი მშვენიერება, არცთუ იშვიათად, ეპოქის იმ ნაწილში იჩენს თავს, სადაც მისი არსებობა სრულიად წარმოუდგენელია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხოვრების მშვენიერება ვლინდება არა სრულყოფილ პოზიტიურობაში, არამედ პოზიტიურ და ნეგატიურ გამოცდილებათა შორის არსებულ დაძაბულობაში, რაც ცხოვრების სისავსის გარანტიაა.

ცხოვრების შემოსაზღვრულობაც იმავე სისავსის შემადგენელია, ვინაიდან სადაც გვეძლევა დასაზღვრულობა, იქ გვაქვს შესაძლებლობა, ამოვავსოთ იგი, ხოლო სადაც საზღვრებს ვაწყდებით, იქვეა შესაძლებელი ფორმების არსებობაც (მათ შორისაა სიცოცხლის ფორმები). ამ პერსპექტივაში კი ცხოვრების შემოსაზღვრულობა განიჭვრიტება უკვე არა როგორც მისი ნაკლი, არამედ როგორც სიცოცხლის აუცილებელი პირობა: სასრულობა ხომ სიცოცხლეს იმიტომ უდებს ზღვარს, რომ ჩვენ მის ჩარჩოებში სისავსის სრული შემეცნება შევძლოთ?! ზემოაღნიშნული არ ნიშნავს ამ შესაძლებლობით ტკბობას. აქ უმთავრესი მათი განხორციელებაა. ხშირად გამოითქმის აზრი იმის შესახებ, რომ ცხოვრების სისავსის აღქმა მხოლოდ უკან მიმართული მზერის შედეგადაა შესაძლებელი. ფაქტობრივად ახლანდელ სისავსეს ახასიათებს სიცარიელე, ფრჩხილები, ნაკლოვანება. აწმყო ცხოვრება კი, ხანგამოშვებითი შესქელებიდან გამომდინარე, ფოროვანია. უკან მზერისას განიჭვრიტება ცარიელი ადგილები და მათი ნაკლებ მნიშვნელოვანი თანმხლები ,,აქციდენციები", რის შედეგადაც რჩება მხოლოდ ,,ესენცია" ნამდვილი ცხოვრებისა.

საკვანძო საკითხი ადამიანის ცხოვრებასთან მიმართებისა მის უმძიმეს პირობებთან შეჯახებისას იკვეთება: აქ უმთავრესი ყურადღება ექცევა იმას, ხაზი ესმევა ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს თუ იგნორირების ძალით უარიყოფა ისინი. ცხოვრების წინააღმდეგობრივი ბუნება განსაკუთრებით მძაფრად თავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არასასურველ შემთხვევითობებში იჩენს, რაც ხელს უშლის ყოველგვარი წინასწარი გათვლის განხორციელებას. ეს ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგება ჩვენს სურვილებს და თავისი ინტენსივობით არ გვაძლევს საშუალებას, შევიტანოთ ცვლილებები მასში. სიცოცხლის წინააღმდეგობრივი ბუნების დამადასტურებელია წარმოქმნისა და მოსპობის პროცესი, რომელთა მონაცვლეობაშიც ეგზისტენცი, როგორც მთელი, დამორჩილებულია და მერყეობს შობის პირობებსა და ყოველგვარი სიცოცხლისათვის წერტილის დამსმელ გარდაცვალებას შორის.

ცხოვრებისადმი პოზიტიური მიმართება სიყვარულს, მეგობრობასა და მასთან ერთიანობას უმზადებს საფუძველს, ხოლო გულგრილი და უარმყოფელი ურთიერთობა ფუნქციონალისტებისა მხოლოდ დაპირისპირებისა და თვითჩაკეტვისაკენ უბიძგებს მათ. ადამიანის მიერ სამყაროსთან დასაზავებლად მტკიცედ მიღებული გადაწყვეტილება ასუსტებს მის შიშს გარკვეული გამოცდებისა და გამოწვევების წინაშე. აღნიშნულთადმი გულგრილობა კი მათ წინააღმდეგ გალაშქრების სურვილს ჰბადებს.

წინააღმდეგობრივი ბუნების გამოვლენის ფორმები, შემთხვევითობა, უცვლელობა, შობისა და გარდაცვალების დაპირისპირება აკუმულირდებიან ბედისწერად, რომელსაც იწვევენ ადამიანები. ბედისწერად, ფატუმად ფასდება ყველაფერი ის, რაც ვერ თავსდება დაზარალებულის ძალაუფლების სფეროში, თუმცა ძლევამოსილად მიემართება ადამიანს და საკმაოდ დიდ გავლენასაც მოიპოვებს მასზე, რომლისგანაც ამგვარი ქმედებით მუდამ მიზანშია ამოღებული. ფატალურია ის, რაც უმართავია ადამიანისათვის და მიიწევს წინ, მიუხედავად ამ უკანასკნელის სურვილისა. ამგვარად, ცხოვრება *a priori* სთავაზობს მას თავის პირობებს, ან *a posteriori* აკეთებს ამას, როდესაც რაიმე მოვლენა უკვე იჩენს თავს და მისი სასიამოვნო თუ უსიამოვნო შედეგები გადასინჯვას აღარ ექვემდებარება. მაგალითად, ავადმყოფობა მხოლოდ დროის გარკვეულ მომენტამდე შეიძლება ემორჩილებოდეს მკურნალობას, მაგრამ როდესაც იგი არაკონტროლირებადი ხდება, იქცევა ბედისწერად, მიუხედავად იმისა, გამოინვია იგი ბრმა შემთხვევამ თუ რაიმე ცნობილმა ან უცნობმა წინაპირობამ.

ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ყველაფრის ბედისწერისთვის გადაბრალება და მისი ძალაუფლების ,,ბრმად აღიარება" იქცევა ფატალიზმად. თანამედროვეობამ განიზრახა ამ ცნების უგულებელყოფა და პირველ რიგში ეს რელიგიური მოცემულობების გადალახვით განახორციელა. ამით იგი იმთავითვე დადგა კანონიერი ანტიფატალიზმის პოზიციაზე; ასე რომ, ბედისწერა მოდერნიზმის ცნებებში საერთოდ აღარ უნდა მოხვედრილიყო: აქ უკვე ყველაფერი უნდა დამორჩილებოდა მეცნიერულ ცოდნასა და ტექნიკურ ძალაუფლებას, რამაც ადამიანის ირგვლივ არსებულ მოვლენებს ხელშეუხებლის საბურველი ჩამოაშორა. აღნიშნულმა ცვლილებამ საფუძვლიანად გარდაქმნა როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ისე მთელი საზოგადოების ცხოვრება, ვინაიდან აქ იმთავითვე მოცემულად აღარაფერი გაიაზრებოდა: ამ ახლებურ ვითარებაში შესაძლებელი გახდა ამა თუ იმ ოპერაციის მეშვეობით სხეულისათვის სასურველი ფორმის მიცემა, სპეციალური საშუალებებით სასიამოვნო სულიერი განწყობის მოპოვება... ნეგატიურ განწყობათა დაძლევა. განა ბედისწერაა ბავშვების ყოლა მაშინ, როდესაც ამაში აბების ჩარევაც საკმარისია? ან ბედისწერაა მათი არყოლა, როდესაც ეს პროცესი ჰორმონებზე ზეგავლენის მოხდენითაც უარიყოფა? განა დაბადების ბედისწერამ იზრუნა კანის ფერზე? იგი სურვილისამებრ შეიძლება შეიცვალოს. მძიმე უღელმა მიაჯაჭვა ადამიანი ერთ პლანეტაზე? მას შეუძლია, ეს უკანასკნელიც მიატოვოს.

და მაინც, ბედისწერა ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის ადგილს, ვინაიდან ჩვენ ირგვლივ მაინც უხვადაა ისეთი მოვლენები, რომელთა სურვილებისათვის დამორჩილება ჩვენს ძალებს აღემატება. აქ უკვე ადამიანს ,,ბედისწერასთან თამაშში" ტექნიკა ვეღარ უწევს სათანადო დახმარებას. როგორც კი იღვიძებს თუნდ ერთი მცირე ნაწილი თავისუფლების განცდისა, მაშინვე დგება ბედისწერის პასუხისმგებლობის საკითხი: მე მაქვს არჩევანი, ვიარო ამა თუ იმ გზით, ვიყიდო ეს ან სხვა პროდუქტი და სხვა. ამ დაკვირვებისას ბედისწერა იქცევა არჩევანად, განვლო ცხოვრების გზა ამა თუ იმ ადამიანთან ერთად, ვიყოლიო ან არ ვიყოლიო ბავშვები. თუნდ ამ უკანასკნელ საკითხში, ბედისწერის წინააღმდეგ მეტყველებს თანამედროვე მეთოდი ხელოვნურად განაყოფიერებული უჯრედის გადანერგვისა... დაუსრულებელი დავა ბადებს კითხვას: რა არის ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევანი? მაქსიმალური თავისუფლების აღიარება და მთელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ყოველი ჩვენგანის ძალებს აღემატება, თუმცა მეორე რადიკალური გზის არჩევით – თავისუფლების სრული უარყოფითა და პასუხისმგებლობის მოხსნით – მხოლოდ თვითნებობამდე მივიდოდით.

ყოველი დამოყვრება სამყაროსთან, ყოველი მეგობრობა და ერთობა ცხოვრებისეულ მოვლენებთან ადამიანს უქმნის მის ბედისწერისეულ მზამოცემულობებთან თანხმობის წინაპირობასაც. თანხმობის საუკეთესო გამოვლენად კი იქცევა ადამიანის თავდადება ცხოვრების ყოველ კუნჭულში, მისთვის გადაშლილ ყოველ ასპარეზზე, რაც თითოეული ინდივიდისათვისაა შესაძლებელი. თავდადება მოითხოვს ისეთ ამოუხსნელ ამოცანებთან შეგუებასაც, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება შეფასდეს ბედისწერად, ზოგიერთი კი – არა. სწორედ აქ ვაწყდებით ძალზედ რთულ, მაგრამ, ამავდროულად, მეტად საჭირო მომენტს – მზადყოფნას მოთმინებისათვის.

ადამიანები ხშირად სვამენ კითხვას – რამდენად სამართლიანია ცხოვრება მათთან მიმართებაში, მაგრამ იგივე კითხვა შესაძლებელია დაისვას საპირისპიროდაც – რამდენად სამართლიანნი ვართ ჩვენ მისდამი? ეს-ესაა გათავისუფლდნენ ისინი მსგავსი მიმართებით ღმერთის მოაზრებისაგან, თანამედროვენი აქტიურად მიმართავენ ამგვარ პრეტენზიას სიცოცხლისადმი, რაც ადამიანთა ცნობიერებაში სიცოცხლის ნაკლოვან ესკიზად გარდაიქმნება. სწორედ ამ დამოკიდებულების შედეგია ფრაზა, რომელიც გარშემო მყოფთაგან არცთუ იშვიათად გაგვიგონია: ,,ცხოვრება უსამართლოდ მეპყრობა"! – ამბობენ ისინი. სიცოცხლესთან ურთიერთობის შიშის მასშტაბი მოითხოვს ჩვენგან დაპირისპირებულ მხარეთა შეცნობას, რაც ურთიერთობის ცხოველმყოფელ ფორმამდე მიგვიყვანს. საჭიროა ადამიანებმა გაითვალისწინონ, რომ ბედისწერით დაბრმავებული მოდერნული კულტურა აუცილებელია ვაქციოთ ბედისნერაშეცნობილ სულიერ მემკვიდრეობად, რომელშიც ბოლომდე იქნება გაანალიზებული, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს უმკაცრესი კავშირები სიცოცხლის ფართო კონტექსტში, რომ ტკივილი, რომელსაც ეს კავშირები იწვევენ, ყოველთვის არ შეიძლება უარყოფილ იქნეს. სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს მაქს ფრიში თავის „Homo Faber" – ში, სადაც გვიხატავს ტექნიკური ძალმოსილების სამყაროში ბერძნული მასშტაბებიდან ტრაგიკულად დანახულ ადამიანს.

„ქვა საცდურისა" სიცოცხლისადმი სიყვარულისათვის არის სწორედ ის *სხვა*, შეუფერებელი და ცვლილებისათვის მოუხელთებელი. სიყვარული, ამავდროულად, არის ხელოვნება, შეგეძლოს, თავი გასწირო იმისათვის, რისი მოთმენაცაა საჭირო და არა მხოლოდ *გსურდეს* ის, რაც ჯერ-არს, გააკეთო. საჭიროა გიყვარდეს სიცოცხლის ყოველი მომენტი,

იქნება ის გარდაუვალი დავალება, აუცილებელი მოვალეობა თუ ბედისწერისეული წინასწარგანსაზღვრულობა, რომელსაც ვერ გარდაქმნი. ჩნდება კითხვა, ჩვენი ამგვარი მიმართებაც ხომ არაა ბედისწერით განსაზღვრული? კავშირები ყველგან შეიმჩნევა, როდესაც ადამიანი თავის გზაზე ღრმა დაბნეულობისაგან გამოერკვევა და ირგვლივ მიმოიხედავს... უნდა ითქვას, რომ ეს არაა საკითხი ობიექტური სინამდვილისა; აქ საქმე გვაქვს სუბიექტურ მნიშვნელობებთან...

როდესაც საქმე სიცოცხლისათვის აზრის მინიჭებას, თავად ბედისწერის აზრით ავსებას ეხება, აქ პროცესი ყოველთვის იმ პირობით წარიმართება, რომ აზრი უნდა გულისხმობდეს არა ნებისმიერ შესაძლებელ შინაარსს, არამედ იდეას, რომლისაც ღრმად სჯერა ადამიანს და რომელზეც თამამად დააშენებდა თავის ცხოვრებას. ესეც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ „აზრის" წინაპირობები იძულებით კი არ წარმართავს მის მდინარებას, არამედ თვით ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც სიცოცხლე დაცლილია ყოველგვარი აზრისაგან, დგას საკითხი აზროვნების, სხვებთან ურთიერთობის, კავშირთა აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ. წინაპირობები იძლევა იმის საშუალებასაც, რომ დროდადრო კვლავ კრიტიკულად განიხილოს ეს აზრი, წარმოდგეს ახალი შეხედულებები მის სფეროში, გადაისინჯოს აქამდე მიღებული გამოცდილებები; ეს პროცესი კი გვაზღვევს აზრის ქედმაღლობისაგან, რაც თავის თავში გარკვეულ საკითხებზე გულგრილი, გადაჭრილი პასუხის ქონას გულისხმობს. ხოლო მას შემდეგ, რაც სიცოცხლე ჩვენს თვალში იცლება მნიშვნელობებისაგან, ეჭვისა და ბედის მორჩილების საშიშროება გვიახლოვდება. აქ უკვე გადამწყვეტ როლს აღარ თამაშობს საკითხი, უკავშირდება იგი ტრაგიკულ გზას თუ კომიკური ხედვით მიგნებულ გამოსავალს, როგორც ამას შოპენჰაუერისა და ვუდი ალენის შემთხვევაში ვხედავთ. „მელინდა და მელინდა" – ეს იგივეა, რაც არტური და ვუდი. კონტრასტული პროგრამა კი ამ უკანასკნელებთან მიმართებისას იქნებოდა სიცოცხლის მნიშვნელობათა სისავსიდან გამოსვლა და ყოველგვარ წინააღმდეგობასთან თანაბარი სიმტკიცით შეხვედრა.

ასეა თუ ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი კითხვა, დასმული აზრის შესახებ, ეგზისტენციალური გადაწყვეტილების სფეროში გადადის და, შესაბამისად, დიდ გამბედაობას საჭიროებს.

*წერილის ავტორი – **ვილჰელმ შმიდი.** დაიბადა 1953 წელს, ცხოვრობს ბერლინში, ერფურტის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს ფილოსოფიაში. 2011წ-ს გამოვიდა მისი ახალი წიგნი „სიყვარული – რატომაა იგი ასე რთული და როგორ ისხამს იგი ხორცს".*

წერილი დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალში ,,ფსიქოლოგია დღეს" 2012 წ-ის თებერვლის ნომერში.

გერმანულიდან თარგმნა
ნინო აფციაურმა.

კეისარის თვე

ქუჩის ფანჯრებია ღია
მგზავრებს სახურავებს აწვიმს
გული სიგიჟეა გიო
ჭაღზე დაკიდება ბაწრით
ვიღაც ლირიკული ხაზით
წვდება ელინას და გიზას
ჩვენ კი თბილისურად ასე
ბედის კარაკალი გვიზის
იყო ყველაფერი იყო
თუ რამ ყოფილიყო უნდა
მზისგან დასიცხული რიყე
დღემდე სამახსოვრო გუნდა
მშობლის უღალატო კერა
ხელის გადახვევა ქარში
უცებ აფრენილი მწყერი
მუხლებნაომარი ბავშვი
ქალით გონშეშლილი თრობა
სკოლის ფოტოგრაფის კადრი
სადღაც მეგობრობის თრომბი
სადღაც სიხარული ადრე
მერე მოეკიდათ ყდებზე
ანდერსენს და გრიმებს ხავსი
მერე შემოვიდგით მხრებზე
ბებო ყვავილებით სავსე
შორს რომ მოვიპარეთ თიხა
ჩიტს რომ ავუშენეთ ბუდე
იყო ყველაფერი იყო
რაც კი ყოფილიყო უნდა
ოღონდ გავიხსენოთ ერთად
თუმცა გვიანია წესით
სადაც უარვყავით ღმერთი
სადაც უღმერთობა ვთესეთ
სადაც სინანული სახლობს
თანაც რა აუვა თქეშებს
სადღაც სიშორესთან ახლოს
სადმე კეისარის თვეში

გიორგი ძამუკაშვილი

აპრილი

ოდესღაც ქალაქში აპრილი მოვიდა,
ჩემი დაბადება მოვიდა – აპრილი,
მე მიცქერს ბავშვობა ზღაპრული თოვიდან,
როცა მაგნოლიის მაფითრებს ფოთოლი –
ყვავილი, ქალწულთა თეთრი სისადავის
კვდომით გადახრილი.
ოდესღაც ქალაქში აპრილი მოვიდა,
ჩემი დაბადება მოვიდა - აპრილი
და წვიმის ტოტები
დაღალულ მტევნებად იყო გადაყრილი.
ამ დღეს კი აპრილის თვედ სახეშეშლილი
ფიქრი მომესია.
დაღუპვას მიქადის გრიგალის ძახილი,
ქალაქის ქუჩებში ისეთი სიშორით დამაქვს
პოეზია
და ჩემი უცნობი პოეტის სახელი,
რომ გრძნობა სისხლით მცლის ლურჯი
ნასროლიდან
და ნერვი ყოველი სულსაა გაყრილი.
ოდესღაც ქალაქში აპრილი მოვიდა,
ჩემი დაბადება მოვიდა - აპრილი.

●

უნდა დავიკარგო თქვენთან
უნდა გავიმაგრო მუხლი
ღარიბდიდბუნოვან მამის
მთებო წააგავხართ ფიქრებს
დროის გაფრენასთან ერთად
ისე შემომაწვა მწუხრი
თქვენი თეთრინისლისჟამი
სულში აღმიდგინოთ იქნებ

უნდა დავისახლო თქვენში
უნდა გამოვექცე ტყუილს
ზაფხულს მდუმარების ნაცვლად
მთებში დავაბერებ მთებო

თუა ერთგულება გენში
და საფრთხე პირისპირ ყმუის
მაშინ მწვერვალებზე ასვლა
მხოლოდ სიყვარულით ხდება

უნდა დავიკარგო თქვენთან
უნდა გავიმაგრო მუხლი
თავი შემაყვარეთ როდის
როგორ შემაყვარეთ მთებო
როცა სიმაღლეა ფერთა
მე ქედს უკვდავ წამებს ვუხრი
თორემ ყველაფერი მოდის
თორემ ყველაფერი ქრება...

●

(პალინდრომი)

ამ სილით ამდება
ქუჩა...
აისია, დარაბა ირაზება... სინათლე, ხმა,
ცას არ აეკრა სილუეტად.
დალევ... და ნაგანი!
შიგ იებით...
ითამაშე შამათი,
თიბე იგი-
შინაგანად, ველად...
დატეული სარკეა,
რასაც ამხელ, თან ის.
აბეზარი, აბა რა,
დაისია...
აჩუქა
ბედმა
თილისმა.

●

ბათუმში აირია ამინდები.
წვიმაა, ეგზოტიკა, მოგონება.
გარბიან წვიმისფერი გოგონები,
ცოტათი სასაცილოდ ტანდახრილი
ქურთუკებს თავს წყვილ-წყვილად აფარებენ,
ღრუბელი ქალაქზეა გადაყრილი,
ტალღების აქოჩრილი ფაფარია!
შუაში საცხოვრებელ კორპუსების
სულ მალე სველი მთვარე მიგორდება.
ფიქრები, ლირიკული ოპუსები,
ქუჩები, აფიშები, ბილბორდები,
წვეთები... აფთიაქი შუაღამის,
რომელიც ეომება დეპრესიას
და თვლემენ მატროსები შუახანის
და ღამით გასასვლელი ექსპრესები,
უცდიან "დანტესებს" და "რადამესებს",
თუნდაც იმ "კაროჟნას" ან "დულსინეას",
რაღაცას ხაზი უნდა გადაესვას,
როცა ბედს უფსკრულები უცინიან...
და შენი კრებულივით დაუწყობელ
შენს ნერვებს ნოსტალგია ეძალება.
ძარღვები არსებობას გაუწყებენ
და სულში ამომსკდარი ენძელები...
და რაგინდ აღმოსავლეთ მეჩეთიდან
მოლას ხმა ალაჰისთვის წრიალებდეს,
და რაგინდ შენი მიწის ბეჭები და
ნისლები ერთდებოდნენ თრიალეთზე,
დღეს მაინც პასტორალის სიყვითლეა,
მსუბუქი სიყვითლეა პასტორალის,
ტალღების აქოჩრილი ფაფარია,
ღრუბელი ქალაქზეა გადაყრილი,
ცოტათი სასაცილოდ ტანდახრილი
გარბიან წვიმისფერი გოგონები...
არც ისე შენეული აპრილია,
ბათუმი ეგზოტიკა, მოგონება...

სუნთქვა გინდა

ბებერო თბილისო რა რთულია
იპოვო მიიღო შეინახო
რაც კი შენია და ქართულია
ახალ საქართველოს მეინახედ
ისევ კალენდრები იცვლებიან
რაღაც იმედებით და თავდებით
სისხლის თარიღები რიცხვები და
მერე აღარასდროს გათავდება?
რა გითხრა ან რითი გაგახარო
შენთან შეხვედრაც კი მეძნელება
ღმერთმა დამიფაროს დაგაყარო
ვიღაც მგოსანივით ენძელები
ყელზე ტკივილი მაქვს მობჯენილი
ძველი ორიანის ჩახმახივით
ძლიერამაქვეყნის გონჯებით და
ძმებით ამბოხებით ახმახებით
შენი სახეების შეფეთების
რაღაც მგლური შიშის გახელებით
ახალ პოეზიის მეფეების
ცოცხლად დამარხული სახელებით
ირმისთვალიანთა გვამებით და
ირმისრქებიანთა უფლებებით
სადღაც კუნძულებზე დადებითად
ძლიერ გატარებულ უქმეებით
როცა ლუკმანაკლულს სხვათა შორის
მწერლებს აღარც ვამბობ ოვაციას
ჟინად რჩებათ მკვდარი მატადორის
ნახონ პარიზი ან ფლორენცია
განა დასაფრქვევად რომანიდან
ეშმაკს წაუღია განა რატომ
ისევ გოლგოთაზე რომ ავიდნენ
ისევ მთაწმინდას რომ დაემატონ
ჰოდა მთაწმინდით და ნარიყალით
შენი რუსთაველის ექსკლუზივით
ვითომ ქართველები არ ვიყავით
ვითომ ჩამოვყევით ექსკურსიას
ახალ ბერმუდად რომ დაეწყობა
სვავთა ნაამბობი სულ თავიდან
ვისი რა ბრალია დავიწყოთ და
აღარ შეგიძლია სუნთქვა გინდა
მწვადით სინდისამდე გამურული
ისე ერთ ნაფაზად გაგაბოლებს
ვიღაც ნაბოზარი გლამურული
ვიღაც ორქიდეას ბაგამოლი
მიმიფურთხებია კაცობისთვის
სისხლი ამბოხისკენ მიმაპარებს
იმან რა იცის რომ ამ გრძნობისთვის
თავადს გაუხვრიტა წინაპარმა
გული ღრეობისგან განაბერი
ვკარგავ ღმერთისაკენ გამოსავალს
სანამ დასავლური კარაბინით
მზეს დავიხატავდე აღმოსავლურს
აღარ შეგიძლია სუნთქვა გინდა...

შოთა ტოგონიძე

რა მოგდის, ადამ?!

ამ დაუწმენდელ ქვეყანაში
რა აღარ ხდება,
რაღაცა საქმე კეთდება და
რაღაცა ხდება...

დიპლომის დაცვის თემა გახდა
ხალხო, „ფურთხება“ (?)
ახალია და ხელოვნებას
თურმე უხდება...

დიპლომანტები დასხდნენ წრეზე,
ერთურთს აფურთხეს;
მერე რექტორის ხელმოწერით
მხატვრად აკურთხეს.

აი, ნამდვილი აღმოჩენა,
რა მოგდის, ადამ?!
ნუთუ სულიერ სამყაროშიც
წაგიხდა მადა!!!

რასა ფიქრობდით...

გვიმზერს სატანა და იმეორებს
ცოდვებს და, ვატყობ, არსად არ მიდის,
კაცმა შეირთო ცოლად მეორე
კაცი, და წახდა სულის ამინდი.

ხალხო, ნუ იზამთ ცოდვას საძრახისს,
ნუ გამაგონებთ ამბავს შემზარავს!
სატანა მაინც ყურში ჩამძახის:
ხომ ჰყავს ნუგზარას ცოლად ემზარა?..

სიცოცხლე გვერგო ძნელი და მკაცრი,
ასე დაგვწერა ბედი გამჩენმა;
თუ მარცხდებოდა მტერთან ვაჟკაცი,
სიკვდილს არჩევდა ცოცხლად დარჩენას.

თქვენ კი უომრად ნებდებით ეშმაკს,
გართმევთ, რითაც კი მოვედით დღემდე;
აგვყრის ღირსებას და ისე შეგვკრავს,
ხელს ვერ გავანძრევთ ერისთვის შემდეგ.

ქირქილებს ეშმა, ვით მოლანდება:
რასა ფიქრობდით, საწყლებო, აბა?!
აღარც გიორგი დაგებადებათ,
აღარც – დავითი და აღარც – საბა!

სიმახინჯეა დღევანდელობის

არეულია დროც და ბუნებაც,
ვინ რას კადრულობს და ვინ რას გიჟობს;
საყურიანი კაცის ყურებას,
უყურო კაცის ყურება მიჯობს...

მეომარს ომში ტანს უმშვენებდა
ფარ-მუზარადი, სამკლაურები,
ახლა გულს გირევს, კაცი რომ გხვდება,
სხეულზე ქალის სამკაულებით...

ვაი, ქართულო თავმოწონებავ,
ჩვენო წესო და ძველო ადათო;
თუ გსურს გადარჩე, უხმე გონებას,
რაც ძვირფასია შენში, არ დათმო.

მე არავისი არა მშურს არც-რა,
ყველა მცოდნეა თავის ხელობის;
ქალის და კაცის როლების გაცვლა,
სიმახინჯეა დღევანდელობის!

ტრადიციის მაგინებელს

მთელი მსოფლიო იცნობს ჩვენს მოდგმას,
პატივსაც სცემენ დიდ ტრადიციას;
სტუმართმოყვრობა ოდითგან მოგვდგამს
და მისი ფასიც კარგად იციან.

ყველაფერს უცხოს ასდევნებიხარ
და ამ ბაცილას ქვეყანას მოსდებ
და ქართულ სუფრას აკადემიას,
ურცხვად ადარებ „ცისფრების“ ბორდელს.

ღმერთმა გაცილოს შენ ქართულ ქეიფს,
აქ შენნაირებს სუფრა ვერ იტანს;
ვაი, შენს პატრონს, მაგ თახსირ „გეის“,
რა კავშირი აქვს ქართულ ქეიფთან.

და მომავალში, უღირსი თავი,
თუ შენნაირმა წამოჰყოს ერთმაც;
ქართველ ერს (უნდა ვთქვა სიტყვა ავი),
ნუ გაუზარდოს გამჩენმა ღმერთმა!

ნუ ამიტირებ

მთელი დღე ამ ლექსს უნდა
ვედავო,
იქნებ შევასხა ფრთები
საფრენად;
სიტყვავ, ხანდახან გაუბედავო,
გამომადექი წყლულზე საფენად.
აქედან მოსჩანს სიღრმეც,
ნაპირიც,
აღარ მერევა შავ ფერში თეთრი:
ვინ სიკეთეა და ვინ – ვამპირი,
ვგრძნობ, როგორ მართავს
სამყაროს ღმერთი.
უფალო, ცოტა გაგითამამდი,
თვითონ არ შემქმენ, გსურდი
რაგვარიც;
შენი წყალობით
ამოვთავთავდი,
შენით გავიდგი ფესვი მაგარი.
შენ მაზიარე ქვეყნის
სიყვარულს,
მაფერე ამ ჩემს ზეცას და მიწას,
ნუ ამიტირებ გზაზე სიხარულს,
ტკივილთან ერთად გულში
რომ ვიწნავ!

ჩემი ანბანი

რასაცა ვწერ, იმას ვამბობ,
რასაც ვამბობ, ვწერ მე იმას;
ჩემი ენა არ მოითხოვს,
პრანჭვა-გრეხას, უცხო
გრიმასს.
ენით ვარჩევ, როგორია
ჩემთან ყოფნა მტრის
და მოყვრის;
ამ ანბანით დაიწერა
პოემა და ლექსი მოყმის...
შენითა ვარ თუ ვარ ქვეყნად,
შენი ძალით გული გულობს;
ოცდაცამეტ ასო-ბგერით,
ვმღერი „ლილეს“ და
„ჩაკრულოს“.
და დროის ზღვა ვერ ჩაძირავს,
ამ ანბანით შეკრულ ჩემ ტივს;
მე არავის განვიკითხავ,
აბა, რა ვთქვა უფრო მეტი!

აღარ შეცდე

საქართველოს ყველა კართან
წარბშეკრული დგას ილია;
წიწამურის ჯოჯოხეთი,
ვიცით, უკვე ჩავლილია.
და ქართველო, აღარ შეცდე,
ნუ აჰყვები დროის ტაროსს;
თუ ილიამ წიწამურზე
ერთხელ კიდევ გაიაროს!

მეც წავალ

მეც წავალ, როგორც
წასულა ბევრი,
გული დასწყდებათ, ეს იმედია;
გამომიტირებს ერი და ბერი
და დამთავრდება აქ კომედიაც.
მადლობა უფალს, გამოიმეტა
ბედი და ქვეყნის ბედში ჩამაბა;
უკან მრჩებიან ჩემდა იმედად;
გოჩა, ჯუბა და თემურ ჩალაბა...
გამიხსენებენ სევდიან პოეტს,
შემადარებენ გრანელს
თუ ნიკოს...
აქ რა ვიპოვე, იქ რასა ვპოვებ,
მთავარია, რომ მე მათთან ვიყო!

გოჩა ხარანაულს

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მინიჭების გამო

ახლა ჩარგალში თოვსა
და ცივა,
ბუხარში ცეცხლი უნთია ლუკას;
ტანთ ისევ ძველი ჩოხა აცვია
და სამშიეროს არ იკლებს
ლუკმას...
გინდა, რომ მართლაც
ასე ხედავდე,
უკვდავებაში წასულ დიდებას
და სანამ ლექსის თქმას
გაბედავდე,
სული მთასავით ამოიზრდება.
ახლა სუფრასთან შენ
გიზის სტუმრად,
(ბრიყვმა იკითხოს რისთვის
და რატომ);
რა გაგაჩერებს უქმად
და უბრად,
აჯანყებული ლექსების
პატრონს...
და უხარია მთის კაცს კაი ყმა,
რომ ის ამქვეყნად არ
არის მარტო!

ზაურ კალანდია



ციკლიდან: „ესკიზები საშემოდგომო განწყობილებისთვის - 3“

კირილე

კირილეს მოუგვარებელი საქმე გაგონილა? თუ მოინდომა, თუ შეგპირდა, არ არსებობსო! – იმდენად სჯეროდა ამის მთქმელს, აზრს ვერ შეაცვლევინებდი.

მე თუ მკითხავთ, ასეც იყო!

ბატონ კირილეს დედამიწის მეექვსედის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში ჰყავდა ნაცნობობა და გავლენიანი მეგობრები. ეს იცოდა დიდ-პატარიანად, ყველამ, ვინც იცნობდა, და, ვინც არ იცნობდა, იმანაც. მას პატივს სცემდნენ, ჩამოუდიოდნენ სტუმრები სხვადასხვა ქალაქებიდან. თავადაც გზაში ან ჰაერში იყო მეტწილად...

უბრალო, თბილი, სალმიანი შეხვედრა იცოდა. ფერი, სიარული, ქცევის მანერები თუ ჩაცმულობა გამორჩეული ჰქონდა, რაღაც შენეული, ზუგდიდური პეწი და სიამაყეც რომ ახლდა თან და ეს მოგწონდა. კირილეს, ისიც უნდა ვთქვათ, რაც ჩვეულებრივი ამბავია ჩვენში, არც შურიანები და გამკილავები აკლდა.

ერთხელ, „დიადი კავშირის“ პოლიტბიუროს წევრი თუ კანდიდატი ჰყავდა პირად სტუმრად. დიდი კაცი კაი ხნით დარჩა. გოგოხიების ქუჩა შავი „ვოლგებით“ გადაშავდა, რესპუბლიკის ხელისუფალთა რიგი დადგა. მილიციის შეფი აწესრიგებდა მომსვლელ-წამსვლელთა განრიგს, საღამოობით სუფრის თამადა რაიკომის პირველი მდივანი ან რომელიმე დარგობრივი მინისტრი იყო დედაქალაქიდან.

თანამდებობებზე დახარბებული არ იყო, დიდად არ ხიბლავდა კაბინეტში ჯდომა.

ერთი ხუმრობა დღესაც დადის ქალაქში.

კირილე ერთი ხანობა რაიონული სავაჭრო ორგანიზაციის OPC-ის დირექტორის მოადგილე იყო. მთავარი ბუღალტერი გაუნაწყენდა უფროსობას: მე რატომ მჩაგრავთ, ჩემ წილს რატო არ მაძლევთო? კირილემ, გარეთ გამოდიო, უთხრა, შეახედა დაწესებულების აბრევიატურაზე, სადაც გარკვევით და გამოკვეთილად ეწერაOPC-ი.

რა წერიაო, ჰკითხა. იმან დამარცვლით წაიკითხა OPC-იო. ამაშია საქმე, ჩემო იმანო!.. აი, OPC-ს რომ წაეწერება, მაშინ მიიღებ შენს წილსო!

გამკილავებიც არ აკლდა-მეთქი, ზემოთ ვახსენე.

მაგისი ფული მომცა და კირილე ვინ მიგდია, უარესს ვიზამო, გამწარებული გიმტკიცებდა ვიღაცა.

თავად კირილეს მოსწონდა თავისი როლი. თუ სადმე ჭირდა, თავს ვალდებულად მიიჩნევდა იქ ყოფილიყო, ლხინში – მით უმეტეს. ერთი რამ ცხადი იყო: ენერგიული, საქმიანი, ხალისიანი, იუმორით სავსე ბატონი კირილე ფულს ნამდვილად არ უჩიოდა, არც გულს და, იმისი სურვილი და გრძნობდა ვიღაცას გვერდით დადგომოდა, მოჭარბებულად ჰქონდა. რა დროშიც დაიბადა და იცხოვრა, იმ დროის ნიჭიერი შვილი იყო... დრომ შექმნა კირილე და, მიუხედავად იმისა, ვისთვის რანაირი და როგორი იყო ეს დრო, შეიძლება ითქვას, კირილესთვის გაჭირვებული კაცისთვის ხელის გაწვდენა და თანადგომა ხელობად ექცია. უსასოო კაცის იმედის კუნძულიაო, ფიქრობდა ბევრი.

ერთ დღეს ხმა გავარდა ქალაქში, კირილე ცუდად არის, მოურჩენელი ავადმყოფობა სჭირს, კვდებაო!

შეწუხდა ყველა. კარგა ხანს ქუჩაში, ბაზარში, ქორწილში თუ ქელეხში ეს ჰქონდათ სასაუბრო.

კირილე და ავადმყოფობაო, არ სჯეროდა, თავს სინანულით გადაიქნევდა ადრესატისთვის სრულიად უცნობი ზუგდიდელი და... გზა, ანუ ცხოვრება გრძელდებოდა.

გაიარა ხანმა.

მესამე წელიწადი იწურებოდა, რაც კირილე ლოგინად იყო ჩავარდნილი – არც რჩებოდა და არც კვდებოდა. ამ შემთხვევაში დრო მკურნალი კი არა, უფრო ცივია, თითქოს უძრავია და გულმავიწყიც...

ქალაქი, როგორი პატარაც უნდა იყოს, ზნე და ბუნება დიდი ქალაქისა აქვს. ის ცოცხალი ორგანიზმია, როგორც თბილი და კეთილი, ისე უგულო და გულმავიწყიც... აწმყოც შეგუებული წარსულია ქალაქისთვის, მითუმეტეს, როცა წარსულის კარგიც და ცუდიც ერთი ნაგვის ყუთში იყრის თავს...

შემთხვევით რომ წამოგცდენოდა კირილეს სახელი – რაო, კიდევ ცოცხალიაო? – მოგაშტერდებოდა ვინმე უტიფრად.

...ერთხელ ბაღის თავში ვდგავართ ბიჭები, საქეიფოდ ვემზადებით.

მსუბუქი მანქანების წყება წამოვიდა, ავტოინსპექცია მოჰყვება წინ და უკან.

ეტყობა, ქალაქს საპატიო სტუმრები ჰყავს.

დადიანების სასახლისკენ შეუხვიეს.

– კირილეს სტუმრები ხომ არ არიანო?

ვიღაცას ძველი დრო გაახსენდა.

– ეჰ, კირილე, კირილეო...

შეწუხდა ერთ-ერთი.

– რა იყო?

დავეჭვდი.

– კირილე ამ დილით გარდაიცვალა, არ იცი?

– რას ჰქვია გარდაიცვალა? გუშინ პარასკევი არ იყო? ზურაბი მინდოდა... კირილესთანაც შევიხედე... ხუმრობის გუნებაზე იყო.

არ სჯერა ნუგზარს.

გავვარდით.

– გვიანი იყო... მამა გიბარებსო, ჩემი და ცოცხალ-მკვდარი გამოვიდა ოთახიდან, – სამძიმარზე მისულ მეგობრებს გვიყვება კირილეს ერთადერთი ვაჟიშვილი ზურაბი, – მოხვედიო, – განწირული თვალებით მომაჩერდა. ცრემლები მომადგა, დავმუნჯდი, – ნუ გეშინია, შვილო, – ხმა ამოიღო, აქეთ მამშვიდებს, – ერთი მინდა იცოდე, ორ კვირაში თუ არ მოვბრუნდი, ჩათვალე, იქ არაფერიაო! – სულ მოითქვა. – თუმცა აქ რა იყო და იქ რა იქნება... პოტიკია[1] ყველაფერიო! – ხელი აიქნიასავით და... გათავდა.

. . .

– ჯიუტი კაცია კირილე!.. სიტყვას არ გატეხს, ან მობრუნდება, ან არაო, – ორაზროვნად ამბობს გზაში ოდიკი.

– თან ორ კვირაშიო...

აზუსტებს ნუგზარი.

ედემი დუმს...

– რაღაც მეეჭვება...

ვდუდღუნებ ჩემთვის. მიცვალებულის ოპ-ტიმიზმით გაოგნებული ვარ. რაღაც პატარა ეჭვი კი მღრღნის, მაგრამ ამათ ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა.

. . .

მას მერე, ორი კვირა რაა, სამი ათეული წელიწადია გასული.

ახლახან შემთხვევით შევხვდი ზურაბ კირილეს ძეს. ალი-კვალი კირილეა, მისი მიხრა-მოხრით... მასავით ზორბა, დამრგვალებული და გამელოტებული.

მინდოდა, მეკითხა – მამაშენი ხომ არ დაბრუნებულა-თქო?

მართალია, ამ ბოლო დროს იშვიათად ვჩანვარ ზუგდიდში, მაგრამ ვარიანტი არ არის, მობრუნებულიყო და არ გამეგო!

გადავიფიქრე.

ნაპო

ჩვენთან, საქართველოში და, განსაკუთრებით ჩემ ქალაქში, ფულიან კაცს დიდ პატივს სცემენ. ფული გაქვს, წელგამართული ხარო, ცხვირმოუხოცავი ღლაპისგანაც გაიგონებ. არავინ უყურებს, როგორ და რა ხერხით გაქვს იგი ნაშოვნი. მთავარია, ყურადღებიანი იყო მეზობლის, მეგობრის თუ ნათესავის მიმართ. ეკლესიაშიც თუ შეხვალ დროდადრო, ღატაკებსაც თუ მოიკითხავ და სანთელსაც დაანთებ, შეიძლება ანგელოზადაც შეგრაცხონ.

მდიდარი კაცი იყო ჩვენი მეზობელი ნაპოლეონი, მაგრამ სახელ ნაპოლეონსაც ვერ იმეტებდნენ მისთვის ბოლომდე. რაც უნდა გაგვიკვირდეს, სალამსაც კი უგვიანებდნენ, პატივს არ სცემდნენ, არ უყვარდათ.

ა, ნაპოო, ჩაიქირქილებდა რომელიმე შარვალგამოღლეტილი მეზობელი და ხელს უდიერად ჩაიქნევდა.

ნაპოლეონი შუახანსგადაცილებული იყო და განსაკუთრებით მის ტოლებსა და უფროსი ასაკის მეზობლებს არ მოსდიოდათ იგი თვალში. არადა, ესეც გამიგია, თუ რამეს სთხოვ, უარს არ გეტყვის, პირიქით, თან გადაგყვებაო და ეს მიკვირდა. თავადაც სხვანაირი იყო, ცოტა მორცხვი, ცოტა გულჩათხრობილი, ფულიანი კაცის სითამამე არ ჰქონდა, გაუცხოებულად გრძნობდა თავს, იშვიათად გაერეოდა მეზობლებშიც. თავის საქმეს დატრიალებდა, რამდენიმე მაღაზიასა და ჯიხურს ფლობდა ქალაქის ცენტრალურ ბაზარში და ფულს დასტა-დასტად ჭრიდა...

ერთხელ მამას ვკითხე, რა იყო ამისი მიზეზი.

არ მიპასუხა.

არ მოვეშვი.

– ასეთი გალაღებული არ იყო ადრეო, – მიპასუხა.

ვერაფერი გავიგე-მეთქი.

– ომის დრო იყო (მეორე მსოფლიო ომზეა ლაპარაკი), მეზობელი გარდაგვეცვალა, – მძიმედ დაიწყო მამამ, – ძვირფასი ადამიანი. არავინაა პატრონი, – შვილები ომში არიან, სანათესაო არა ჩანს... საშინელი დროა, პურის ნატეხი ჭირს, შიმშილით იხოცება ხალხი... თუმცა მიცვალებული მიცვალებულია, გაპატიოსნება და დამარხვა უნდა. მოკლედ, მიცვალებული გვყავს, ვის საკუბოვე ფიცარი მოაქვს, ვის – ორი-სამი იჯრა პურისა თუ მჭადის ფქვილი, ქოთნით ლობიო, მწნილი, მწვანე ხახვი, მარილი... ღვინო და არაყი ზედმეტი ფუფუნებაა, მაგრამ ეგეც გაჩნდა... საღამოსთვის მზადდება აღაპი. ყველაფერი ლამაზად არის, ყველაფერი მშვიდობიანად მომთავრდა და... ამ დროს ჩვენი ნაპო მოჰყავს ორ კაცს გასკვანჩული – სამი კეცი მჭადი ამოუღეს ძიქვადან,[2] მიცვალებულის საკუჭნაოდან მოპარული.

– მერე?

– არაფერი. მილიციას ხომ არ გამოიძახებდნენ? შეარცხვინეს და ეგ იყო. კაცმა რომ თქვას, რა ექნა, პატარა ბავშვები ჰყავდა მშივრები შინ და უკადრისი იკადრა... – გაჩუმდა, შეიცადა, – ხედავ, შენ, არც იმან, რომ გამდიდრდა და კეთილია დღეს... რაზეც არ უნდა მიხვიდე, ხელს მოგიმართავს, არ შველის ერთხელ შერცხვენილ სახელს... – ამოიოხრა მძიმედ, – ზოგჯერ დიდი ფულიც არ ჭრის... – თავზე ხელი გადამისვა, ქოჩორი ამიშალა, – ბრძნული ნათქვამია, „სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობია“-ო!..

ეს არის და ეს!

საქეიფო ამინდი

გავალი ერქვა...

გავალი მეგრულად ზარალს ნიშნავს.

რატომ დაარქვეს გავალს ზარალი, ვერ ვიტყვი. არადა, რომ მახსენდება, ყველაზე კეთილი და პირდაპირი კაცი იყო ჩვენს სანათესაოში.

როგორც მახსოვს, თავადაც არ მოსწონდა მაინცდამაინც საკუთარი სახელი.

ერთხელ ასეთი რამ მიამბო:

ახალგაზრდა კაცი ვარ. მეზობელი დაგვეღუპა, ღირსეული კაცი. ჭირისუფლებმა მთხოვეს, გარდაცვლილის დის ოჯახს შევატყობინო ეს ტრაგედია გაღმა სოფელში.

ის დროა, სადღაა მანქანები... ქალაქშიც ვერ იშოვი თავისუფლად. ცხენი მათხოვა ახლობელმა და გავქუსლე.

საშინელი ამინდია; ცა ფეხად ჩამოდის. მამაჩემის ძველი ნაბადი კი მოვისხი, ყაბალახითაც შევიბურე თავი, მაგრამ არ მშველის, გასაწური გავხდი.

სოფლის შესასვლელთან ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი, მეტიც, ცოლის მოყვარეა, ახლო ნათესავი, თათარხან მორგოშია. ახლახან სტუმრად მყავდა მთელი ჯალაბით, ლამის გადავყევი – სამკოკიან ქვევრს მოვხადე თავი, სითბო არ დამიკლია და პურ-მარილი.

საკუთარ ჭიშკართან დგას მოყვარე, დაგუბებულ წყალს ღარს აძლევს.

ვაიმე, – შევწუხდი, – თუ დამინახა, ჩამავლებს ხელს და სად გამიშვებს, შევრცხვები... როგორმე უნდა წავართვა თავი, ისეთ საქმეზე ვარ, ღალატი არ ეგების. იქნებ, ისე გავსხლტე, ვერ შემამჩნიოს. თუ მაინცდამაინც აქეთობისას...

ცხვირ-პირი ყაბალახით ავიკარი.

თავი წამოსწია, თოხსდაყრდნობილი მომაჩერდა; მიცნო, ჩემკენ დაიძრა.

– როგორ ხართ, ბატონო თათარხან! – დავასნარი.

– შენა ხარ? გიცანი. რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ, გავალიო, უკვირს.

– ამდაგვარ საქმეზე ვარ, მოკეთე, ახლობელია-თქვა.

ვფიქრობ, აი, ახლა სტაცებს ცხენს აღვირზე ხელს და სახლისკენ მიზამს

პირს... არ დამღუპო, ბატონო ვალიკო, ენის წვერზე მადგას სიტყვა...

– ვინ მოკვდა, არ იტყვი?

– გეთიაა გვარად...

– საგეთიოდან იქნება.

– არა, ჩვენს სოფელში იყო ჩასიძებული. ნამეტანი პატიოსანი კაცი იყო.

– კაი ერთი, – ვერ გამიგია, წუხს თუ არ სჯერა მიცვალებულის პატიოსნება, – კაი თუთუნი გაქვს შენ ყოველთვის.

– გადავაგდე.

– რომც მქონდეს, ისეთ თავსხმაში მოვხვდი, ნიფხვიანად სველი ვარ კაცი.

– კაი გიქნია მაგი...

ცხენი ფიცხლად დავძარი.

– რა საქეიფო ამინდია, არა?! – მომაძახა, – ეხ, ჩემო გავალი, დაგვსვა ახლა შენს ბუხართან... იფ, იფ... შენი სისხლივით კაი ადესა და კაი შაშხი ახლა... რას იტყვი?

შენს ბუხართან დამსვაო, კაცო?!

შემომყურებს და იკრიჭება, გაგიგია ასეთი რამე?!

ცხენს აღვირი მოვქაჩე...

– ჩემს ბუხარს რომ იხსენებ, შენი არა გაქვს, დაგექცა ოჯახი-თქო, მივაძახე და ვკარი ცხენს დეზი...

– ეცი კაცს პატივი...

– არა, ეს რა შუაშია, მარა იმას თათარხანი ერქვას და მე გავალი... ერთი ჩემი ნათლიისა რა ვთქვი და კიდევ იმისიო...

ზურა

მე და ბუხუტი ტოლები ვართ, ერთ კლასში ვსწავლობთ, მეოთხეში.

ბუხუტი ახალი გადმოსულია და უცებ ყოჩობა მოინდომა, მე ამითვალწუნა. არ დავთმე, ავიქოჩრეთ მამლებივით. ვიჩხუბეთ.

ჩვენი კინკლაობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ უფროსკლასელებს. მეორე დღეს, ბურთს რომ ვთამაშობდით სკოლის უკანა ეზოში, მოვიდნენ და წაგვაქეზეს, წაგვისისინეს და კარგა გვარიანად გვანაყინეს ერთმანეთი.

იმ შაბათს საბანაოდ ვიყავით მდინარეზე.

მთელი სკოლა იქ იყო, დიდ-პატარიანად...

ბუხუტი მოგვიანებით მოვიდა.

არ მესიამოვნა...

უცებ ამოიშალნენ უფროსკლასელები მდინარიდან და წრე შემოგვარტყეს ჩვენ ორს.

– რა იყო?

დავიბენი.

უნდა გაირკვეს, ვინ უფრო მაგარიაო, ამბობს ერთ-ერთი მაღალკლასელთაგანი ყოჩი და უჟმური.

შორიშორ დაგვაყენეს, წკირით ხაზი გაავლეს სილაზე, ვინც პირველი გადაკვეთს, ის იქნება გამარჯვებულიო!

ეს რა დიდი ამბავია-მეთქი, გავიფიქრე და დავასწარი.

სირბილში გაგვაჯიბრეს, მომიგო: სამაგიეროდ, ცურვაში მე დავჯაბნე.

მაინც არ გვეშვებიან...

აბა, ვინ პირველი შეაფურთხებსო!

ეტყობა, ფურთხი ჰქონდა ჩემს მეტოქეს პირში მოწოლილი, დაფიქრებაც არ მაცალა...

ლამის თვალდახუჭული ვეკვეთე...

ძლივს გაგვაშველეს.

ორივე მაგარი ხართო, თქვა ისევ იმ ყოჩმა.

ორი კვირა არ გვიჩხუბია. მოგვბეზრდა და თავად შევთანხმდით მე და ბუხუტი: კრივში მე ვჯაბნიდი, თავისუფალ ჭიდილში - ის.

ბოლოს და ბოლოს, ერთ კლასში ვართ, ერთი გზა გვიდევს თითქმის სახლისკენ და მოვდივართ.

– ცხელი პური გინდა?

თონესთან შეჩერდა.

– რატომაც არა.

იყიდა. შეევექცევით. ახალი პურია, თეთრი, ფუმფულა. საჩხუბარიც არაფერი გვაქვს, რაც კარგია.

– სიგარეტი გინდა?

არ მინდა. ჯერ არ მომიწევია, მაგრამ უარს არ ვამბობ – ხათრი მაქვს, მთელი პური გამიყო.

– ღობეზე გადავძვრეთ, ვინმემ არ შეგვნიშნოს...

გადავძვერით, ჩრდილქვეშ მოვკალათდით, მოვეწყვეთ.

ბუხუტიმ სიგარეტის მსუყე ნამწვრები ამოყარა ჩანთიდან. ვინ იცის, სად აგროვა... სათითაოდ დაფშვნა, მზეზე გაიტანა, გაანიავა, მერე გაზეთის ნახევში ოსტატურად გაახვია, მეც გამიმზადა... მოუკიდა, ასანთი მომაწოდა.

ვაბოლებთ.

მწკლარტეა, ობის გულისამრევი სუნით... ვაფუილებ ტყუილა, ბოლს არ ვყლაპავ... რაღაც, მერიდება თითქოს, თვალს ვარიდებ დოსტ-ამხანაგს...

თივით სავსე ურემს ვხედავ გზაზე.

მეურმე კი არა, ცხენიც არ ჩანს, გეგონება ჯარგვლისხელა თივის ზვინი მიღოღავს შარაზეო.

ბუხუტი აცმუკდა.

– ჩქარა... ჩემი ასანთი მომეცი!..

თვალები ეშმაკურად უბრწყინავს.

– რად გინდა?

რაღაცაში დავეჭვდი.

– უნდა წავუკიდო...

რატომ?

მიკვირს.

– წავუკიდებ და ნახავ. ცეცხლწაკიდებული ზვინი გაასწრებს, ცხენი თუ მეურმე... მაგარი არ იქნება?

იცინის.

– არა!

გავჯიუტდი.

– ვაა! – გაოცებას ვერ მალავს, – არ გაინტერესებს დამფრთხალი, ფრთებგამოსხმული ცხენი ქუჩაში უკან ტრაკწაკიდებული მეურმეთი?!

– გიჟი ხარ?!

ბრაზი ყელში მაქვს გაჩხერილი.

– ზურა[3] ხარ, ზურა...

კბილებს უშნოდ მიხრჭიალებს.

– ვინაა ზურა?..

– შენ!..

გადმოიხარა ჩემკენ, თითები კინაღამ ორკაპივით მატაკა თვალში.

გავცოფდი, მუშტი მწარედ ვთხლიშე ცხვირში...

სისხლი წასკდა.

მეკვეთა.

შევებით.

კიდევ ერთხელ დავუნაყეთ ცხვირ-პირი ერთმანეთს.

გაიქცა კი!..

...

მას შემდეგ სამუდამოდ დავშორდით.

სადაც მე ვიყავი, იქ იშვიათად ჩნდებოდა.

ასე ვიქცეოდი მეც.

მოგვიანებით სხვა სკოლაში გადავიდა.

– შენ უფრო მაგარი ხარ თუ ბუხუტი, უკვე გარკვეულიაო, – ასკვნის ჩემს უკან მჯდომი ერთი წრიპა კლასელი.

ეგღა მაკლდა!

თვალებს ვუბრიალებ.

ისე, მართალი თქვა და...

ამოვისუნთქე.

ჩიტის ქელეხი

სამოცი წლის გური ოტობაიას

ადრიანი დილაა.

ქარი წანწალებს მშრალ ხიდზე, დეკემბრის სუსხი აქ უფრო იგრძნობა.

სამარშრუტო ტაქსიდან მეგობარ პოეტს მოვკარი თვალი.

დავაკვირდი. წუხანდელი ნაომარი ჩანს, ეტყობა, ამ დილითაც მოუსწრია, დგას გადაშლილი სახით, აჩაჩულ-დაჩაჩული... უფრო უარესი რაღაც სჭირს, ტირის...

– გააჩერე!..

იმხელაზე ვიყვირე, ისე მოულოდნელად დაამუხრუჭა მძღოლმაც, უკან მომავალი მანქანა კინაღამ შემოგვასკდა. დანჯღრეული 06-ის მძღოლი ლამის გამოძვრა ფანჯრიდან და ერთი ლაზათიანად შემოგვიკურთხა...

– გური, რა მოგივიდა, ბიჭო?!

მივვარდი.

– აი, ნახე, გაყინულა...

გამოწვდილ ხელისგულზე მკვდარი ჩიტი უსვენია... ორი ცერისტოლა კურცხალი ადგას თვალზე.

სად იპოვე?

მიკვირს, დაბნეული ვარ. მკვდარი ჩიტი მინახავს, ალბათ; სად და როდის, ვერ ვიხსენებ – ისეთი ცხოვრებაა, ცაში თუ მომიკრავს ჩიტისთვის თვალი და მორჩა. ჩემი ბედისა რა ვთქვი, ჩიტი მინდა ახლა მე, ისიც მკვდარი, გაყინული, მაგრამ ამ უბედურ ძმას რა ვუყო, ხომ ვერ დავტოვებ გასაჭირში. დაემშვიდობე შენი საქმიანი დღის განრიგს, მწერალო!

– გაყინული ეგდო ხიდზე...

ამოისლოკინა გურიმ.

– მე მაინც ვფიქრობ, მანქანა შეეჯახა...

ეგ ვინღაა, ვერ ვცნობ. ჩემი მეგობრის გულშემატკივარია თუ უბედური ჩიტის ჭირისუფალი, რას გაიგებ.

– რა ბრძანეთ?

ჩია ტიპია, ულვაშა, გაუპარსავი, შავი; ეროვნებას და წლოვანებას ვერ შეატყობ.

– იცის ჩიტმა... ანთებულ ფარს შეასკდებოდა.

– ახლა რა ვქნათ?

შიშით ვეკითხები, გამოსავალს ვეძებ.

– მიწას უნდა მივაბაროთ.

ამბობს დინჯად. რას ერჩი, გამომიყვანა მდგომარეობიდან.

– წამო, ბაღისკენ წავიდეთ. – მკლავი გავუყარე მეგობარ პოეტს და „დედაენის“ ძეგლისკენ დავიძარით. – დროა, მიწას მივაბაროთ, ცოდოა.

რაღაც ჯოხი გდია. მიწის მოსაჩხვერად გამომადგება-მეთქი, დავიხარე.

– არ გინდა, ძმაკაც, დანა მაქვსო, – ორპირიან ჯაყვას მაჩვენებს ტიპი.

ეს ვინ ოხერია, გავღიზიანდი.

შევედით ბაღში.

გაზონის რბილი, ნაყვავილარი მიწა მოჩიჩქნა იმან დანით და ჩავფალით.

– ისე, რომ ვიცოდე, არსებობს „ფრინველთა დაცვის საზოგადოება“ საქართველოში, კაცი არ ვიყო, სამკაციან ქელეხს მაინც ვაკისრებინებდი. – წელში გავსწორდი, ხელები დავიფერთხე.

– უამისოდ არ გამოვა... ისედაც კარგა ხანია, არ გვინახავს ერთმანეთი, – ასკვნის მთავარი ჭირისუფალი და ცრემლს ხელით იწმენდს.

ეჰ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობს...

კოლმეურნეობის მოედნისკენ დავიძარით სამივენი მძიმე ნაბიჯით. მოვძებნეთ მყუდრო და იაფფასიანი სარდაფი.

– პოეტები მაინც სხვა ხალხი ხართ... მაგარი ხარ, ძმაო!

ვცადე გახუმრება.

– შენც ლექსებით არ დაიწყე?

არ შემარჩინა გურიმ.

მერე რა, რო დავიწყე...

– შენც წერამ, ძმაკაც?

ეს კაცი უკვე მაგიჟებს.

– ვწერამ, რა...

– ეს წერამს თუ ვინმე წერამს... – სახე გაიმკაცრა გურიმ, - შენ ვინ ხარ? შენი სახელი, ძმაკაც?

– ქალაქელი ვარ, აქვე, ვორონცოვზე ვცხოვრობ...

– ლიოვა, ბრატ!..

მხარზე ღონივრად დაჰკრა გურიმ ხელი.

...

ის დღე მშვიდობიანად გადავიგორეთ.

ბევრი არაფერი, ოცდაშვიდი ლარი დაჯდა მშრალ ხიდზე გაყინული ჩიტის აღაპი. ■

---

[1] *პოტიკი (არაფერი, მეგრ.)*

[2] ძიქვა – გლეხკაცის შარვალი, წელთან და კოჭებთან თასმებით იკვრება.

[3] ზურა (მშიშარა, მეგრ.)

ლევან ფანჩვიძე

მე დამესიზმრა

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიაღწია სულმა ხატამდის,
მე დამესიზმრა – ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ ზეცას ვხატავდი!

როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ გაიმეტა ქართლი ესოდენ,
მე დამესიზმრა – ვიყავ ილია
და წიწამურთან ტყვიას მესროდნენ.

ვარ ყველა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატვრის ყურემდის,
მე დამესიზმრა – ვიყავ თევდორე
და ყიზილბაშებს თავგზას ვურევდი.

დაფიქრებული მოდის რიონი,
ცა იმერეთის მხიბლავს ტილოთი,
მესიზმრა – ვიყავ გალაკტიონი
და თვითმკვლელობას ჩემსას ვცდილობდი.

ვერ გამოვიცან სოფლის იგავი,
ბეთლემის მხრიდან ქრისტეს მოსვლამდის,
მე დამესიზმრა – ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.

რამდენი ლექსი დამრჩა უთქმელი,
მოჰქუხს არაგვად ტალღა სტრიქონთა,
მე დამესიზმრა – ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.

არაგვის პირას ცეცხლი მინთია,
დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა – ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდა.

ვიდრე შემოვა მწუხრი ღამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერწამო...
მომეცი თაფლი, მხრებზე წავისვა
და ცოტნესავით შენთვის ვეწამო!..

წითელა ბატონები

ზოგან ნიავი ქილიკებს,
ზოგან წკრიალებს ტოროლა,
ზოგან მიჰყვება ბილიკებს
იელი თითო-ოროლა.

ქარო თუ ნახო ფუტკარი,
ვიდრე ნისლს ამოაგორებს
ამოაკითხოს, უთხარი, –
აბიბინებულ მთა-გორებს.

მზეო, ბილიკს რომ მითელავ,
საით გსურს ჩემი წაყვანა...
ქართლის გზებს, როგორც წითელამ,
ყაყაჩომ გამოაყარა.

მსოფლიო პოეტებს

ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ, ქართველი პოეტი!

თუ ჰაინე და რონსარი,
ბნელეთს სამოთხის სხივს ახლის,
ჰეი, რამდენს გყავთ მგოსანი
გალაკტიონის სიმაღლის?!
მწვერვალს წამოდო მზემ ტერფი,
ვცოცხლობ მუსიკით და სიტყვით...
თქვენ თუ გყავთ თქვენი პეტეფი,
ჩემს აკაკიზე რას იტყვით?!

აბა, რას იტყვით ვაჟაზე?..
მთას გაზაფხული უხარის.
მე ქართველი ვარ! მაშ, ასე -
კარის მცველი ვარ უფალის!

ჟღერს ვით მსოფლიო მორალი,
,,სტუმარ-მასპინძლის" პათოსი...
მიყვარს ედგარ-პოს ,,ყორანი"
მიყვარს ,,მერანი" ტატოსი!

მაგრამ, მსოფლიო პოეტებს,
ლექსის ცეცხლი რომ დაანთეს...
ვეტყვი შექსპირს და გოეთეს,
პუშკინს, ბაირონს და დანტეს.

ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ,ქართველი პოეტი
და რუსთაველით, შოთათი,
ყველას გჯობივართ ცოტათი!

საქართველოს გოლგოთა

ნისლში ცურავს მცხეთის ჯვარი,
მწუხრი ადგას მთებს გვიანი..
ყვარლის მთები გაიხსენე – სავარდო,
ნუ ეწვევი საგურამოს,
წინ გზა გელის ეკლიანი,
წიწამურთან მტერი გიცდის, თავადო!

სევდა აწვიმს სვეტიცხოველს,
დედის ცრემლთა დასადარი,
ტყეს ბერდენკის ავი მზერა აშინებს...
არც ცოტნე ჩანს, არც ზვიადი,
შავლეგოც რომ არსად არის?! –

საქართველო დარჩათ ბერბიჭაშვილებს...
ეჰ, თევდორეც არსად არის, –
ვინც გულში ცეცხლს აგვიალებს,
რომ მეეტლეს აურიოს გზა-კვალი.
აგვიანებს კვირის ფოსტა,
თავადო!... დროც აგვიანებს,
სიკვდილი კი, დროზე მოდის – მზაკვარი.

საქართველოს გამყიდველთა,
ავად ელავს ვერცხლის ხურდა,
კაცი არ სჩანს, რომ ტკივილი გავანდო...
მაპატიე... ვერ მოგისწარ...
წიწამურთან შველა მსურდა, –
ეჰ, რა გვიან დავიბადე, თავადო!

ჯუჯა ჭერამი

ბედს საყვედური ვეღარ ვუთხარი,
მჭირს სიყვარული განუკურნელი,
სკისკენ მიფრინავს დედა ფუტკარი,
თან ყვავილების მიაქვს სურნელი.

გალეწავს სათიბს ცელი ელამი,
ღრუბლის კრავები ძოვენ ცის ველებს,
წკნელის ღობესთან ჯუჯა ჭერამი,
ბუდას პოზაში ზის და ისვენებს.

შემოეპარა საღამო მუნჯი,
დგას სასიმინდე წეროსფეხება,
ვით ფიროსმანის დაღლილი ფუნჯი,
ცის ტილოს ალვა ისე ეხება.

ოღონდაც შენთან მოვიდე ბოლოს

მე წავალ! სადაც არავინ მიდის
დღეებს დღეები ცვლიან ავები...
მე წავალ, სადაც რიკული ხიდის
ცახცახებს, როგორც შენი მკლავები!

მე წავალ! სადაც ტოტებს გაშლილებს
ჩვენი ბავშვობის წლები გადაჰყვა.
მე წავალ! სადაც არ შეაშინებს
პოეტს, პოეტის ლანდის დანახვა...

მე წავალ! სადაც ოქტომბრის ქოროს
ქუჩაში მღერის ფოთოლი ხმელი...
ოღონდაც, შენთან მოვიდე ბოლოს
და შიშველ მხრებზე მოგხვიო ხელი!..

მიყვარს ,,მერანი" ტატოსი!

მაგრამ,მსოფლიო პოეტებს,
ლექსის ცეცხლი რომ დაანთეს...
ვეტყვი შექსპირს და გოეთეს,
პუშკინს, ბაირონს და დანტეს.

ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ,ქართველი პოეტი
და რუსთაველით შოთათი,
ყველას გჯობივართ ცოტათი!



ასეთიც იყო ოტია

გიზო ზარნაძე

ოტია იოსელიანთან ახლო მეგობრობას ბევრი იჩემებს და არც გაემტყუნებათ, რადგან პოპულარულ პიროვნებასთან სიახლოვე ადამიანს საზოგადოების თვალში ერთგვარ წონას მატებს.

ვერ ვიტყვი, რომ ოტიასთან მაინცდამაინც მჭიდრო მეგობრობა მაკავშირებდა, თუმცა, საკმაოდ ახლო ურთიერთობა ნამდვილად გვქონდა: ერთად გვიმოგზაურია აჭარაში, სამეგრელოში, კახეთში, იმერეთში – თავისთავად; მოსკოვში, ლატვიის დედაქალაქში...

რამდენიმე ტელეგადაცემა მომიმზადებია მასზე, უფრო მეტი – ინტერვიუ, ჩანახატი და ა.შ.

*ვვარაუდობ, გამოვცე წიგნი – „**ასეთიც იყო ოტია**“.*

უზომოდ მადლიერი გახლავართ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციისა, რომელიც დიდსულოვნად უთმობს ამ წიგნს გაზეთის ფურცლებს.

მივიხედეთ და ... სადღაა თამადა?!

1971 წელს, ტელევიზიაში მუშაობისას, რეჟისორმა უშანგი კაპანაძემ, აწ განსვენებულმა კინოოპერატორმა ხუტა ჩიკვაიძემ და მე – სცენარის ავტორმა – მოვამზადეთ პირველი ვრცელი სატელევიზიო გადაცემა უკვე საკმაოდ ცნობილ მწერალზე – ოტია იოსელიანზე. რამდენიმე სიუჟეტი თბილისში გადავიღეთ, ხოლო დანარჩენი სამუშაო მწერლის სოფელში, გვიშტიბში უნდა შეგვესრულებინა, სადაც ძირითადად ცხოვრობდა მთელი ოჯახი მწერლის ხელით აგებულ ორსართულიან ქვითკირის სახლში. იქა აქვს ვენახი – დაბლარი და მაღლარი, ყანა და ბოსტანი, ტყრუშული ღობე-მესრით შემოვლებული. იქა აქვს „გადაღმა ეზო„, სოხანიანი ქოხი (ამ სიტყვის პირდაპირი და არა პარლამენტური გაგებით). იქ სულ მარტოა ისა და მისი ნაბადი (ნაბდის პირდაპირი გაგებით). მარტოობა სიბრძნეაო, – იცის ხოლმე თქმა, – ვისაც მარტოობის ეშინია, საკუთარი თავის ეშინიაო.

იქ ხნავს და თესავს (ქუთაისური ხელის პატარა ტრაქტორით), იქ თოხნის, ბარავს, წერს, კითხულობს...

გვიშტიბში არიან გამზრდელი მამიდა, შვილები: ბაჩო, მანო და დაჩი, ბიძა, ბიძაშვილები (ძმა თბილისშია), სიყრმის მეგობრები. იქვეა მისი „აკადემია“, ბებიის საფლავი, სალოცავი – დანგრეული ეკლესია, მოგვიანებით თვითონვე რომ აღადგინა, 80-იანი წლების დასასრულს. ერთი სიტყვით, იქაა ოტიას ცა, წყალი, მიწა და ქვეყანა!.. სწორედ იქ შეიძლება კარგი, არასტანდარტული დოკუმენტური ფილმის გადაღება, ნაღდი მასალაა. გამოგონილი და ყურით მოთრეული არაფერია.

გაფაციცებით ვმუშაობთ, ვკამათობთ, ვბჭობთ, ვვარაუდობთ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზიის ადგილობრივმა კორესპონდენტმა სულიკო ვაშაკიძემ ოტია და მისი ტელევიზიელი სტუმრები თავის მშობლიურ ხონში მიგვიწვია.

– საქმე და ქეიფი ერთად არ გამიგია მე! – თვალი მოჭუტა და თავი გააქნია ოტიამ.

– ყველამ ვიცით, თქვენ კვირაში ერთ დღეს რომ ისვენებთ, – გზა მოუჭრა სულიკომ.

– კვირა დღეს კი. კვირაში ერთ დღეს ღმერთიც ისვენებსო, ნათქვამია. წამოვალთ, მარა, თუ კაცი ხარ, ნამეტან რია-რიას ნუ ატეხავთ, ნუ შევაწუხებთ კუთხე-მეზობელს და ნუ ავალიანცებთ ქვეყანას!..

– არა, აჰ! – ხელები გაასავსავა სულიკომ, – ორი-სამი კაი ბიჭი იქნება და ... სხვათა შორის აწ განსვენებული, რიგიანი პუბლიცისტი, გაზეთ „ქუთაისის„ რედაქტორი გივი მეფისაშვილიც დაასახელა.

ოტიას „ნივით„ წავედით ხონს. მასპინძლებმა დიდი ამბით მიგვიღეს. ერთი კი შევავლეთ ეზო-კარ-მიდამოს თვალი, მაგრამ ვინ გაცალა! – უმალვე გაწყობილ სუფრასთან აღმოვჩნდით.

ოტიას საჩვენებელ თითზე ძეწკვშებმული მანქანის გასაღები დაუხვევია და ხან წინ ატრიალებს, ხან – უკან. ხალვათად აცვია: გახუნებული ბლუზა-შარვალი და საკმაოდ შელანძღული ფეხსაცმელები. მაგრად მოთელილი სვანური ქუდი ახურავს და, რაღა თქმა უნდა, გრძელი მუნდშტუკიც თანა აქვს.

„გაუმართლა„ და თამადის გვერდით მოხვდა. თამადად წინასწარ შეერჩია მასპინძელს კაი მოყვანილი, არცთუ ახალგაზრდა კაცი, თბილისსში მცხოვრები და მომუშავე, მაგრამ აქაური, ხონელი. ცნობისთვის, ამ ახალგაზრდა კაცს მშობელი მამაც თან ახლდა და, რაღა დაგიფიცოთ, ყოველნაირად ცდილობდა ბრტყელ-ბრტყელად ელაპარაკა, გამოეჩინა თავი, ესახელებინა მასპინძელი..

ოტიას შემდეგ სულიკო ზის, იმის იქით – ხუტა, იქით ვიღაც მეზობელი, შემდეგ მე და ბოლოს – უშანგი კაპანაძე.

შევუდექით ტრაპეზს. დავილოცეთ, ვახსენეთ ღმერთი, თუმცა, ღმერთწინაშე, თამადას არ უხსენებია. გვებრძანა, ჭიქები პირთამდე შეგვევსო. ოტიამ სავსე ჭიქა გვერდზე გადადგა, რაც უფალ თამადას არ გამოპარვია.

– აბა, აბა, ეგეთები არ იყოს!..

– რატომ, ბატონო ჩემო, რო იყოს, რა დაშავდება?!

– გინდა-არგინდა, ამ პატივცემული ხალხის სადღეგრძელო უნდა დალიო!..

– ვერ დავლევ!

– დალევ!

– ვერ დაგილევთ, ხალხი მაბარია.

– ვინ ხალხი?

ჩვენზე ანიშნა.

– აააა.

– დიახ, მძღოლი გახლავართ.

– ა, ბიჭო, კაცი! – მიუბრუნდა თამადა სულიკოს. – აბა, მე რო მძღოლი მყავს იქანა, თბილიში, მტრისას. სულ არყის სუნადაა აქოთებული!

– თავი ქუდში აქვს, ბატონებო. იცის, ამის მძღოლს არავინ დაიჭერს და, – აგვიხსნა მასპინძელმა და თამადას ნაკლული ჭიქა შეუვსო. ერთმანეთს გადავხედეთ თავშეკავებული ღიმილით.

გადის დრო. გაჩაღდა პურისჭამა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მიჰყვა: ოჯახის, საძირკვლის, ჭერის, ფუძის ანგელოზის.

– აბა, ბიჭებო, თქვენი იმედი მაქვს! – შეგვაგულიანა თამადამ და ოტიას მხარში წამოკრა ხელი, – კი მარა, შენ რა, ჭამაც აკრძალული გაქვს?! – თან პირში წითელ-ბოლოკგაჩრილ შემწვარ გოჭზე მიანიშნა, ამაზე რას იტყვიო!

– კაი დაბრანულია, ყურებად ღირს.

– მერე, მარტო ყურება გეყოფა?

– მარხული გახლავართ, ჩემო ბატონო.

– ვინაა, კაცო, ეს კაცი?! – ისევ მასპინძელს მიუბრუნდა უფალი თამადა, – დამითმეთ რამენაირად!.. კინწისკვრით გავაგდებ იმ ჩემ მძღოლს.

– აჰ! – იუარა ოტიამ, – ჩემი გულიზა ნუ გააუბედურებთ, ვინცხაა! სმა მიატოვებინეთ რამეფრათ და იყოს, რას ერჩით!..

მეტის მოთმენა შეუძლებელი შეიქნა და გივი მეფისაშვილმაც არ დააყოვნა.

– ბატონო თამადა, ერთადერთ სადღეგრძელოს ვითხოვ, თუ შეიძლება.

– ადრეა, ბატონო გივი, ჯერ! – უარი შებედა თამადამ.

– წასვლისას კი არ ვამბობ...– გივი წამოდგა, სავსე ჭიქა ზემოთ ასწია,– ბატონებო, მეც და, ალბათ, ყოველი ჩვენგანიც, დიდად ბედნიერები ვართ, რომ დღეს ჩვენი ძვირფასი მასპინძლის ძვირფას სტუმრებში გამოჩენილი ქართველი მწერალი, ბატონი ოტია იოსელიანი ბრძანდება!

ყველანი წამოვდექით, ოტიას გარდა. თამადა შეცბა, ინდაურის ბარკალი თეფშზე ცივად დააგდო და ცნობისმოყვარედ შეგვათვალიერა. მომეტებულად უშანგი კაპანაძეზე შეაჩერა მზერა – ისე პეწენიკად გამოიყურება, უთუოდ ეს იქნებაო

ოტია ზის და ხელით გვანიშნებს, დასხედით, ეს ფეხზე წამოდგომა რაღა საჭიროაო!

თამადამ უკვე გაუბედავად წაჰკრა ხელი (ოტიასი ერიდება!), ყველანი წამოდგნენ და შენ რატომ „ჯდიხარო!“

წამოდგა ოტიაც, მაგრამ, უშანგიმაც რომ სასმისი აიღო, სადღეგრძელო დაიწყო და ოტიამ მადლობის ნიშნად თავი დახარა, თამადამ პირი დააღო. ახლა ხუტამაც აიტაცა სადღეგრძელო.

– მადლობა, მადლობა, მარა, – რადგან მარჯვენაში სასმისი ეკავა, მარცხენა, მუნდშტუკიანი ხელი თამადისკენ გაიშვირა, – ამ კაციზა გეცლიათ, ხელი რად შეუშალეთო?

მივიხედეთ და ... სადღაა თამადა?! ეს ამოდენა ახმახი ისე გაპარულიყო, ვერც შევნიშნეთ?!

აკი იოსელიანიაო!!!

ეს ამბავი მაინცდამაინც „ვნების კვირაში“ და მაინცდამაინც „წითელ პარასკევს“ მოხდა!..

ოტია და მე ჩემს მშობლიურ თერჯოლაში ვართ. დაგვირეკეს და გვითხრეს, რაიონის გამგებლის თაოსნობით, ახალგაზრდობის შეხვედრა დაუთქვამთ ოტია იოსელიანთანო. ვითომ ორივე მწერალს გვიმართავდნენ შეხვედრას, სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, თავიდათავი ოტია გახლდათ!..

ამიტომ, როცა მისალმების შემდეგ გამოსვლა მეც მომიწია, ვთქვი: მართალია, მეგობრებო, მეც გამრიეს მარაქაში, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ: მწერლობა ჯარივითაა, უმეტესწილად, რიგითი ჯარისკაცები შედიან მასში, შესაბამისად, წვრილფეხა ოფიცრობაც, მაიორ-პოლკოვნიკებიც და, რასაკვირველია, გენერლებიც. მე, მაგალითად, რიგით ჯარისკაცად ვთვლი თავს, ოტია კი გენერალია-მეთქი.

გვარიანი ტაში დავიმსახურე, კაი თავმდაბალი კაცი დამდგარხარო!..

წამოიჭრა მკვირცხლად ოტია, ასავსავებს ხელებს: მაგი კაციშვილმა არ იცის წინასწარ – ვინ შერჩება მწერლობას და ვინ – არა! ბალზაკმა, მოგეხსენებათ, ოცი ტომი სისულელეები წერა, ამას თავადაც აღიარებდა, მაგრამ, საბოლოოდ, „შაგრენის ტყავი“ დაუდო კაცობრიობასო!

ასე რომ, ნუ ვიქნებით ნამეტნავად სულსწრაფნი და ნუ ვეცდებით ცოცხალი მწერლების დახარისხებასო!..

დაინგრა ტაშით დარბაზი – ეს რა ტაქტიანი კაცი ყოფილა, „ზემლიაკი“ არ დაგვიჩრდილაო!..

რასაკვირველია, ეგრეთ წოდებული „მეორე განყოფილებაც“ გაეთვალისწინებინათ და შეხვედრის შემდეგ (ბევრი ვიუარეთ, მაგრამ ვინ გათხოვა ყური) ციმციმ წაგვიყვანეს სანაქებო მომცრო ოდაში, თურმე, მხოლოდ სასტუმროდ რომ აეგოთ.

სუფრას, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა: ეს პირში წითელბოლოკგაჩრილი შებრაწული გოჭი ვარო, ეს ცივად მოხარშული მწიფე-მწიფე დედლებიო... ყაურმა, „ოსტრი“, ნაირ-ნაირი თევზეულობა, ღლავიდან დაწყებული და ღორჯოთი დამთავრებული... ხიზილალა, ხაჭაპურები.

დასაბმელი გახდა ოტია: ეს რა გიქნიათ, ხალხო, დღეს წითელი პარასკევია, უუმძიმესი მარხვა! რა დროს ღრეობა და ღვინის სმაა! კუჭატნელმა თუ იცოდა ეს, თქვენ რა ღმერთი გაგწყრომიათო!..

ლობიო რომ ლობიოა, ისიც არ ჰქონდათ სამარხვოდ!

შეშფოთდა თამადა-გამგებელი, აფრინა ბიჭები რესტორან-სასაუზმეებში, მაგრამ, გაგიგონიათ? – არცერთში არ აღმოჩენილა ლობიო!

მივემარჯვეთ ოტია და მე მჭადსა და მწვანილეულს, ვიღოღნებით და ვაყოლებთ მსხლის ლიმონათს, ფერით რომ მაინც ჰგავდა ღვინოს.

უჭირს თამადას, იხტიბარი აქვს გატეხილი, ბოდიშობს, გვაპატიეთო!

– არაფერი, არაფერი... მჭადია, რაც მთავარია, პურია, პრასიც ბლომადაა. საკმარისია! – გულწრფელობს ოტია, მაგრამ, ემჩნევა, ეკლებივით ესობა მისი სიტყვები გულზე თამადას.

– აგერ, პატივცემულო, კარტოფილი მიირთვით! – ეუბნება სახეშეჭარხლული ქალბატონი, – ეტყობოდა, შინაური გახლდათ, ადგილობრივი.

– კაი დაგემართოთ, მარა, ზეთშია ხომ შემწვარი! გვიკრძალავს.

ჩვენს პირდაპირ ახალგაზრდები სხედან. მე მგონი, დაირცხვინეს და იმათაც უარი თქვეს სახსნილო კერძებზე, დაეძალნენ პრასსა და მჭადს, იჭყიპებიან ლიმონათით.

ოტიას ცა გაეხსნა – არ ყოფილა მთლად დაღუპული ქვეყანაო! მაგრამ კითხვით მაინც იკითხა:

– რავა, ბოვშებო, ხორცეულს არც თქვენ მიირთმევთ?!

პირველი: დიახ, ბატონო ოტია, მე მარხვას ვიჭერ.

ოტიამ წამიერად შეათვალიერა ახალგაზრდა, გაზარმაცებული თვალის კუთხიდან ჭინკამ გამოჰყო თავი:

– პოლიციელი ხარ?!

მალულად ვიღიმები, ავანსად. ვატყობ, სიცილი იფეთქებს.

პირველი: არა, ბატონო, ბროკერად ვმუშაობ ქუთაისში.

– რად ვმუშაობო?! – მომხედა თვალმოჭუტულმა და მუნდშტუკი მოიმარჯვა.

– მაკლერი ყოფილა.

– შენც კარგადა ხარ! – ჯიბეებს იჩხრეკს, სიგარეტს ეძებს, – ეგ რაღა დარდუბალაა?!

– ვთქვათ, მავანი და მავანი სასწრაფოდ ყიდის ბინას. მიადგება ამას და ეს მუშტარს მოუძებნის, რისთვისაც გასამრჯელოს მიიღებს.

– ქართულად თუ ვიტყვით, შუამავალი ნამყოფარა, ხომ?

– აგრეა, კი.

– აპა, მარხვას ვიჭერო, რატომ მითხარი?! – მიუბრუნდა ისევ იმ პირველს. უკვე თავის სტიქიაშია, – რა დაგიშავა, რომ იჭერ?!

აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. შერცხვა ახალგაზრდას. თავი ჩაღუნა.

– შენ რატომ? – ახლა მეორეს ეკითხება.

მეორეს ეტყობოდა, კაი ხნის მომზადებული ჰქონდა პასუხი.

– მე, ბატონო, მარხვას ვიცავ!

ოტია ისევ მე მომმართავს: გადამრევს ეს ხალხი! ერთი იჭერს, მეორე – იცავს!

უკვე ყველას სიცილი წასკდა.

– შენ? – შედის ნელ-ნელა აზარტში, – მესამესაც მიაპყრო მზერა.

შეყოვნდა ოდნავ მესამე ახალგაზრდა. ეტყობოდა, პასუხს ირჩევდა გულში.

– მე, ოტია ბატონო, მარხვაზე ვარ, – ცოტა გაუბედავად წაიბუტბუტა.

– ხმამაღლა თქვი, გამაგონე, რას ამბობ!

– მე მარხვაზე ვარ, ბატონო!

– აჰა! შენ სულაც ზეიდან შეჯექი?!

საერთო ხარხარში ვერ გავარჩიე, რომელმა იკითხა: კი მარა, საინტერესოა, თვითონ ოტია იოსელიანი რატომ არ მიირთმევს ხორცს?!

– მე, ჩემო ბატონო, ვმარხულობ, მარხული გახლავართ!

არც აცივა, არც აცხელა და პირველი ახალგაზრდა მე მეკითხება: აკი იოსელიანიაო!

მივუხვდი, „ქურხულის“ მსგავსად, „მარხულიც“ მთიური გვარი ეგონა და ლამის გადავფიჩინდი სიცილით.

– რა მოხდა, რა გულამომჯდარი ხითხითებდი წეღან?! – მკითხა ოტიამ, როცა მის „ნივაში“ ჩავსხედით და გეზი დედაქალაქისკენ ავიღეთ.

მეც სიტყვასიტყვით გავუმეორე, რაც იმ პირველმა ახალგაზრდამ წამიჩურჩულა.

– ეუჰ! ეგ სულ დაჩოჩებული ყოფილა, ეგ უბედური! რა ეშველება ამ ხალხს! – ჩაილაპარაკა ყრუდ, უმატა გაზს და კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია. ■

„ხოჯის მინდი“

(ნაწყვეტი რომანიდან)

ალეკო გაბელაია

„კომოსის სახლი“

მინდიამ მზერა მოარიდა მიმავალ დიაცს. უცებ მოერღვა. მძიმე რულით განჰკვირდა, დია. მოუთმენელმა შეიპყრო თვლემამ... და მოაგონდა: ოდესღაც, რაბამ, რულზე რომ ასე განმარტა საბამ: „ჭოჭოქი – თვლემა მოუთმენელი, მავანს და მავანს ქაჯნი რომელნი მოართმენ რულთა და ჭოჭოქთა განუმრავლებენ.“

სწორედ ამგვარი დაემართა ხოგაის მინდის. ძილი დაეცა მყისიერი, ანაზდეული. თითქოსდა, თვალი ჩაეფსკერა კოსმიურ წყვდიადს. ძილქუშმა ერთობ დარია ხელი, წაერთვა ძალნი თვალთა გახელის. წამიერ ხრილად მოუფიფქა სიბნელემ მზერა, თითქოს, განგებამ ნიქსის სახლში დაანანარა, დანანარები უცხო ქალაქს, უცხოდ მარები.

უღონო ლამის დავარდა დამხედ... ქუჩა გადაჭრა. შადრევანთან იპკურა წყალი. გადაიბანა პირი და სახე. გონს მოეგო და ნაგებობებს გახედა გეზად. ციმციმა შუქის დალანდა აბრა: „კომოსის სახლი“. „აბრაკადაბრა“.

შეჭოჭმანდა და შეორჭოფდა გველისმჭამელი და არჩევანში ბურიდანის ვაქირ ვირივით გაბოგირდა და გაიხიდა: „აქეთ თუ იქით?!“

საგონებელში აეშალა ბურუსი-ფიქრი. მიდმოობაში გაიძგიფა... გარდასულ დღეთა მოყურადეს და მოთვალთვალეს დაუდგა ის დღე, როცა მკიდა მწიფე თავთავებს, როცა თავი ვერ დააღწია **ან-ან**-ს შორის აღმართულ კედელს, უხილავსა და უჩინარ კედელს. ახლაც ზილივით გაიხლართა აბლაბუდაში ნებადართულის და დაურთველის. ბოლოს სძლია გულთანაღრობა და მიაშურა ნებადაურთველს. ციმციმა შუქის მოხიბლა აბრამ – „კომოსის სახლმა“ საიდუმლომ, საიასაღო „აბრაკადაბრამ“.

დამინდებულმა შეაბიჯა უცხო დარბაზში. „კომოსის სახლში“ შევიდა მინდი. უცხო მუსიკით ზრიალებდა ჭერი და ბჭენი. ბურუსის წიაღ, შემაღლებულ წრიულ ბაქანზე, სად შუქნი თრთოდნენ ფერად-ფერადნი, რკინის ლაპლაპა დირაგებზე შიშველ-ნინველნი ქალიშვილები სმარსალებდნენ უნასებივით...

მუსიკა – როკი!..

ველური როკვა!..

ეტუალები!..

უხამსი როშვა, საჩოთირო მუნასიბები; მუტრიბნიც ბრიყვნი, უხამსურები, ვირგლა-მუტრუკნი, კერკეტონნი – ტლუ მსახურები, მუსუსთა ჩუმი მუსაიფი, სიძვის დიაცთა რიოში კდემა და კისკისი ხამუშ-ხამუში... გადაფლაშული ძუძუ-მკერდი, ფრია სამოსში თეძ-თეძონი გამოკვართული; ბარძაყშიშველნი... ხორბლისფერი შილიფ მუცელნი... ღლაბუტი უშნო და უხამსად მოღლაბუცენი... ვნების აღმძვრელი ჭიპლარ-აური... ირგვლივ უაზრო ყავყავი და ყაყან-ხმაური!..

ღვინო – ჭმახი და მარახოში, ღვინო მახალი, პილატეს ცრემლი, – გონებას და გულს რომ ახელებს... კოქტეილები და პუნშები ფრიად ულევი... ღვინით, ჰაშიშით, ათაშანგით გათანგულები!..

სხვაგან უკეთეს სასეიროს კაცი სად ნახავს?!..

ცეკვავს ბაქანზე შიშველი და შეშლილი მახა!..

გარეტებული კართან იდგა გველისმჭამელი. თვალთამომჭრელნი შუქნი კრთოდნენ ფერად-ფერადნი... სმოკინგიანი ჯენტლმენები, ბედნებიერა ხათუნები, სეფე-ქალები, აშაღლარები – სიძვის სახლის ბანოვანები...

გაბეჩებული კართან იდგა გველისმჭამელი. აღარ ემოსა სამოსელი სუფთა, უზადო, სურნელოვანი არც ზეთი ეცხო, რათა ქაჯაველთ აღარ ეთქვათ: „ჰა, ესეც უცხო!..“ ფეხზე – პაიჭნი გვირისტულნი, წუღა-მესტები საბანდულებით. ალმედად ხეზით გამობმული ხალთა-შულდაკით...

– აქეთ მობრძანდით, ბატონო, ჩემო!

გამოაფხიზლა ვიღაცის ხმამ ხოგაის მინდი. ამოტუზოდა გვერდით ვიღაც ბაშტი-ბაჩანა. თავარიდების არც გზა იყო და არც სხვა ჩარა. უნებურ მოჰყვა ჯუჯა კიკოს, კუკნა მაკვილაკს. ადგა და მიჰყვა ბილანი და მონა-მორჩილი, ადგა და მიჰყვა ასე ადვილად.

– ა, აქ დაბრძანდი!.. სიხარული გექნეთ ულევი!.. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა „კომოსის სახლში“, სახლში ლხენის და მხიარულების!..

მინდია დაჯდა. ამოხედა კომოსის მსახურს. ტანკეტრიანი, სახეწყლული კირჩხიბის სენით... იდგა, ჰგაოდა ქაჯური ენით:

– ჰო, მოშინაურდი, წვეულო ინახად. შენ უკვე სახლში ხარ!.. აქ უკვე შინა ხარ!.. აქ უნდა აგიხდეს სიზმარი ყოველი, რომელიც დიაცის უბეში გინახავს, სიზმარი, რაიც კი დიაცის უბეში ვნებებით გათანგულს ოდესმე გინახავს!..

„ხოჯის მინდი“

(ნაწყვეტი რომანიდან)

იდგა ებგური სახეფითრი, მზერაცბიერი, იდუმალ ღიმილს ვერ ფარავდა თვალფანიერი. ვითომც მოხუცი ვინმე ყმაწვილი, ბავშვი – ბებერი და ხანიერი, თითქოს მოსული ამჟამიერში, გარდაგებულიც ამჟამიერით... გარდახვეწილი ამიერიდან... თავი დაუკრა ხოგაის მინდის, თავი დაუკრა და განერიდა.

ფიქრთა სიმურში გადავარდნილი ხოგაის მინდი, როგორც ზარბუნა დაფარფატებდა აღმა თუ დაღმა, ზევით თუ ქვევით, უკუღმა, წაღმა. ლაგუნა... ფიქრთა მარჯნის ბრაგები... თიამათური უფსკრულის წარღვნა ტიმონმორღვეულ გალეონივით აქორქორებდა უკუღმა, წაღმა.

სიმური იდგა კომოსის სახლში, მდუღარე წყლები და ორდალია...

უცებ ყურებთან ნაზი ჩურჩული: „ყარიბო, რამე უნდა დალიოთ!..“

უცებ გაფხიზლდა... თითქოს განირღვა გარდაცერილი ცათა ორანი. გამოარღვია საფოშიმანო – აბლაბუდები სიზმაროვანი. თითქოს დამშვიდდა ცა ვენუსისა, მოთვინიერდა თითქოს არია... თვალს არ უჯერებს გველისმჭამელი: ეს სიცხადეა თუ სიზმარია? ახედა... თავზე წამოდგომოდა ჭყორტი – ნინველა ხოხბის ვარია, ნაზი, კენარი, მინდვრის გვირილა... მან მოაგონა თეთრი შროშანი...

და თქვა გვირილამ:

– ნუღარ იფიქრებთ ახლა იმაზე, რაიც შორს არი!.. უმჯობესია, ჩემს მკერდს მოენდოთ... აქ ჰპოვოთ მშვიდი თავშესაფარი, აქ გაგიშალოთ სარეცელი „თავდავიწყება“!..

მინდიას სევდა მოეძალა, თქვა დანანებით:

– ნუ... ნუ წაბილწავთ სარეცელს წმიდას, თორემ ერთხელაც სიმყრალეში გაიგუდებით!..

– სიმყრალეს გვამი ვითარ შეიგრძნობს?! ზამთარში როგორ იყვავილებს ნორჩი ეარი? მერცხალი ერთი ვით მოიყვანს, აბა, გაზაფხულს? ვით მოეფინოს ია ველობს ყინვით დაზაფრულს?!.

... ხოჯის აბანომ გამომალუნგა. ვერ მოვიხმარე იღბალი და ბედი – უღური? ასე ვეზორე ურცხვი სიძვის მოყვარეობას. უოკებელმა კუროებმა გადაძოვეს ჩემი მინდორი, ხელუხლები და მოუძოველი... ნაცრისფერ დღეთა კიმირიონი – დღეთა წალიკი უამინდონი...

ცომის კოშტივით მაგუნდავებდნენ, თავსასთუმალად მიქორქორებდნენ!..

სად იყო მაშინ ან უფალი, ან ანგელოზი?!

ყველამ გერივით გამირიყა... ყველამ დამტოვა! თვე ქველთობისა შემეცვალა ტირისდენისად და მტილი ჩემი – ადონისის წმიდა ბაღები ანაზდეულად გადაყინა და გადათოვა...

ახლა ანგალი საქონელივით მძინავს ჩემსავე სიბილწეში, შარდსა და ნეხვში... გარს მახვევიან შამხათნი და ხარიმათები. მეც მერგო ბედი მათეული, ხვედრი მათებრი. შენც ხარო ხარო, – მეძახიან, – უფსკერო ჭაი!.. ქვესკნელი შეძრა შენს გამოო დიდმა ირქალმა, რათა ბელადნი მიწისა და მიცვალებულნი შემგებებოდნენ კუმეტ ჭიშკართან.

ვხედავ, შენც აქ რომ მოუხმიხარ ბრმა ბედისწერას, ველური მოყმე ველურ ველთა ღრმა წიაღისა, „შობის ბალახის“ მოპოვება რომ არ გაღირსა...

ნუ დაღონდები ამ უმზეობით... ერეშქიგალის სადედოფლოში, სადაც სუფევს წყვდიადი სრული, ჟამი-ჟამ მზეც კი აღმოხდების, მზე-ონი, რათა უჭვრეტდნენ მზის თვალს მზეგადასულნიც!..

რას მეტყვით?!. იქნებ ნება დამრთოთ თქვენთან ჩამოვჯდე?!. არ ვიცი, რატომ, მაგრამ თქვენთან სულმა მომიხმო!..

მინდიამ ქალი ინახად იხმო, დაჯდომის მისცა დასტური უხმოდ. მერე მეტაბლეს შეუკვეთა ქვრიმი, ქუმელი, ღვინო – სისხლივით მუქი-წითელი, ღვინო შუმი და ურიოშო, ღვინო მახალი, სათალი, ჭიპა, ზურგიელი, კიდევ დოში და შტოში რამ – ხილი ახალ-ახალი...

მეტაბლე ისე განერიდათ, თითქოს დიდი ხნის ყოფილიყოს მინდის ამბაზი – კაცი ულამი, მუშაითი, კაცი-ჯამბაზი, ბრეცი, უგონო, ყიფთა ამბაძი.

მარტოდ შთენილნი მდუმარნი ისხდნენ. უნებურ წამით გაიხსენა მინდიამ ის დღე, ცროლის მთაზე რომ რიჟრაჟისას მარხავდა თეთრ ქვას. უცებ მოუნდა, ამ ქვის ამბავი თანამესუფრე ქალისთვის ეთქვა. გადაიფიქრა. საამბობი არ ჰქონდა რახან, ყური მიუგდო ქაჯაველთა უგონო ყაყანს. ვინ გაარჩევდა მათ ყაყანში, ზრიალ-ყავყავში ტყუილს და მართალს?

ნამრუდს კაცისას კაცი გამართავს, მაგრამ უფლისას ვიღა გამართავს?

უსმენდა მინდი და ისწორებდა მხრებზე მოგდებულ ლაინა ქათანს:

„მინათუქა ულ შანა, ქი იათიმა ათთა
უ ათთა ულ შანათ, ქი იათიმა ათთა!..“[1]

მინდია მიხვდა, ქაჯაველებმა ის არ მიიღეს გარეშედ, უცხოდ, რადგან არ ჰქონდა სამოსი სუფთა და ამროვანი არც ზეთი ეცხო.

ბოლოს მეტაბლეც გამოჩნდა ლანგრით, მეტაბლე იგი ლირფი და ანგლი. მოართვა ქვრიმი, ქუბელი, დოში, მარახოში და ღვინო მახალი, განზანაკნი და დანა-ჩანგალი, ბროლ-სასმურები კანჭებ-მაღალი...

– სახელი თქვენი?! – ჰკითხა რიდით გველისმჭამელმა.

მდუმარი იჯდა მინდის ინახი. მოლისფერ თვალებს გადაჰკვროდა მსუბუქი ნისლი. თვალები წამით დაემგვანენ ჩამქრალ ჩირაღებს...

– სახელი გკითხეთ!.. – მინდიმ ღვინით შეუვსო ჭიქა. თავის ჭიქაშიც ჩამოისხა სითხე ღვთიური.

– სახელი მკითხეთ?.. იქნებ... არა!.. რა საჭიროა?! თუ გაქვს სახელი, გაქვს ბედისწერაც...

ქალი დადუმდა ანაზდეულად. მინდიას მზერა მოარიდა და თქვა კრძალულად:

– თითქოს მეცნობით... მაგრამ... არა!... საიდან აბა?!

ქალი გაყუჩდა. მხარზე მშვიდად ისწორებს აბას. მერე აგრძელებს, თითქოს პროლოგს ურთავდეს ამბავს, ამბავს, რომელიც არც მომხდარა აროდეს, ალბათ:

– ეს იყო ერთხელ... უბადრუკ ქოხში ერთ უამურ და წვიმიან ღამით... სულ ერთი წამით, მერეხში ჩქაფის გაისმა ფრთხილი და სუსტი ჩქამი... შიშით ყინულად ქცეულმა ლამის ვთქვი: **„შუაღამის ვინ ხარ სტუმარი?..“**

შეძრწუნებულმა ჩუმი სიბნელით თვალთ ავიფარე თავსასთუმალი. შიშმა და ძრწოლამ გამომახევა, გამომარინდა ისე ადვილად, სადაც ვიდექი, იქ მიმაქვავა, სადაც ვიდექი, იქ, იმ ადგილას... მერე ვიფიქრე, ხიზანია-თქო, სტუმარი ვინმე თუა ნამდვილად... და კვლავ ჩურჩულით სიჩუმის წიაღ ისევ ვიკითხე კრთომით და თრთოლით: **„მანდ რომელი ხარ?!. რომელი დგახარ და შემოსილხარ წყვდიადის ფაით?!. სახელი შენი... მარქვი სახელი!.. სახელი-მეთქი, მითხარი მაინც! კაცი სახელ და სახის მფარავი, ყონაღი ხარ თუ ვინმე მპარავი?!“**

მან მიპასუხა: – **„მე ვარ!.. „არავინ!“**

პასუხი იყო თავზარდამცემი. პასუხი, ასე სულშემზარავი...

შეშფოთებული კვლავ შევეკითხე: – **„მაინც ვინა ხარ?! ვინ და რომელი?! სიმურის მღვრიე ტალღებში მდგომი, ღამეთა ჩრდილში ასე მდგომელი?!“**

მან მიპასუხა: – **„მე სწორედ ის ვარ, ათასი წელი ვისაც მომელი... მაშინ, ვიდრე გზას დავადგებოდი, გზას გაყრისას და გზას შორეთისას... ვინც დაგიტოვა ცრია ცვარ-ნამი, ცვარ-ნამი – ცრემლნი განშორებისა... იგი ვარ სწორედ, ვინც გაგიშალა ქოხთან ლოტოსის თეთრი კარავი... გახსოვს? – შენც მაშინ იყავ „არავინ“. გახსოვს? – მეც მაშინ მერქვა „არავინ“... და გვიხაროდა „არავინეთში“ ჩვენც რომ ვიყავით მხოლოდ „არავინ“!..**

ასე თქვა... შიშით დავემხე დამხედ, მუხლმოკვეთილი დავეცი პირქვე. თავს ვერ ვუყრიდი აბლანდულ ფიქრებს... ეს ყველაფერი არც იყო, იქნებ?..

ქალი შეირხა. გამოხედა. სკამზე გასწორდა.

– ჰო, ეს ამბავი აღარც მახსოვდა... აღარც მახსოვდა იმ ღამის მერე... საოცარია, ახლა, ამ წუთას ყველაფერ ამას რატომ ვიხსენებ...

დადუმდა ქალი, შორი წარსულის მოგონებებით გადანაღალი. აიღო ჭიქა, ჭიქა მაღალი და ურიოშო მოსვა მახალი.

– კიდევ?!. მიამბე ის, რაც არ გითქვამს!.. – უთხრა მინდიამ და დაელოდა. ის ჩუმად იჯდა, როგორც „სინაზე“. ცრემლნი უკრთოდნენ თვალთა მინაზე. მაშინ თქვა ქალმა გულის სიწრფელით:

– რაც მე არ მითქვამს, ის მეტია, რაც ვთქვი იმაზე!..

თქვა და ჩაჩუმდა. დუმდა მინდიაც, კაცი ბრძენი და ენამჭევრი.

მუსიკა...

როკვა...

ზრიალებდა ბჭენიც და ჭერიც...

შორს იყო ქოხი უბადრუკი, სკირა და ისლი...

აქ კი – ლახორა, ჯოლღო-მოლღო, ცუდმადნი ხალხი. „კომოსის სახლი“ და აკრძალულ ნუგბართა დახლი – დაუდგამს დახლი ავხორცობას და ვნებას ისრიმს.

თამბაქოს ბოლი და ჰაშიშის მობლანტო ნისლი...

კვლავ უცხო ქალის ჩურჩული ისმის:

– ესაა ჩემი სინამდვილე... სხვას ვერც ვისურვებ!.. უძილობაა მარტოობის ჭირისუფალი და მარტოობა სულის ჩემის მეჭირისუფლე... მარად სხვა ცის ქვეშ გათენების შლორი ტკივილი... მხოლოდ სევდა და სინანული გამოულევი... ღამე უტეხი... ბუკიოტის შორი კივილი... ყამირი ღამის უნაყოფო, უზვი ხნულები...

ესაა ჩემი სინამდვილე, ჩემი საკირე!

აზრი აღარ აქვს რამის შეცვლას... აღარც ვაპირებ...

ესაა ჩემი სინამდვილე, – თავშესაფარი!..

ევთია

იჯდა მდუმარი ხოგაის მინდი.
თუთუნის ბოლი ეფინა დარბაზს.
ებურა ლეგა და ფაი-ბინდი.
ცისფერი კვამლი ეფინა დარბაზს,
მობლანტო ნისლი თრიაქ-ფარუხის...

დაადგო მინდიმ ფიქრთა კვარიხი. მოავლო თვალნი მოფუთფუთე მიანის ჭიებს, დას-დას რომ ბჭობდნენ, თითქოსდა, ფარსაგს.

ქალი კი... ქალი არ ჩანდა არსად.

დიაცი იგი ყრმაი და მწისე წავიდა, გაქრა, განქარდა ისე, ვით შველი რამე, დამფრთხალი შუნი...

ჩამოწვა სევდა – ყვითელი შუმი. ტკივილი თოთო, ლორთქო და ჩუმი. როგორც პირველი ტკივილი ქვეყნად...

წავიდა ქალი. გაუყვა სრიელს ცად მიმავალი თაბორიონის. დაადგო სიმწრის, ტანჯვის ალაგი, ადგილი თხემის და მორიონის – ქალაქი უნდო, რისხვის, ღალატის და მემრუშეთა ბიწი ქალაქი...

►►

►► დასანანია, რომ სუფევს ასე მხოლოდ სხეულთა ემფასანია, რომ დაფრაშფრაშებს ყვითელი კეთრი გათოთოშებულ ხორცის და გვამის...

ამ ავხორცობის საგიჟეთობამ ხოგაის მინდი შეშალოს ლამის!..

სხედან უხამსად მობურჭალენი, მზერა და თვალებამღვრეულები; სხედან სამყაროდამსხვრეულები, სივრცე და დროში განრღვეულები; სელენას სენით შეფრობილები, ატეს სიშმაგით შეპყრობილები...

სად გაქრა ქალი – ხოხბის ვარია?!

სად სიცხადე და სად სიზმარია?!

რად დაუმალა ქალმა სახელი? რად შეეშინდა მისი გამხელის?!.

რაღაა ყოფა უბედისწერო, უსახელო და არსდაუდები?..

„თუ გაქვს რაღაცა, ესე იგი, რაღაცაცა ხარ?!“ – გაიფიქრა და ჩამოისხა ჭიქაში ღვინო. კვლავ აეშალა გულზრახვის და გულისთქმის ხლართი... უეცარ იგრძნო ფანიერი და მზერა ხლათი. ვიღაც უხორცო, უხილავი ეჯდა ინახად. გველისმჭამელმაც დამშვიდებით ჰკითხა:

– ვინა ხარ?!

ხითხითი ჩუმი, მოგუდული, მზერა ფარული. ემოსა, თითქოს, ბაზმის მური – უცხო ფარილი...

და თქვა:

– ჰა, ესეც სიწმიდეთა დასასვენები, კომპრაჩიკოსთა კურთხეული, წმიდა არილი!..

ანაზდად ბაგე დაიდუმა წირმა ინახმა. სხეული-ჩრდილი გაიგონჯა, გამაიმახა.

მინდია ჯიქურ მიაჩერდა, ჰკითხა:

– ვინა ხარ?!. თითქოს მინახავს სახე შენი, თან არც მინახავს... ვისი გვარის ხარ, ჯიშ-ჯილაგის ვისი თოხუმის? თქვი, საკეთილოს მთქმელი ხარ თუ ბავთის მომღები? გულ-ლუსკუმაში რას ინახავ? რა ჩაგიმარხავს?

– ნუ შეგაშფოთებს ჩემი მზერა და სახე ნასი. მე ვარ ყოველის საფუძველი და არსთა არსი... მტერი არა ვარ!.. ძუძუმტე ვარ, რძის მოზიარე: იგი ვარ, უკუნს ვინც გიმზიანებს, ვინც სინათლისკენ მიგიძღვება დაცემულ ყამირს, უსიერობას ვინც გიგზიანებს... ძმაი ვარ შენი, შენი ტყუპი, შენი მარჩვიბი! მე – შენი ლანდი, შენ კი ჩემი ღვიძლი აჩრდილი!.. განგებისაგან ერთი გვერგო წილი არჩივი; ერთი გვაქვს დარდი, ერთი გვადგას უღელ-ევანი; სამხიარულოც ერთი გვიდგას, ერთი – რევანი, ერთი მეგზური, კირიბი და ერთი მხერვალი: ერთი გვყავს სასძლო, საპატარძლო, ერთი მხევალი: ერთი სურვილი, ერთი ნდომა, ერთი მიზანი, ერთი ხანაგი, ერთი ქოხი და სახიზარი; ერთი დიაცის უბეშია ჩვენი ლიმენი, ჩვენი სიმშვიდე, სიცხადე და ერთი სიზმარი; ერთი გვაქვს ლოდი საჯილდაო, ერთი ჭიდილი... შენ სიცოცხლე ხარ, მე კი შენი ძმაი – სიკვდილი...

რაც უფრო გარბის კაცი ჩემგან, იგი მეტადრე...

უცებ დადუმდა. წამოადგათ თავზე მეტაბლე. იკითხავს, რასმე კიდევ ხომ არ ინებებდითო.

გახედა მინდიმ რძის მეწილეს, ერთგულ ევთიას. მან არჩევანი არ ისურვა, თქვა: „სულერთია“.

მაშინ მინდიამ მოითხოვა მცირე გბოლვილი, გამოყვანილი კვამლში დოში, გამობოლილი...

იყუჩა. კვლავ წინ წარმოუდგა ხოხბის ვარია, ბაღვივაშში რომ მოეკედლა დამფრთხალ გნოლივით. მზერა ბლატუნი კიდევ ერთხელ მოავლო დარბაზს... არა და ქალი, ქალი იგი არ ჩანდა არსად.

ანაზდმა სევდამ დარია ხელი. გაძგიფდა დარდი და სინანული. დაკარგა, თითქოს, სულის მეწილე, თითქოს, ძვირფასი ვინმე ხანული...

– ჰო, რას ვამბობდი?! – ჰკითხა ევთიამ. კვამლში ცურავდა ვინაც ერთიან, ვის არავიქი ფრია ეფინა, შავი ქლამინდი ესხა ზეფირად... სხეულით იყო შლორი, შოლარი და სახით ლიპი შესაზარავი...

ირგვლივ ხორშაკი იდგა არავის, – უდაბნოს ქარის, – თანგი არავის...

– მე ვარ სიკვდილი, სანდო, ხალასი, უფრორე მჯობნი ათას „არავინს“... თუ სახელი გაქვს, ესე იგი, გაქვს ბედისწერაც, რომლის წინაშეც თვით ღმერთებიც ძრწიან შიშისგან!..

მინდიმ პირქუშად გახედა სტუმარს. საფოშიმანო ჩანდა მისი ნათქვამი ფრიად.

– დიაღ, მას ერქვა მხოლოდ „არავინ“!.. ინახად მეჯდა სწორედ „არავინ“. ლამაზი იყო... შენ? – მაიმახი, ცივი და სლიპი, სულშემზარავი და მაინც მიჯობს შენნაირ კირჩხიბს ის ერთი, ვისაც ერქვა „არავინ“... იგი მაგონებს სურნელის მკმეველ ეულ და მალალ ველობის ყვავილს...

– მშვენიერება არსებითს მალავს!.. ყვავილში მხოლოდ სიკვდილი ჰყვავის!.. ყოველ მათგანში სუნთქავს ნაყოფი, ნაყოფში – მისი არსი არყოფნის...

აღარსად ზღუდე – მათი გამყოფი, აღარსად ზღვარიც – მათი განმყოფი! ერთიანია მათი თბე-ტანი, განუყოფელი მათი სამყოფი...

მოდი, ამაზე ნუღა ვიდავებთ, თითქოსდა, ერთურთს ვეღარ იტანენ ან გასაყოფი რა აქვთ ერთურთში სიკვდილ-სიცოცხლეს – ველურ ტიტანებს, ამ დასაბამით და ძველ ტიტანებს...

ასე უბნობდა მინდის სტუმარი. თავად კი იჯდა სიტყვამდუმარი. ის მიმართავდა მოქარდულ ენით, სიტყვებით ტკბილით, თან შემზარავით:

– გინდა სახელი შეარქვა, ვისაც დასაბამითვე ერქვა „არავინ“... შენ ეს გაგიჟებს... შენ ეს გახელებს და შეშლილივით ეძებ სახელებს... ცდილობ, არსებულს ჩაუძვრე არსში, გარნა სულ სხვაა არსებული, სულ სხვა კი – არსი... თქვენ გაგიგიათ სიზიფეს მითი და მაინც სულში სიზიფე გიზით... და საქმე თქვენი ჯაფაა ნასი, ფარსი, რიოში თქვენი საწუთრო... ყოველ მირაჟულს, ყოველ ფანტომურს, ცდილობთ, სახელი მიუსაკუთროთ!..

შენც იმ სიყალბის ჭაობში მიხვალ, ჭყანტობში, სადაც ყველა ეფლობა და გავიწყდებათ სამყარო, როგორც მხოლოდ მუდმივი შესაძლებლობა...

მეც, ვისაც უხმობთ სახელად „სიკვდილს“, განვეკუთვნები ბრუნვას ცვალებადს და ნუღა მარქმევთ უბრალოდ „სიკვდილს“, მე ვარ უწყვეტი გარდაცვალება!..

ანაზდად შედგა ჩრდილი-სტუმარი. გველისმჭამელიც დარჩა მდუმარი.

ეფინა მღვრიე და ლეგა ბინდი, ცისფერი კვამლი ეფინა დარბაზს.

იჯდა და დუმდა ხოგაის მინდი. წირიევთიაც განქარდა სადღაც...

ცისფერი ნისლი ებურა დარბაზს...

სასოწარკვეთა ბურანიდან გამოგვაღვიძებს, რომ მერე ისევ ბურანისკენ თავად წაგვიძღვეს...

ჰო, ასეთია ბუნება არსთა: არსაიდან ვართ, მივდივართ არსად. სიცოცხლეს გვაძლევს დიდი განგება, განგება დიდი, როგორც არაონს, როგორც ბე-ს, როგორც მცირე საწინდარს... ვინ გვეკითხება, რატომ, რა მიზნით, როდის ან რისთვის გადანაწილდა, ეს ყოველივე რის გამო, რისთვის ჩამორიგდა და გადანაწილდა? რატომ გვაფრქვევდა მზე შუქს და სითბოს? გვათოვდა ანდა რატომ გვაწვიმდა? ვინც აგვიყვანა გოლგოთის თხემზე, გარდამოგვხსნიდა მერე ჯვარცმიდან? რად არ გვეძლევა იგი, რაც გვინდა, და რატომ იგი, რაც აღარ გვინდა? რატომ ვაგებდით ყველგან ბაგინებს? რატომ ვარქმევდით ადგილს „ბაგინეთს“? რატომ ვეძებდით რვალს და სარკინეს, ვარქმევდით მერე სოფელს „სარკინეთს“?..

რადა ვართ ასე მენანენი იმის წინაშე, ვისაც ჩვენივე უბირობით სული ვატკინეთ?..

თითქოს მყისიერ უკუიქცნენ ჰაერის-მცველნი... იხილა მაშინ მინდიმ უფლის თვალებზე ცრემლი და მის მზერაში უზაკველი სასოწარკვეთა, სამყაროს მთელი სიდიადე თავზარდამცემი.

და სახე უფლის – როგორც ბავშვის შეშლილი სახე! შეძრწოლებული ჩვენი ხილვით, შეძრწუნებული და ჯუფთი ცრემლით ქუთუთოებზე...

იდგა მენანე მეექვსე დღის ცდის და შეცდომის, გამოსწორება არ შეეძლო აწ უკვე რისიც; ვერ გაერკვია იმ მიზეზთა თავი და ბოლო, როგორ ვიქეცით ჯოჯოხეთად ყველანი მისთვის; ვით გადაიქცა რაღაც არსი, რაღაც რაობა არარსად და არარაობად!..

... იჯდა მდუმარი ხოგაის მინდი...

ებურა კვამლი კომოსის დარბაზს...

არ ასვენებდა აზრი კვიატი, რომ იყო ყველგან და თანაც არსად...

---

[1] „არ მეუცხოება აღნაგი შენი, მსგავსი ხარ ჩემი! თავადაც არც შენ მეუცხოები, მსგავსი ხარ ჩემი!“ (აქად. „გილგამეშიანი“)

მანანა ქურდაძე

წერილი ელის (1)

ელი, მეგობარო, გეტყვი
თუნდაც ათასი წლის შემდეგ,
ჩვენი ცათმავალი ეტლით
ღრუბლის ზოლები რომ ვჭიმეთ,
თურმე მეგობრობა შედგა,
წლები მოგვეპარა ჭმუნვით,
ცაში ჩვენი ნატვრის ხე დგას,
სურვილს აგისრულებს, ელი.
გზაზე ჩასაფრებულ ჭურვებს
ერთად ავაფაროთ ხელი.
ცხელი ივლისია, ელი,
და მზე გახურებულ კეცებს
ისე ალივლივებს ცაზე,
მერე ქვაფენილსაც კეცავს,
მინდა გამოვუდგე მირაჟს,
რომ არ დამეკარგოს ხაზი,
ბევრი რამ ვისწავლე დღემდე,
თუნდაც მეგობრობის აზრი...
და ნუ გავიტეხავთ გულებს,
როცა ცხოვრებაა მძაღე,
ქვაბს ხომ მოსამართლე ურევს,
ყველა მტყუანსა და ორგულს
სულში მიკვდომია ძაღლი.
ელი, მეგობარო, ახლა,
როცა ზენიტშია სული
და გულს ცხელ კეცაზე ახლის,
მე შენ ამ წერილს გწერ, ელი
და თავს ვიტყუებ, კარგო,
რომ გზაა შორი და ძნელი.
ვიცი, გველიმება ახლა,
თვალებში ჩაგვიდგა ცრემლი...
ელი, ჩემო თბილო ელი...
მოგწერ, მეგობარო, მოგწერ
თუნდაც ათასი წლის შემდეგ.

წერილი ელის (2)

იცი, ელი, ახლა გული მიცემს როგორ,
ისევ დამეუფლა შიშის ისტერია,
ჩემს ფეხებქვეშ ცხელი დედამიწა
ბორგავს,
უსახელო ცოცხლებს მკვდრები
დასტირიან.
აქ უდაბნოს ქარმა გადაღუნა ღერძი,
ისევ აჭრიალებს ჭინკა გულის
ჭიშკარს,
არაფერი უფრო, არაფერი მეტი –
ვებრძვი...
ოქროსფერი ქვიშა ხერხემლის
ტვინს მიჭამს.
და შენ მეტყვი, ვიცი, ჩემო მეგობარო,
დროა უკუღმართი, უნდა იყო
მგელი,
მე ვარ ახლა მარტო, ღმერთის
ანაბარა,
ხელაწვდილი ცამდე მოწყალებას
ველი.
და ამ წერილს, ელი, ტკივილების
ხონჩას,
გიწერ, მეგობარო, და ცრემლები
მახრჩობს,
როცა ჰორიზონტზე არაფერი
მოჩანს,
ღმერთს ვთხოვ – ჩამისახლდეს
შვებად, სულის სარჩოდ.

ეპოქა

ჩვენ ჩამოვსახლდით იმ
კუნძულიდან,
სადაც სულები თრთიან და შიათ
მშიშარა ხალხის ბეცი თვალები,
წითელ სკლერებში ჩაბუდებულ
ღალატს რომ ასე უსუსურად
აფარებენ დახრილ წამწამებს
და დადიან გაპობილი შუბლის
ძარღვებით.
ჩვენ ჩამოვსახლდით, რომ
ვამტკიცოთ თეორიები,
დებულებები
და ვაკეთოთ აღმოჩენები,
რომ მივიღოთ გამორჩენები
და ვურიგოთ ღიმილები
„გამოჩენილებს“...
და ვიაროთ გაპობილი შუბლის
ძარღვებით.
არავითარი ეჭვი იმის, რომ
ჩვენ ვინმე, სადმე, როდისმე
ჩაგვირაზავს ჭიშკარს რკინისას,
გულისას, გონებისას და ა.შ. არ
არსებობს...
ჩვენ მოვდივართ გაპობილი
შუბლის ძარღვებით,
უკრავს კლავიში თეთრი და შავი,
შავი და თეთრი
უკრავს და მაინც ჩვენ მოვდივართ
სისხლიანი მკვლელი ხელებით,
ვალაქავებთ საკუთარ სულებს,
არავითარ სურვილს არა აქვს ფასი
და წყლის ნაყვაა ყველაფერი... ასი,
ათასი,
რაც იყო და რაც იქნება,
ყველაფერი გადააფასეს,
ბინძურ ნიღაბს აფარებენ
გარყვნილ ანფასებს....

. . . . . .

ჩვენ გავუძელით ძლიერ ტალღებს,
ქარიშხალი გვირწევდა აკვანს
და მოვიტანეთ ეს ეპოქა
ზღაპრის გმირივით.
დაჟეჟილ ძვლებში ტკივილი
და სიცივე აგვყვა...
და სახე, მოხატული ჭრელი
გრიმებით.
უნებლიე მონაწილე გავხდით
სპექტაკლის,
სადაც მეფეც ჰყავთ, ჯამბაზიც
და ერთი მედროშეც,
დაატარებენ საკაცეზე გაყინულ
გვამებს
და სულს ყიდიან რაღაც ერთ
გროშად.
ჩვენ ჩამოვსახლდით იმ
კუნძულიდან,
სადაც სულები თრთიან და შიათ...
ვართ გაპობილი შუბლის
ძარღვებით,
ვაპურებთ სულებს ტყუილით იაფ
და დაგეშილი ავი ძაღლებით
მოვინადირეთ ზღაპრის ეპოქა...
„ფურთხის ღირსი ხარ შენ,
საქართველო“
და სანანებლად ესეც გეყოფა.

სიტყვას ვითხოვ მკითხველი

„სასწაულია, იყო მკითხველი!“

ძალიან კარგად უთქვამს, ვინც თქვა, არ არსებობს დიდი მწერალი, დიდი მკითხველის გარეშეო. ეს არც ლამაზი ფრაზაა და არც მკითხველის წინაშე მწერლის კეკლუცობა. ეს არის მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის შინაარსის მათემატიკური სიზუსტით განსაზღვრა.

მართლაც: არა მარტო დიდი მწერალი არ არსებობს დიდი მკითხველის გარეშე, ვერც დიდ მკითხველს წარმოიდგენ უდიდმწერლოდ. და, საერთოდ, მწერალი და მკითხველი მედლის ორი მხარეა და მათი უერთმანეთოდ წარმოდგენა შეუძლებელია. მედალი კი თვითონ მწერლობაა.

რატომ დამჭირდა, ამ, ჩემი აზრით, ერთობ ბანალური აზრის წარმოჩენა ისეთი მაღალი საზოგადოების წინაშე, როგორიც ამ გაზეთის მკითხველია? იმად, ჩემო ბატონებო, რომ ჩვენს „ნაფიც ლიტერატორებს“ შევახსენო: ჩვენ მათზე ისე ვართ დამოკიდებული, როგორც ისინი ჩვენზე. ჩვენ უერთმანეთოდ არ ვარსებობთ, თუმცა გარკვეული უპირატესობა ჩვენ, მკითხველებს გვაქვს. ამიტომ, მწერლებს უფრო ჩვენი – მკითხველების აზრი უნდა აინტერესებდეთ, ვიდრე თავიანთი თანამოკალმეებისა.

რა უპირატესობა გაქვთო, – გაიოცებს მავანი „ნაფიცი ლიტერატორი“, - ჩემზე მეტი როგორ იქნები, როცა მე სამი რომანისა და ორ ათეულზე მეტი მოთხრობის ავტორი ვარო.

როგორ, ჩემო კეთილო, და მე სამოცზე მეტი რომანი მაქვს წაკითხული. მერე როგორი რომანები, იცი? სულ ბაჯაღლო ოქროს ყალმით ჩაგვირისტებულები. ამას გარდა, ჩემი უპირატესობა ისიც არის, რომ მე შემიძლია შენს მიერ დაწერილი და მკითხველისათვის შეთავაზებული წიგნის კითხვა შუა გზაზე მივატოვო და უფრო საინტერესო წიგნი გადმოვიღო თაროდან. მეტიც, იქნებ სულაც მაკულატურაში ჩავაბარო წონით. ეს ჩემი ნებაა და ვერავინ დამიშლის. შენ კი, რაც უნდა სისულელე დაწერო და გამოსცე, ამაზე ვერასოდეს იტყვი უარს და ვერც პასუხისმგებლობას აიცილებ. მე - მკითხველს სრული უფლება მაქვს მსჯავრი გამოვუტანო შენს ნაწერს: აღვფრთოვანდე, ზეპირად დავისწავლო, ჩემს სამაგიდე წიგნად ვაქციო ან სულაც არ წავიკითხო, მხოლოდ თვალი გადავავლო, სანაგვეში გადავუძახო და დავივიწყო. ერთი სიტყვით, მე ჩემი მხრიდან შემიძლია მოვკლა შენი ნაწარმოები ან უკვდავება მივანიჭო მას. შენ კი, როგორც მწერალი, ამას ვერ იზამ. შენ შენს არჩევანში შეზღუდული ხარ შენი ნიჭით, განათლებით, ოსტატობითა და გამოცდილებით, მე კი სრული თავისუფლება მაქვს. შენ თუ საშუალო ნიჭის პატრონი ხარ, შედევრს ვერასოდეს შექმნი, უკვდავ ნაწარმოებს ვერ დაწერ; ხოლო მე - მკითხველს შედევრის აღქმა, განცდა და დაფასება თუ შემიძლია, შენი ნაოფლარის შეფასება ხომ სულაც არ გამიჭირდება; შენი დონის ანუ საშუალო ნიჭის მკითხველი თუ ვარ, მაშინ ვიარსებებთ ერთად, კოჰაბიტაციურად და ეგ არის.

ძალიან მაღიზიანებს, როგორც მკითხველს, მწერლის დამრიგებლური ტონი, ქედმაღლური პოზა, რაც მათ დიდ უმრავლესობას ახასიათებს ზეპირი თუ წერილობითი გამოსვლებისას. თითქოს ჩვენ – მკითხველებს გვეუბნებიან, ჩვენ თქვენზე მეტი ვიცით და ამიტომაც ვართ მწერლებიო. ამ დროს მინდა ზოგ მათგანს ყურში ვწვდე და მივტყიპო, თან მივაძახო: შე რძენაწყენო, მე ისეთი რამეები მაქვს წაკითხული, შენ იმის ნახევარიც რომ დაგსიზმრებოდა, მაგ ოცობედა წიგნებს როგორ დაწერდი-მეთქი.

ქვეყანა წერა-კითხვის უცოდინარი რომ იყო, მაშინ კიდევ შეეძლო მწერალს თავი სხვაზე უფრო მცოდნე ჰგონებოდა, მაგრამ ახლა... ზოგიერთი ჩვენი მწერალი ქიტუა ჯოხიტლეკიაშვილის და მარუსა მითაგვარიას სიყვარულობანაზე წიგნის წერით რომ იყო დაკავებული, მე მაშინ მარკესის, ამადუს, ფოლკნერის ნაწარმოებებს ვკითხულობდი, რუსთაველი, გურამიშვილი, პუშკინი, ტოლსტოი და მისთანანი უკვე წაკითხული მქონდა. და ნეტავი, რა უნდა მასწავლონ მათ?

ვინმე თუ ფიქრობს, რომ მკითხველი მწერლის ნაწარმოებებს იმიტომ კითხულობს, რაიმე ისწავლოს, ძალიან ცდება. მკითხველს მწერლის დამოკიდებულება აინტერესებს იმ მოვლენებისა თუ ადამიანების მიმართ, რაზე და ვისზეც წერს. მწერლის ოსტატობა სწორედ დამოკიდებულების გამოვლინების ხარისხზეა დამოკიდებული. რამდენ ქმარს მიუხრჩვია ცოლი ეჭვიანობის გამო, მაგრამ ასეთი ფაქტისადმი დამოკიდებულების გადმოცემის ხარისხის გამო შევრაცხეთ შექსპირი გენიოსად. მოკლედ, ჩვენ გვაღელვებს არა ამბავი, არამედ ამბისადმი მწერლის დამოკიდებულება.

მინდა ჩემს წასაკითხ მწერლებს ვუთხრა: თქვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენი, მკითხველების აზრი, ვიდრე თქვენი კოლეგებისა, რადგან ისინი თავისუფალნი არ არიან თავიანთ შეფასებებში: მოტივირებულები არიან სუბიექტური ან ობიექტური მიზეზებით. ჩვენ კი სრულიად თავისუფალნი ვართ. ძალით ვერავინ მოგვაწონებს რაიმეს. ჩვენი შინაგანი განწყობის, მსოფლმხედველობის, ავისა და კარგისადმი დამოკიდებულების, გემოვნების განვითარების დონისა და, საერთოდ, ინტელექტის მიხედვით მოგვწონს ან გვეზიზღება რაიმე.

მე, მაგალითად, უსამართლობა მგონია, როცა მწერალს საყვედურობენ, ამას და ასე რატომ წერო. რა ქნას მწერალმა, რაც შეუძლია და როგორც შეუძლია ისე წერს. საკუთარ ნიჭსა და ცოდნას ხომ ვერ გადაახტება. მისი დონის მკითხველი მასაც გამოუჩნდება. როგორც იტყვიან, „ალხანას ჩალხანა არ დაელევა“. ისიც ნათქვამია „სიყვარული არ იქნება ძალადა“-ო. ჩვენ დავამატებთ: არც მოწონება იქნება ძალად. კაცს თუ ნაგვის ურნებზე წარწერილი ლექსები ურჩევნია გალაკტიონის „ეფემერასა“ ან „ლურჯა ცხენებს“, რას ერჩი? იკითხოს წარწერები ურნებზე და ისიამოვნოს. იქნებ ისეთი დონის მკითხველიც არსებობს, რომელსაც სიამოვნებს იმის ცქერა, თუ როგორ გადის კუჭში მავანი; რა უჭირს მერე. ამნაირი პროცესების აღმწერელი მოკალმეც არსებობს და იკითხოს მისი ნაწერები.

მე - მკითხველს, ღიმილს მგვრის ზოგიერთი „კრიტიკოსის“ თავგამოდება ამა თუ იმ მწერლის გემოვნების განხილვასთან დაკავშირებით. გემოვნებაზე არ დავობენო, - რომ თქვა იმ ბრძენკაცმა, კი არ წამოცდენია, ღრმა ანალიზის საფუძველზეა გაკეთებული ეს დასკვნა. განა ვინმემ ეჭვქვეშ უნდა დააყენოს ის ჭეშმარიტება, რომ ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს – ფოფოდია. ვინმე ჭკუათმყოფელი იტყვის განა, გინდა თუ არა, ყველას მღვდელი მოგწონდეთო ან პირიქით? – არავინ!

აი, ამას წინათ ერთმა ლიტერატორმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხა იმაზე, რომ მავანს თურმე ქართველი ქალის ტრაკი არ მოსწონს (საჯაროდ განუცხადებია!). ჩვენ, მკითხველებს, სულ ცალ ფეხზე გვკიდია, ვინმე ქიტუასა თუ ვანუას როგორი ტრაკი მოსწონს. იმ ლიტერატორს რომ არ ეთქვა, ვერც ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ისეთი მწერალიც არსებობს, რომელსაც ჰგონია, რომ არსებობს ქართული, ფრანგული, ესპანური ან უზბეკური ტრაკი. ასე თუ ჰგონია, შენ რა გრჯის, რომ გაზეთის ორ გვერდზე უმტკიცებ იმ კაცს, გინდა თუ არა ქართველი ქალის ტრაკი მოგწონდესო. ბითურობაა ეს ყველაფერი! მე – მკითხველს – სულ არ მაინტერესებს, როგორი ტრაკი მოსწონს ამა თუ იმ ვიწრო წრისთვის ნაცნობ მწერალს. ვინ მაძალებს, გინდა თუ არა, წაიკითხე მისი ნაწერებიო?

ერთი-ორი სიტყვა ლიტერატურის ერთ დროს ფრიად მნიშვნელოვან ჟანრზე, კრიტიკაზე უნდა ვთქვა.

მხატვრული ლიტერატურა მეცნიერება არ არის, რომ მისი შეფასება ზუსტად დადგენილი პარამეტრებისა და კონცეფციების მიხედვით შეიძლებოდეს, რასაც ასე ცდილობენ გუშინდელი და თანამედროვე „კრიტიკოსები“. აბა, ერთი გაიხსენეთ, რა გულმოდგინედ მოძღვრავდნენ მწერლებსა და მკითხველებს ერთ დროს ცნობილი მეტრები – კრიტიკოსები. ვინმე დაასახელებს მათ მიერ „გამოსწორებულ“ მწერალსა თუ „მკითხველს“? არც მათი კრიტიკული წერილები ახსოვთ დღეს (სხვათა შორის, არც ბევრი მათგანის გვარი!).

მწერალი (ე. წ. კრიტიკოსი) რომელიმე მწერლის ნაწარმოებისადმი თავის დამოკიდებულებას რომ გამოხატავს, სწორედ ეს „გამოხატვა“ უნდა იყოს ლიტერატურა და თავს გაკითხებდეს არა კრიტიკის ობიექტისადმი ინტერესის გამო, არამედ თავისთავად. ამიტომ ჩემთვის – მკითხველისათვის – კრიტიკოსი ჩვეულებრივი მწერალია და იგი ისევე შეიძლება იყოს საინტერესო და უინტერესო, როგორც ყველა დანარჩენი მისი კოლეგა. კრიტიკოსსაც ისევე ჰყავს დიდი, საშუალო და მდარე მკითხველი, როგორც დიდ, საშუალო და მდარე მწერლებს.

სწორედ მაღალი რანგის მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშია თამაზ წივწივაძის კრიტიკული ნაწარმოებები. მართალი გითხრათ, მე გივი ვარდოსანიძის, ალექსანდრე კალანდაძისა თუ ვლადიმერ თორდუას თხზულებები არ წამიკითხავს, მაგრამ თამაზ წივწივაძის ის ნაშრომები, სადაც მათი შემოქმედებისადმი დამოკიდებულებაა ნაჩვენები, სამუდამოდ დამამახსოვრდა. მაღალი დონის მწერლობაა და იმიტომ.

ასე, რომ, ბატონებო, გურამ დოჩანაშვილის ერთი ლიტერატურული პერსონაჟისა არ იყოს, „სასწაულია, იყო მკითხველი“.

მკითხველი

ზურაბ ცუცქირიძე

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს ბატონ *თამაზ წივწივაძეს*

ლანჩხუთის შემოქმედთა საზოგადოება „სამებას“ წევრთა

განცხადება

ჩვენ მივესალმებით თქვენს ხმალამოღებულ ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ, თანმიმდევრულ ცდას, მწერალთა საზოგადოების ავტორიტეტის დასაბრუნებლად.

ეს კი დიდ ძალასა და ენერგიას ითხოვს.

ამიტომ გთხოვთ, თქვენს გვერდით გვიგულოთ!

ჩვენ მზად ვართ, გავწევრიანდეთ თქვენთან და მხარი დავუჭიროთ თქვენს მიერ წამოწყებულ დიად და კეთილშობილურ საქმეს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გიგლა აფხაზავა, დარეჯან ბიწაძე, ნაზი გალოგრე, გელა გეგუჩაძე, ინგა გოგუაძე, ჯემალ დოგორჯგინიძე, მაგული კვაჭაძე, კუკური კუკულაძე

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოეტ თენგიზ სვანიძის მეუღლე

ლუიზა ტაბიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ

განსვენებულის ოჯახს.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ძვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში"
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

E–mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკევობით